საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

7 დეკემბერი **ოთხშაბათი** 2011
№ 288 (13 585) ფასი 80 თეთრი




## სხვა რას ელი? მარსელი!



**მერვედფინალში**

- ჩელსი
- ლევერკუზენი
- არსენალი
- მარსელი
- აპოელ
- ზენიტი
- ბარსელონა
- მილანი

↳8



↳2 **საქართველო–ალბანეთი სეზონის ნაკიანი დასაწყისი**

↳4 **ვინ ითამაშებს საქართველოს თასის ნახევარფინალში? პასუხი რეგიონებიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოუკინსის ნაღებული ჰოლანდიაში უნდა დავიბრუნოთ

↳12-13



გუშინ, სპორტის სასახლეში შეკრებილმა 10 ათასმა გულშემატკივარმა მაღალი დონის კალათბურთი იხილა. „არმიამ“ და „ბეშიქთაშმა“ ბოლო წამებამდე თანაბრად იბრძოლეს. საფინალო სირენამდე წამით ადრე ევროლიგაზე გამოცდილი დევიდ ჰოუკინსის ორქულიანმა გამარჯვება თურქებს მოუტანა.

ამის მიუხედავად „არმიას“ ჯგუფში მეორე ადგილის დაკავებისა და მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი აქვს, რისთვისაც დღეს გასამართ „ლეიდენი“-„გოტინგენის“ შეხვედრაში სტუმრების მოგებას უნდა დაელოდოს. თუ „გოტინგენმა“ ვერ მოიგო, მაშინ „არმიას“ 13 დეკემბერს ჰოლანდიაში „ლეიდენის“ დამარცხება მართებს. ან მაქსიმუმ ორი ქულის სხვაობით უნდა წააგოს, რადგან ამ გუნდების თბილისური შეხვედრა 3-ქულიანი უპირატესობით „არმიამ“ მოიგო (74:71).

**დღეს**

23:00 ლეიდენი-გოტინგენი

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ბეშიქთაში | 5 | 5 | 0 | 10 |
| 2. არმია | 5 | 3 | 2 | 8 |
| 3. ლეიდენი | 4 | 1 | 3 | 5 |
| 4. გოტინგენი | 4 | 0 | 4 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● ეროვნული ნაკრები

# 29 თებერვალს ალბანეთი გვესტუმრება



1995 წელი. საქართველო-ალბანეთი

# თამაშია ისეთი, ოთხ წელიწადში ერთხელ ნახავ

ეროვნული ნაკრები 2012 წლის სეზონს 29 თებერვალს ალბანეთთან ამხანაგური შეხვედრით გახსნის. ეს ინფორმაცია გუშინ ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა გაავრცელა:

*"საქართველოს ნაკრები 2012 წლის სეზონს თბილისში, ალბანეთის ნაკრებთან მატჩით გახსნის.*

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ალბანურ მხარესთან და სიტყვიერი შეთანხმებაც არსებობდა. დღეს საღამოს კი, ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციიდან სფფ-ში ოფიციალური წერილი მოვიდა, სადაც დადასტურებულია, რომ 2012 წლის 29 თებერვალს ალბანეთის ეროვნული ნაკრები ამხანაგურ შეხვედრას გამართავს საქართველოს ეროვნულ გუნდთან. მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება."*

**მერაბ მამულაშვილი**

● ტალანტები

# 3 ქართველი 16 რჩეულში

პოპულარულმა რუსულმა ვებგვერდმა "სპორტს.რუ"-მ 16 საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის საკუთარი ვერსია დაასახელა, რომლებიც, გამოცემის აზრით, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატს დააკლდებიან.

სხვა საქმეა, რომ საიტის არჩევანი შეიძლება საკამათოც იყოს, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ ამ სიაში სამი ქართველი მოხვდა – **ლევან ყენია** (შალკე), **ლევან მჭედლიძე** (ემპოლი) და **გიორგი მაკარიძე** (ლე მანი).

დანარჩენი 13 მოთამაშის სია კი ასე გამოიყურება:

**კრისტიან ბენკეტი** (ბელგია, გენკი)
**მეჰმედ ბეშიჩი** (ბოსნია, ჰამბურგი)
**სლობოდან რაიკოვიჩი** (სერბეთი, ჩელსი)
**აარონ რემზი** (უელსი, არსენალი)
**მირალემ პიანიჩი** (ბოსნია, რომა)
**რადოსლავ პეტროვიჩი** (სერბეთი, ბლექბერნი)
**რომელუ ლუკაკუ** (ბელგია, ჩელსი)
**სტეფან სავიჩი** (ჩერნოგორია, მანჩესტერ სიტი)
**ადამ ლიაიჩი** (სერბეთი, ფიორენტინა)
**რენე კრჰინი** (სლოვენია, ბოლონია)
**ნევენ სუბოტიჩი** (სერბეთი, დორტმუნდი)
**გიოქჰან თიორე** (თურქეთი, ჰამბურგი)
**ედენ აზარი** (ბელგია, ლილი)

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლევან ყენია



ლევან მჭედლიძე



გიორგი მაკარიძე

● ლეგიონერები




## ყაზაიშვილი სიმბოლურ ნაკრებშია

**ვაკო ყაზაიშვილი** ჰოლანდიური ერედივიზიეს ბოლო ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს. არნემის „ვიტესის" ქართველმა ამ ტურის შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში ჩაატარა და "ვაალვიკს" 21-ე წუთზე ეფექტური დარტყმით გაუტანა.

თუმცა 18 წლის ფეხბურთელს თავი მხოლოდ გოლით არ გამოუჩენია: ყაზაიშვილი შეცვლამდე მასპინძელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ჰოლანდიურმა ჟურნალმა AD ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველი ტურის გამორჩეულ 11 ფეხბურთელს შორის დაასახელა.

"ვაალვიკთან" ვაკო არნემელთა მთავარმა მწვრთნელმა **იონ ვან დენ ბრომმა** შეტევაში **ბონი ვინფრიდს** შეუწყვილა, სიმბოლურში კი ის ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზეა.

ისღა დაგვრჩენია, ყაზაიშვილს კარგად დაწყებული საქმის უკეთესად გაგრძელება და შემდგომში მეტი აღიარება ვუსურვოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ოქრიაშვილის 50/50

## ილიჩივეცს თორნიკე უნდა, თორნიკეს - ევროპა

19 წლის ქართველ ნახევარმცველ თორნიკე ოქრიაშვილს უკრაინულ „ილიჩივეცთან" საიჯარო ვადა დეკემბრის ბოლოს უმთავრდება. თორნიკე მარიუპოლში დონეცკის „შახტარიდან" არის განათხოვრებული. დონეცკელებმა (რომლებთანაც ოქრიაშვილს 5-წლიანი კონტრაქტი აკავშირებს) იგი „ილიჩივეცში" სათამაშო პრაქტიკის მიზნით გაანათხოვრეს, თუმცა ქართველმა ჯერ არ იცის, იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ სად გააგრძელებს კარიერას.

უკრაინაში ზამთრის შესვენებამდე ერთი ტურილა დარჩა და, როგორც ოქრიაშვილმა გვითხრა, ან „შახტარში" დაბრუნდება, ან რომელიმე ევროპულ გუნდს მიაშურებს.

— ჯერ არაფერი გადაწყვეტილა, „ილიჩივეცს" კი უნდა ჩემი დატოვება, მაგრამ ეს მე არ მინდა, ასე რომ, არ ვიცი, რა და როგორ იქნება. დარჩენის შანსები 50/50-ზეა, ახლა გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. მინდა, ან დონეცკში დავბრუნდე, ან ევროპაში წავიდე ისევ იჯარით.

**- რომელ ქვეყანაზეა ლაპარაკი?**

- ბელგია, გერმანია, ჰოლანდია. მალე შესვენება დაიწყება და აგენტთან ერთად გადავწყვეტ ყველაფერს.

**- ჰოლანდია ახსენე და, „ვიტესი" ხომ არ გიწვევს?**

- არა, „ვიტესი" გამორიცხულია.

შეგახსენებთ, რომ 19 ტურის შემდეგ „ილიჩივეცს" 20 ქულა აქვს და მე-11 ადგილზეა. ბოლო ტურში მარიუპოლელებმა საკუთარ არენაზე „დნიპროს" 3:2 სძლიეს. ეს შეხვედრა ოქრიაშვილმა სასტარტოში დაიწყო საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე და მე-60 წუთზე ტრავმის გამო გამოცვალეს.

**მაგდა კლდიაშვილი**



თორნიკე ოქრიაშვილი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com*

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერანი

# მარტვილში 18-ს და უთოვლობას ელიან

რამდენიმე დღის წინ მარტვილის "მერანის" მთავარი მწვრთნელის, **მალხაზ ყვანიას** ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც მან თქვა, რომ, თუ გუნდს ჩემპიონატის რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრის შანსი გაეზრდებოდა, კლუბის ხელმძღვანელობა აუცილებლად იზრუნებდა შემადგენლობის გაძლიერებაზე.

მას შემდეგ "მერანი" საქართველოს თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში "გაგრასთან" სტუმრად 0:4 განადგურდა და, თუ დღეს სასწაული არ მოხდა, ყვანიას გუნდი ამ ტურნირს გამოეთიშება. დიდთოვლობის გამო უმაღლეს ლიგაში "მერანის" ორი კალენდარული მატჩი გადაიდო და ყვანიას იმ განცხადების შემდეგ მარტვილელებმა უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ერთი შეხვედრა გამართეს – "ვიტ ჯორჯია"-შინ 3:0 გაანადგურეს. ეს კი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ "მერანი" ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე დამკვიდრებულიყო. მარტვილელები მეცხრეადგილოსან "სპარტაკს" მთელი 10 ქულით უსწრებენ და მასზე ერთით ნაკლები მატჩი აქვთ ჩატარებული, ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებამდე კი 7 ტური დარჩა, რაც იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი ლიგის დებიუტანტს რვა საუკეთესოში დამკვიდრება არ უნდა გაუჭირდეს.

მალხაზ ყვანიას ვკითხეთ, ხომ არ გადაწყვეტილა რომელიმე ფეხბურთელის ტრანსფერი.

*"მოლაპარაკებას რამდენიმე საკმაოდ ძლიერ ფეხბურთელთან ვაწარმოებთ, მაგრამ საბოლოო შეთანხმებისთვის ჯერ არავისთან მიგვიღწევია, ამიტომაც უმჯობესი იქნება, თუ მათ ვინაობას არ დავაკონკრეტებ. დარწმუნებული ვარ, მალე მათი დიდი ნაწილი "მერანის" წევრი გახდება"*, - გვიპასუხა "მერანის" თავკაცმა.

მისივე თქმით, გუნდის დაკომპლექტება ამით არ დასრულდება და წლის ბოლომდე "მერანის" სამწვრთნელო შტაბი სხვა პოტენციურ ახალწვეულებსაც დააკვირდება. ამ მიზნით ურეკში დაახლოებით ერთკვირიანი შეკრება მოეწყობა, რომელშიც გუნდის წევრებთან ერთად მონაწილეობას "მერანში" ჩარიცხვის მსურველებიც მიიღებენ.

ამის შემდეგ ფეხბურთელებს ხანმოკლე საახალწლო შვებულებაში გაუშვებენ და "ნამდვილი" შეკრებებიც დაიწყება. ნაახალწლევს ორი შეკრება იგეგმება, საიდანაც ერთი საქართველოში მოეწყობა, მეორე კი, გამორიცხული არ არის, "მერანმა" საზღვარგარეთ გაიაროს.

ახალ წლამდე მარტვილელებს მეტად დაძაბული გრაფიკი აქვთ – თუ სხვა უმაღლესლიგელებს დიდთოვლობამ მხოლოდ თითო მატჩი გადაუდოთ, "მერანს", "ზესტაფონის" მსგავსად, ორი გადადებული შეხვედრა აქვს ჩასატარებელი. როგორც იცით, გადადებული მე-15 ტური საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტმა 14 დეკემბერს დანიშნა და მარტვილელები ქუთაისს ეწვევიან, სავარაუდოდ, წლეულსვე, 18 დეკემბრის შემდეგ დაინიშნება "მერანი"-"ზესტაფონიც".

მარტვილის ცენტრალური სტადიონის გაზონზე კი კვლავაც თოვლი დევს. სტადიონის თანამშრომლები მოედნის გაწმენდას აღარ ცდილობენ, რადგან საამისო მცდელობამ საფარი დააზიანა. ასე რომ, მარტვილელები თოვლის გადნობას ელოდებიან, დღეს კი "გაგრას" ზუგდიდში დაუხვდებიან.


მალხაზ ყვანია

18 დეკემბერს ყვანიას გუნდი თბილისის "დინამოს" უმასპინძლებს. მანამდე "მერანს" საშინაო მატჩი არ აქვს და, თუ კიდევ არ მოთოვა, მარტვილში ეს შეხვედრა აუცილებლად გაიმართება.

ბოლოს ორიოდე სიტყვით "მერანის" საკადრო პრობლემებსაც შევეხოთ. დღეს "გაგრასთან" ვერ ითამაშებენ **გიორგი მანწკავა**, რომელსაც კუნთი აქვს დაჭიმული, **გიგა ამბროლაძე**, რომელსაც ფილტვების ანთება აქვს და სიცხიანი **გურამ სამადაშვილი**. საეჭვოა **ელგუჯა გრიგალაშვილის** თამაშიც, რომელსაც კუნთის პრობლემა აქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბაია

# ახალი სტადიონი ზუგდიდს

## მომავალ სექტემბრამდე ბაია მეტოქეებს ბაზაზე ეპატიჟება

რამდენიმე დღის წინ ზუგდიდში საქართველოს პრეზიდენტი იმყოფებოდა და ადგილობრივებს აცნობა, რომ მათ ქალაქს მალე ახალი, კეთილმოწყობილი სტადიონი ექნება.

ამ თაობაზე უფრო ვრცელი ინფორმაციის მისაღებად ზუგდიდის "ბაიას" მთავარ მწვრთნელ **ელგუჯა ქომეთიანს** დავუკავშირდით, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ ახალი სტადიონის პროექტი უკვე მზადაა და მეტიც, სამუშაოებიც კი დაწყებულია.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ახალი არენა ძველის საფუძველზე შენდება – კომუნისტების დროს ზუგდიდის გარეუბანში, კომბინატის დასახლებაში **ოთარ ფაცაციას** (შემდგომში საქართველოს პრემიერ-მინისტრის) ხელმძღვანელობით სტადიონის მშენებლობა დაიწყო, მაგრამ მხოლოდ კარკასი მოესწრო, შემდგომმა გაწუკითხაობამ კი იქაურობა სულ მთლად გააპარტახა.

თუმცა კარკასი ისევ არსებობს, რაც მშენებლობის ვადებს საგრძნობლად დააჩქარებს – წინასწარი გათვლებით, თანამედროვე სტანდარტებით აგებული არენა მომავალი წლის სექტემბრისთვის უნდა იყოს მზად. სტადიონის ტევადობა 4 ათასი იქნება, რაც ზუგდიდისთვის სავსებით საკმარისია, თუმცა შემდგომისთვის მაყურებელთა ოდენობის ერთი ამდენით გაზრდაცაა ჩაფიქრებული.

რაც შეეხება ზუგდიდის ცენტრალურ, გულია თუთბერიძის სახელობის სტადიონს, მალე იგი აღარ იარსებებს, უმთავრესი დანიშნულება კი უკვე დაკარგა – "ბაია" იქ აღარასოდეს ითამაშებს, ახალი სტადიონის გახსნამდე ზუგდიდური კლუბი მეტოქეებს საკუთარ ბაზაზე მიიღებს.


ელგუჯა ქომეთიანი ბაიას ბაზაზე

*"ჩვენს საწვრთნელ ბაზაზე ხელოვნური მოედანი იდეალურ მდგომარეობაშია. გვაქვს 1500-კაციანი ტრიბუნაც, ასე რომ, უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს უპრობლემოდ ვაკმაყოფილებთ. ერთადერთი, გასახდელშია ცოტა სივიწროვე, რადგან იგი ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. თუმცა ეს მოუგვარებელი პრობლემა ნამდვილად არ არის. ერთი სიტყვით, მომავალი წლის სექტემბრამდე საშინაო მატჩებს ბაზაზე ჩავატარებთ და გარწმუნებთ, აქ ჩამოსული გუნდი თავს კომფორტულად იგრძნობს"*, - გვითხრა ქომეთიანმა.

რაც შეეხება "გულია თუთბერიძეს", იქ უკვე დაიწყეს ტრიბუნების დემონტაჟი და მალე სტადიონის ადგილზე დასასვენებელი პარკი გაშენდება.

ელგუჯა ქომეთიანს, ცხადია, "ბაიას" ამჟამინდელ ამბებზეც დავეკითხეთ.

**- დაგვეთანხმებით, თქვენი გუნდი ბოლო დროს ძველებურად სტაბილურად ველარ თამაშობს.**

- გეთანხმებით, ასეა. "ბაია" ახალგაზრდული გუნდია და არასტაბილურობაც, უპირველესად, ამითაა განპირობებული. ამას გადაღლილობაც უნდა დავუმატოთ. თუ თოვლის გამო გადადებულმა ტურმა უმაღლესი ლიგის გუნდების უმრავლესობა ამოასუნთქა, ჩვენ ამ შეღავათს მოკლებულნი ვიყავით, რადგან "გაგრასა" და "ბაიას" მატჩი მაინც ჩატარდა. "დილასთან" სათასო მატჩით გადაღლილები ვიყავით, მაგრამ "გაგრასთან" პრინციპული შეხვედრა მაინც მოვიგეთ. სამაგიეროდ, ამის შემდეგ ველარ შევძელით ძალების აღდგენა და "სპარტაკთან" შინ სრულიად ლოგიკურად დავმარცხდით. მეტოქემ შესანიშნავად ითამაშა, "ბაია" კი უსუსურად გამოიყურებოდა.

**- "ბაიასთვის" მჭიდრო კალენდარი გრძელდება. შეძლებთ გორში "დილასთვის" სათანადო წინააღმდეგობის გაწევას?**

- ყველანაირად ვეცდებით, რომ ეს შეხვედრა წინაზე უკეთ ჩავატაროთ და თასის ნახევარფინალში გავიდეთ. მეტოქე ძლიერია, მაგრამ კოზირები ჩვენც გვაქვს.

**- ფინანსურ პრობლემებს ხომ აღარ შეუწუხებიხართ?**

- საბედნიეროდ, ყველა უსიამოვნება წარსულში დარჩა. სეზონის ბოლომდე ბიუჯეტი დეტალურად გვაქვს გაწერილი და უსახსროდ დარჩენის აღარ გვეშინია.

**- ირაკლი ქობალია თავს როგორ გრძნობს და როდის დაუბრუნდება მოედანს?**

- მან მსუბუქად ვარჯიში უკვე დაიწყო და, გორში ალბათ ვერა, მაგრამ იმედი გვაქვს, წლეულს დარჩენილ სხვა შეხვედრებში მაინც დაგვეხმარება. მთავარი ისაა, რომ ირაკლის მძიმე ტრავმა არ აღმოაჩნდა. თუ ფორმა დროულად აღიდგინა, ზამთრის შესვენებამდე დიდ სამსახურს გაგვიწევს.

**- ...მერე კი, ალბათ, სხვაგან გადავა.**

- დიახ, ტრავმის მიუხედავად, მასზე მოთხოვნა კვლავაც დიდია და, ალბათ, ზამთარში სხვაგან გადავა. გვაქვს კონკრეტული წინადადებები, რომლებსაც, თქვენი ნებართვით, ახლა ვერ გავამჟღავნებ.

**- დაინტერესება მხოლოდ ქართული კლუბების მხრიდანაა თუ წინადადებები უცხოეთიდანაც მიიღეთ?**

- უფრო მეტი შანსია, ქობალიამ კარიერა საზღვარგარეთ გააგრძელოს.

**- ბოლო დროს "ბაიას" ძირითად შემადგენლობას ახალი თაობის კიდევ რამდენიმე წარმომადგენელი გაუშინაურდა.**

- გურამ სამუშია და ავთო ენდელაძე კარგი ტემპით პროგრესირებენ და დღეს უკვე მზად არიან იმისთვის, რომ "ბაიას" ძირითადში სისტემატურად ითამაშონ. ჯერჯერობით განაცხადში მოხვედრით კმაყოფილდება 18 წლის შემტევი ნახევარმცველი არჩილ ფარჯიკია, რომელსაც ჩინებული მონაცემები აქვს და თუ იშრომებს, დიდ ფეხბურთსაც ითამაშებს.

**- ამ სეზონში თქვენი პროგრამა-მინიმუმიცა და პროგრამა-მაქსიმუმიც, ალბათ, უმაღლესი ლიგის რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრაა.**

- დიახ, საკუთარ შესაძლებლობებს ობიექტურად ვაფასებთ და მიგვაჩნია, რომ ევროთასებზე გასასვლელად მზად არ ვართ, სამაგიეროდ, ისიც ვიცით, რომ ზედა რვა გუნდში ყოფნის ძალა შეგვწევს. ამ სეზონში ეს არის ჩვენი პოტენციალი, მომავლისთვის კი უფრო შორსმიმავალი გეგმები გვაქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ

# კლიმიაშვილი უზბეკურ დინამოში

## ასი პროცენტი და იანვარი


ირაკლი კლიმიაშვილი

დაახლოებით ერთი წლის წინ ირაკლი კლიმიაშვილი "ვიტ ჯორჯიადან" მახაჩყალის "ანჟიში" გადავიდა. კლიმიაშვილს მანამდეც სურდა უცხოეთში წასვლა, მაგრამ ქართველი ფეხბურთელისთვის ეს განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული – საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების ფეხბურთელები ნაკლებად რეკლამირებულები არიან, რადგან ჩვენს ნაკრებებს კარგი შედეგები არ აქვთ.

როგორც უნდა იყოს, კლიმიაშვილმა, ვინც ახალგაზრდულ ნაკრებში მართლაც საკვანძო ფეხბურთელი იყო და ეროვნულ გუნდშიც უთამაშია რამდენიმე მატჩი, ფანჯარა გაჭრა, თუმცა რუსული პრემიერლიგა ჯერ არ დაუგემოვნებია – დაღესტნურმა კლუბმა ირაკლი უზბეკეთში, ტაშკენტის "პახტაკორში" გაანათხოვრა.

შეიძლება ითქვას, რომ კლიმიაშვილის აზიური მონაგარი რიგიანია – "პახტაკორთან" ერთად უზბეკეთის თასი მოიპოვა და ამაში დიდი წვლილიც დაიდო, ჩემპიონატში კი მესამე ადგილზე გავიდა.

თბილისში ჩამოსულ კლიმიაშვილს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**- უზბეკეთში დაახლოებით ოთხი თვე იყავი. როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდი?**

- ვფიქრობ, ყველაფერი ნორმალურად იყო, უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. ნახევარდაცვის ყველა პოზიციაზე მომიწია თამაშმა – ორივე ფლანგზე, გამთამაშებლად, საყრდენად, ერთხელ ცენტრფორვარდიც კი ვიყავი.

**- "ვიტ ჯორჯიაში" და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, თუ არ ვცდები, ცენტრფორვარდად არასოდეს გითამაშია...**

- ამ პოზიციაზე მხოლოდ უზბეკეთის თასის ფინალში ვითამაშე "ნასაფთან" – 3:1 მოვიგეთ და ორი გოლი მე გავიტანე. სხვათა შორის, "ნასაფი" აზიის კონფედერაციის თასის მფლობელია.

**- რამდენად უყვართ ფეხბურთი უზბეკეთში? საშუალოდ რამდენი მაყურებელი ესწრებოდა "პახტაკორის" მატჩებს?**

- საშინაო მატჩებზე 15-20 ათასი მაყურებელი მოდის, რა თქმა უნდა, თასის ფინალზე უფრო მეტი გულშემატკივარი იყო.

**- "პახტაკორი" მართლაც ტრადიციული გუნდია უზბეკეთში....**

- ასეა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენს საგარეო მატჩებზე უფრო მეტი ქომაგი მოდიოდა, ვიდრე საშინაო თამაშებზე. "პახტაკორი" მთელ უზბეკეთში განსაკუთრებულად უყვართ, სახალხო გუნდივითაა, დაახლოებით ისე, როგორც ჩვენთან თბილისის "დინამო". კლუბი კერძოა და პირობებიც საკმაოდ ნორმალურია.

**- ერთი ტრადიციული თემაც – შეადარე ჩვენი და უზბეკური ჩემპიონატები.**

- მიმაჩნია, რომ საქართველოს ჩემპიონატის დონე უზბეკეთისაზე მაღალია, მაგრამ ჩვენთან ხალხი სტადიონზე არ დადის და ეს ბევრ რამეს აუფერულებს.

**- გაისად სად იქნები? "პახტაკორისგან" გაქვს შემოთავაზება?**

- იჯარის ვადა ამოიწურა და ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ "პახტაკორს" "ანჟიდან" ჩემი გამოსყიდვა სურს...

**- საკუთარ პერსპექტივას უფრო სად ხედავ?**

- ჯერ "ანჟის" ხელმძღვანელობას უნდა დაველაპარაკო. "ანჟი" აქცენტს ტოპკლასის ლეგიონერებზე აკეთებს და უნდა გავარკვიო, რა პერსპექტივა მაქვს ამ კლუბში. ჩემთვის ყველაზე მთავარი ახლა სათამაშო პრაქტიკაა. ყველაფერი იანვარში გაირკვევა.

**- "პახტაკორში" ყოფნას ალბათ ისიც გიადვილებს, რომ გუნდში ერთადერთი ქართველი არ ხარ...**

- კახა მახარაძე მართლაც კარგად თამაშობს, ნახევარდაცვის ცენტრში ჩინებულად ირჯება. საერთოდაც, უზბეკეთში ქართველები ძალიან უყვართ, განსაკუთრებული პატივისცემა აქვთ ჩვენდამი.

**- აზიაში ცხოვრება ქართველებისთვის ძნელი არ არის?**

- მთავარია, რომ იქ ფეხბურთი უყვართ, ქუჩაში ყველა გცნობს, ფეხბურთის დროს ხალხი სამსახურს ტოვებს და სტადიონზე მოდის – ასეთი სიტუაცია ფეხბურთელისთვის სასიამოვნოა.

**- ბევრი ლეგიონერია უზბეკეთში?**

- ცოტა არ არის, ყველაზე მეტნი სერბები არიან. უზბეკეთში ფეხბურთის პოპულარიზაციას იმანაც შეუწყო ხელი, რომ იქ რივალდო და დენილსონი თამაშობდნენ, სკოლარი და ზიკო მწვრთნელობდნენ, დიდი ფული დაიხარჯა...

**- იყო იმის შანსი, რომ "ვიტ ჯორჯიადან" ევროპულ გუნდში გადასულიყავი. როგორ ფიქრობ, "ანჟიში" წასვლა სწორი გადაწყვეტილება გამოდგა?**

- სხვისთვის არ ვიცი როგორ, ჩემთვის კი, ვფიქრობ, ასი პროცენტით სწორი გადაწყვეტილება იყო.

**- როგორ ფიქრობ, უზბეკეთის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელს საქართველოს ნაკრებში მიიწვევენ?**

- ეროვნულ გუნდში თამაში ყველა ფეხბურთელს სურს და არც მე ვარ გამონაკლისი, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. საქართველოს ნაკრების ბევრ ფეხბურთელთან ვმეგობრობ, როცა ჩვენი გუნდი თამაშობდა, შეძლებისდაგვარად თვალყურს ვადევნებდი ყველაფერს, თითქოს მეც იქ ვიყავი...

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს თასი | 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

# ნაადრევი ფინალი და სხვა...

უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდების უმრავლესობას არნახულად გადატვირთული გრაფიკი აქვსო, რბილად ნათქვამი გამოგვივა. დეკემბერი ხომ, საერთოდ, „საფეხბურთო თვედ" გადავაქციეთ: ყოველ მესამე-მეოთხე დღეს ოფიციალური მატჩები ტარდება. აი, დღესაც საინტერესო დაპირისპირებები გველოდება: საქართველოს თასის საპასუხო მეოთხედფინალურმა მატჩებმა ის ოთხი ნახევარფინალისტი უნდა გამოავლინოს, ამ საპატიო პრიზისათვის ბრძოლას მომავალი წლის გაზაფხულზე რომ გააგრძელებს.

სათასო მატჩების „განსაკუთრებულობასა" თუ სპეციფიკაზე არაერთხელ გვისაუბრია და ამჯერად მხოლოდ მცირე განმარტებებით შემოვიფარგლებით. მოგეხსენებათ, თასის საპასუხო მატჩებში დიდია იმის ალბათობა, ამა თუ იმ შეხვედრაში გამარჯვებულის გამოვლენას დამატებითი დრო ან პენალტების სერია რომ დასჭირდეს. ჰოდა, ზამთრისა და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, დღევანდელი ოთხი მეოთხედფინალური მატჩიდან სამი, შედარებით ადრე (13 საათსა და 30 წუთზე) დაიწყება, ვიდრე, საერთოდ, დეკემბერშია ხოლმე. აი, ერთ და მართლაც განსაკუთრებულ პაექრობას კი არც სტადიონზე „ჩამობნელების" საშიშროება ემუქრება და არც სხვა არასაფეხბურთო ფაქტორი: აშკარად ნაადრევ ეტაპზე დაწყვილებული „ზესტაფონისა" და „ტორპედოს" დაპირისპირება 17 საათზე დაიწყება და საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზეც ამ, უდავოდ, საინტერესო შეხვედრის პირდაპირი რეპორტაჟია დაგეგმილი.

ახლა კი საქართველოს 2011-2012 წლების დავით ყიფიანის სახელობის თასის XXII გათამაშების დებულებასაც გავეცნოთ.

— 1/4 ფინალური თამაშები, ორი შეხვედრის ჯამში თუ ფრედ დამთავრდება, გამარჯვებული გამოვლინდება:

ა) ორი შეხვედრის ჯამში მეტი გატანილი ბურთების რაოდენობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ორი შეხვედრის ჯამში გატანილი ბურთების რაოდენობა ერთნაირია, უპირატესობა ენიჭება იმ გუნდს, რომელმაც მეტი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის მოედანზე.

**იმ შემთხვევაში, თუ ორივე გუნდმა ბურთების თანაბარი რაოდენობა გაიტანა როგორც შინ, ასევე გასვლაზე, დაინიშნება ორი 15-წუთიანი დამატებითი ტაიმი.**

**იმ შემთხვევაში, თუ დამატებით დროში ორივე გუნდი ერთნაირი რაოდენობის ბურთებს გაიტანს, გამარჯვებულად ცხადდება სტუმართა გუნდი.**

**იმ შემთხვევაში, თუ დამატებით დროში არ იქნა გატანილი ბურთები, ინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები (ფიფას წესებით).**

ზესტაფონი–ტორპედო
პირველი მატჩი 1:1
07.12. ზესტაფონი.
დ. აბაშიძე
17:00
Live რეპორტაჟი პირველ არხზე



ტორპედო-ზესტაფონი 1:1

ეს მეტოქეები მართლაც ადრეულ ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს და იმის გათვალისწინებითაც, რომ თბილისის „დინამო" თასისათვის ბრძოლას თავისთვის უჩვეულოდ ნაადრევად და სენსაციურად გამოეთიშა, ამ პრიზის მოპოვების ერთ-ერთი რეალური ფავორიტიც სწორედ „იმერულ დერბიში" უნდა „ვეძებოთ" (ნურც „მეტალურგს" დავივიწყებთ); რაც მთავარია, ფეხბურთის ქომაგებს (ზესტაფონელსაც, ქუთაისელსაც და ნეიტრალურსაც) მორიგი ლამაზი სანახაობის მოლოდინი აქვთ: მეორე წელია, ამ გუნდების დაპირისპირებები უშელავათო და საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ჩემპიონატისა იქნება თუ სათასო, „ზესტაფონისა" და „ტორპედოს" ნებისმიერი პაექრობის წინ ფავორიტას ვერ დაასახელებ. ასეა ახლაც: პირველ მატჩში დაფიქსირებული საყაიმო ანგარიში (1:1), ერთი შეხედვით, „ზესტაფონს" ანიჭებს მცირე უპირატესობას. თუმცა არა გვგონია, რომ **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდი... თავისთვის სასურველი ფრისთვის (0:0) იბრძოლებს. რა თქმა უნდა, ფეხბურთში ხანდახან პრაგმატიზმიც აუცილებელია, მაგრამ უკვე წლებია, „ზესტაფონის" სათამაშო კრედო მხოლოდ და მხოლოდ შეტევაა და მართლაც სასიამოვნოა, რომ გუნდის „საფეხბურთო მსოფლმხედველობა" არც ახალ სამწვრთნელო შტაბს შეუცვლია. ეს სათამაშო სტილი კი **გია გეგუჩაძემ** დანერგა, „ზესტაფონს" მეტოქის რანგში რომ უნდა დაუპირისპირდეს. თუმცა, გეგუჩაძე ყოფილი გუნდიდან წამოსვლის მერე პირველად არ ჩადის ზესტაფონში — XII ტურში „ტორპედომ" სტუმრად აჯობა ქვეყნის ჩემპიონს; რაც შეეხება პირველ სათასო შეხვედრას, ვინც ეს მატჩი იხილა, ალბათ, ბევრი დაგვეთანხმება, რომ ჩინებული პაექრობა იყო. პირველი ტაიმი მეტ-ნაკლებად თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა გოლის გატანა მაინც მასპინძლებმა შეძლეს: თავი გამოიჩინა მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულმა **დავით გამეზარდაშვილმა.** მეორე ტაიმში კი სტუმრები შესამჩნევად გააქტიურდნენ, ახალგაზრდა სპეციალისტმა გიორგი ჭიაბრიშვილმაც ეფექტიანი შეცვლები განახორციელა და „ზესტაფონის" უპირატესობაც აშკარა იყო. აღარ შევუდგებით იმ მომენტების ჩამოთვლას, მასპინძელთა კართან რომ შეიქმნა: გოლის გატანის ჩინებული შანსები ჰქონდათ **შოთა გრიგალაშვილს, ირაკლი ძარიას, თორნიკე აფციაურს, ჯაბა დვალს, ედიკ საჯაიას**; ერთი-ორ ეპიზოდში სტუმართა დარტყმებს მცირე სიზუსტე აკლდა, დანარჩენ შემთხვევაში კი შთამბეჭდავად თამაშობდა **ომარ მიგინეიშვილი,** — ძნელია იმ მომენტების ჩამოთვლა-აღწერა, „ტორპედოს" მეკარემ საკუთარი გუნდი როცა იხსნა. თუმცა, ერთ ეპიზოდში მიგინეიშვილიც უძლური აღმოჩნდა — იმ შეხვედრის კიდევ ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა, ჯაბა დვალმა ჯერ თავის „საფირმო" ფინტი ჩაატარა, მერე კი არანაკლებ ეფექტური დარტყმით მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა...

ვიტ ჯორჯია–მეტალურგი
პირველი მატჩი 0:1
07.12. მცხეთა.
მცხეთა პარკი
13:30

ეს გუნდები ამ სეზონში... მეოთხედ ხვდებიან ერთმანეთს: ჩემპიონატის ორი დაპირისპირებიდან ერთი „მეტალურგმა" მოიგო (2:0), ერთიც ფრედ (0:0) დამთავრდა; რაც შეეხება პირველ სათასო მეოთხედფინალს, რუსთაველებმა **გიორგი სეთურიძის** ერთადერთი (თანაც, ერთობ ეფექტური) გოლის წყალობით მოიგეს. მოკლედ, ამ წყვილს საკმარისზე მეტი ინტრიგა აქვს შემორჩენილი — სტუმრებს კი აქვთ ერთბურთიანი უპირატესობა, მაგრამ ახალგაზრდა „ვეტერინარები" უპრობლემოდ რომ არაფერს დათმობენ, ეს სამი დღის წინაც დადასტურდა. შეგახსენებთ, რომ დღევანდელი მეტოქეების ბოლო დაპირისპირება კვირას, რუსთავში შედგა, სადაც წყვილის უპირობო ფავორიტად მიჩნეულმა „მეტალურგმა" მონდომებული და მოტივირებული „ვიტ ჯორჯიას" ძლევა ვერაფრით მოახერხა. მართალია, მასპინძლებმა გოლის გატანის თითქმის ასპროცენტიანი შანსი გაანიავეს (გუნდის შტატიანმა პენალტისტმა **ლუკა რაზმაძემ** ყოფილი გუნდის კარში პენალტი ვერ გაიტანა), სტუმართა აქტიური თამაშიც არ უნდა დაგვავიწყდეს; ყოველ შემთხვევაში, მატჩის ბოლო წუთებზე „ვიტ ჯორჯია" უფრო მწვავედ უტევდა, ვიდრე — „მეტალურგი". ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მცხეთაში დღეს საინტერესო მატჩს უნდა ველოდოთ.

დილა–ბაია
პირველი მატჩი 2:2
07.12. გორი.
ქართლი
13:30

კიდევ ერთი წყვილი, სადაც წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება და ორივე გუნდსაც წარმატების მისაღწევად ერთნაირი შანსი აქვს... რა ბევრი მტკიცება სჭირდება იმ ფაქტს, რომ „ბაიასთვისაც" და „დილასთვისაც" ნახევარფინალში გასვლა უდიდესი მიღწევა იქნება; მერე, ხომ შეიძლება ამ წყვილში გამარჯვებულს ნახევარფინალისტის კენჭისყრისასაც მეტ-ნაკლებად გაუმართლოს და ფინალშიც გააღწიოს. არადა, საქართველოს თასის ისტორიაში არც „დილას" და არც ზუგდიდურ კლუბებს ფინალში არასდროს უასპარეზიათ...

ერთი შეხედვით, პირველ მატჩში დაფიქსირებული ანგარიში მასპინძელთათვის უფრო არის ხელსაყრელი: **თემურ მახარაძის** შეგირდები ნამდვილად არ იქნებიან უარს, მერვედფინალის „სცენარი" გაიმეორონ, როცა სტუმრად „დინამოსთან" ნათამაშებ 2:2-ს საშინაო 0:0 „მოაყოლეს". ისე, თემურ მახარაძე ვახსენეთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ამ გამოცდილი სპეციალისტისათვის მეოთხედფინალები და ნახევარფინალები კი არა, თასის ფინალ(ებ)ი არ არის „უცხო ხილი"...

**გია ტუხაშვილი**

07.12. ზუგდიდი.
ბაიას ბაზა
13:30
მერანი–გაგრა
პირველი მატჩი 0:4

სათასო გათამაშებას (თანაც, ნებისმიერ ქვეყანაში) არაერთი სიურპრიზი-სენსაცია ახასიათებს ხოლმე; ისიც ხშირად მომხდარა (მათ შორის, ჩვენთანაც), როცა ერთ გუნდს პირველ მატჩში მოპოვებული სამბურთიანი უპირატესობა გაუფლანგავს და მომდევნო ეტაპის საგზური მეტოქისათვის „გადაულოცავს". თუმცა, ამ სეზონის უდავო აღმოჩენის, „მერანის" მიმართ ჩვენი სიმპათიების მიუხედავად, ვეჭვობთ, რომ მარტვილელებმა დღეს სუპერ-სენსაცია მოახდინონ და ამ ბოლო დროს ჩინებულად ათამაშებულ „გაგრას", სულ მცირე, ოთხი ან ხუთბურთიანი სხვაობით აჯობონ (მით უფრო, რომ დღევანდელი მატჩი არა მარტვილში, არამედ ზუგდიდში ტარდება). არადა, იმასაც შეგახსენებთ, რომ უმაღლესი ლიგის გუნდებიდან ამ სეზონში საშინაო შეხვედრებში საუკეთესო შედეგი სწორედ „მერანს" აქვს — 21 შესაძლებლობიდან 19 ქულა აქვს მოპოვებული...

ლეგიონერი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქვირქველიას ვარიანტები
### A - ანორთოსისი, B - ომონია

ამ ცოტა ხნის წინ გაცნობეთ, რომ საქართველოს ნაკრებისა და საბერძნეთის სუპერლიგის „პანიონიოსის" 21 წლის მცველ **დავით კვირკველიას** კვიპროსის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ ლიდერ კლუბში იწვევენ.

საბერძნეთიდან წასვლით თავად კვირკველიაა დაინტერესებული, რადგან ეკონომიკური კრიზისი ფეხბურთსაც შეეხო - მესამე თვეა, „პანიონიოსი" მოთამაშეებს ხელფასებს ვერ უხტუმრებს.

შევიტყვეთ, რომ კვირკველიას საქმეების მოსაგვარებლად მისი მენეჯერი **მამუკა ჯულელი** კვიპროსში იმყოფებოდა — საქართველოს ნაკრებში, რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონატებში ნაცადი მცველით **თემურ ქეცბაიას** ყოფილი კლუბი, ფამაგუსტას "ანორთოსისი" დაინტერესდა, ჯულელი კი მოლაპარაკებას "ანორთოსისის" სპორტულ დირექტორ **გიორგი ქინქლაძესთან** აწარმოებდა.

გავიგეთ ისიც, რომ კვირკველიას მეორე კვიპროსულ კლუბში, კუნძულზე არანაკლებ პოპულარულ და ტიტულოვან ნიქოზიის "ომონიაშიც" იწვევენ, რომელსაც წლების წინ **დავით ყიფიანი** ავარჯიშებდა.

12 ტურის შემდეგ "ომონია" 28 ქულით კვიპროსის ჩემპიონატის ლიდერია, "ანორთოსისი" კი 22 ქულით მეოთხე ადგილზეა.

გამოცდილი მოთამაშის საკითხი, წესით, არ უნდა შეფერხდეს და, ალბათ, მალე გვეცოდინება, დარჩება კვირკველია "პანიონიოსში" თუ კარიერას კვიპროსში გააგრძელებს.

**მერაბ მამულაშვილი**

სიტყვა საქმიანი



ეს იყო და...

## მარტვილური პრეცედენტი დევიზით: წინ! გავიხედოთ წინ!



...ეს იქნება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბოლოდროინდელ ინიციატივათაგან ერთ-ერთი საფეხბურთო სკოლების ცალკე, დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბების მოთხოვნა იყო. მარტვილში, **ჯესი სურმავას** თაოსნობით, უკვე გადაიდგა საამისო ნაბიჯები. კერძოდ, შეიქმნა საფეხბურთო სკოლისთვის შესაბამისი გარემო, შემუშავდა დებულება. სკოლაში ვარჯიშობს 160-მდე პერსპექტიული ბავშვი, რომელთაც ავარჯიშებს 11 მწვრთნელი, ჩამოყალიბებულია 8 გუნდი. მარტვილელთა ინიციატივა სამაგალითო გახდა სამეგრელოში: ამ საკითხით დაინტერესება გამოთქვეს ხობის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და სენაკის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებმა.

ჯესი სურმავა (საფეხბურთო სკოლის დირექტორი): - 2011 წლის დასაწყისში ჩამოვაყალიბეთ საფეხბურთო სკოლა, რომელიც სრულად გაემიჯნა სპორტსკოლას. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გავიარეთ კონსულტაცია, შევქმენით საკუთარი წესდება. მიზანი და ამოცანა, რასაკვირველია, ქართული ფეხბურთის განვითარება, ტალანტების მოძიება და მათი სწორად აღზრდაა. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ჩამოვაყალიბოთ ინტერნატის ტიპის სკოლა, რომელიც სისტემატურად მოამარაგებს კადრებით საფეხბურთო კლუბ „მერანს". რაიონის ხელმძღვანელთა ხელშეწყობით დაგეგმილია სოფელ სერგიეთის ყოფილი კოლმეურნეობის შენობის ევროპულ დონეზე, ყველა სტანდარტის დაცვით რესტავრირება. ვაპირებთ ორი დიდი და ერთი მინიმოედნის მოწყობას.

**სერგო კვარაცხელია** (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი): - ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ინიციატივითა და სახელმწიფოს ხელშეწყობით ქართული ფეხბურთი ახალ სტრუქტურულ მოწყობაზე გადადის, ბევრი რამ კეთდება მის ასაღორძინებლად. სამეგრელოში ამ მხრივ აქტიურობაა. მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მარტვილში, სადაც, ფაქტობრივად, ხორციელდება საფეხბურთო სკოლის დამოუკიდებლად მართვა. გვსურს, ყველა რაიონი დავაინტერესოთ ამ სიახლით, რათა ფეხბურთი რეგიონში უფრო მასობრივი და პოპულარული გახდეს — უმაღლეს ლიგაში ხომ სამი გუნდით ვართ წარმოდგენილნი და, ცხადია, წინ უნდა გავიხედოთ.

**ბესიკ გვაზავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული

# კოტეჯზე სუარესი გადარიეს


ლუის სუარესი

„ლივერპულის" 24 წლის თავდამსხმელმა, **ლუის სუარესმა**, რომელსაც ცოტა ხნის წინ „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა, **პატრის ევრამ** რასობრივ შეურაცხყოფაში დასდო ბრალი, თავი ახალ შარში ამოყო — „კრეივენ კოტეჯზე", „ფულჰემთან" შეხვედრაში, მასპინძელთა ქომაგების ქცევა ველარ მოითმინა და უხამსი ჟესტით უპასუხა. „ფულჰემმა" „ლივერპულს" 1:0 მოუგო.

დასავლეთლონდონელმა ქომაგებმა ურუგვაელი მართლაც შავ დღეში ჩააგდეს. მათ მოეჩვენათ, რომ ის მუდმივად სიმულანტობდა, მსაჯისთვის ჯარიმების გამოტყუებას ცდილობდა და ამის გამო მთელი მატჩის განმავლობაში თაღლითს უძახდნენ. სუარესმა შეხვედრის დროს თავი შეიკავა, დამთავრების შემდეგ კი აგრესიულ მაყურებელს შუა თითი აჩვენა.

მერსისაიდელთა მწვრთნელმა, **კენი დალგლიშმა** მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ ურუგვაელთან დალაპარაკება მოუწევს, რადგან ასე მან შეიძლება საკუთარ კარიერას ავნოს:

*„სუარესის ჟესტი ჩემი თვალით არ მინახავს და ამიტომ ზეპირად არავის ვენდობი. თუ ფოტოს მაჩვენებთ და დამარწმუნებთ, რომ ყველაფერი მართლაც ასე მოხდა, მაშინ გადაწყვეტილებას მივიღებ".*

დალგლიშს „ფულჰემის" გულშემატკივართა ქცევის კომენტირებაც სთხოვეს. მან უგო: *„მათი ქცევა სკანდალური იყო. ჩვენ სუარესს, რასაკვირველია, მივხედავთ, მაგრამ დროა ის ვილაც-ვილაცებისგან დავიცვათ კიდეც. ლუისი ზედმიწევნით პატიოსანი ადამიანია. დღეს, ძილის წინ, მან შეიძლება სარკეში ჩაიხედოს და იქ მართალი კაცი დაინახოს".*

ეს დღე „ლივერპულისთვის" იღბლიანი რომ არ იყო, 25 წლის **ჯეი სპირინგის** გაძევებითაც დამტკიცდა. ცენტრალური ნახევარმცველის გაგდება მსაჯთა საკამათო გადაწყვეტილებებით სავსე ტურის ბოლო წერტილი იყო. სპირინგი 24 წლის ბელგიელ **მუსა დემბელესთან** ორთაბრძოლის დროს აშკარად ბურთს შეეხო და არა მეტოქეს, მაგრამ არბიტრმა, **კევინ ფრენდმა** წითელი ბარათი აუფრიალა. დალგლიშმა თქვა:

*„ვფიქრობ, ამ ეპიზოდზე ლაპარაკს აზრი არ აქვს, თუ მსაჯი არ გვეტყვის რა დაინახა, როგორია მისი ინტერპრეტაცია. მე ვიცი, რომ ჯეის ერთადერთი რამ, ბურთის მოპოვება უნდოდა და ეს გააკეთა კიდეც".*

„ფულჰემის" თავკაცმა, ჰოლანდიელმა **მარტინ იოლმა** კი იფიქრა, ჩემი გუნდის ისედაც იშვიათ გამარჯვებებს ჩირქს სცხებენო და მსაჯი დაიცვა:

*„წითელი ბარათის ეპიზოდში რა არის გასარჩევი? დარწმუნებული ვარ, რომ ლივერპულელმა იუხეშა. თუ მომენტს მეორე კუთხიდან შეხედავთ, ნახავთ, რომ არბიტრი მართალი იყო".*

# გრემ პოლი: გასაგდები იყო!


ჯეი სპირინგისა და მუსა დემბელეს ორთაბრძოლა

ფიფას ყოფილმა არბიტრმა და „დეილი მეილის" ექსპერტმა, **გრემ პოლმა** „ფულჰემისა" და „ლივერპულის" შეხვედრაში მომხდარ ინციდენტს თავისი კომენტარი გაუკეთა. ის დარწმუნებულია, რომ **ჯეი სპირინგი მუსა დემბელესთან** ორთაბრძოლაში მოედნიდან გასაგდები იყო და არბიტრი **კევინ ფრენდი** აბსოლუტურად სწორად მოიქცა, როდესაც მას წითელი ბარათი ამოუღო.

*„მიუხედავად იმისა, რომ დემბელესთან ორთაბრძოლის დროს სპირინგი ჯერ ბურთს შეეხო და მეტოქეს მერელა მიენარცხა, ის მოედნიდან მაინც გასაგდები იყო - დაწერა პოლმა თავის ტრადიციულ სვეტში - ლივერპულელი თავის სხეულსა და მოძრაობას ველარ აკონტროლებდა. ის მთელი ძალით გაქანდა და ჯერ ბურთს რომ შეეხო, მხოლოდ გამართლების ამბავი გახლდათ. ამიტომაც იყო ფრენდი ვალდებული ფეხბურთელის საქციელი სერიოზულ დარღვევად ჩაეთვალა და ის მოედნიდან გაეძევებინა. მსაჯის უპირველესი ამოცანა ფეხბურთელების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვაა და თუ რომელიმე მოთამაშის ქცევა სხვის უსაფრთხოებას ეჭვქვეშ აყენებს, ის გასაძევებელია.*

*შეამოწმეთ ვიდეოჩანაწერი, ნახეთ ფოტოებზე. ძნელია იმას, რაც სპირინგმა გააკეთა, მძვინვარე და უხეში არ უწოდო. რად უნდა ლაპარაკი, რომ ის დემბელეს ჯანმრთელობას ხიფათს უქმნიდა. დიდი ხანია ვამტკიცებ, რომ ბურთისთვის ფეხის მიკვრა ფეხბურთელს პასუხისმგებლობას არ უხსნის. ამის შესანიშნავი ნიმუში გახლდათ სპირინგისა და დემბელეს ეპიზოდიც.*

*„ლივერპულს" შეუძლია თქვას, რომ შეხვედრა „ფულჰემსაც" ათი კაცით უნდა დაესრულებინა. ლაპარაკია ფილიპ სენდეროსის ორ საყვითლე უხეშობაზე. პირველ შემთხვევაში, როდესაც სენდეროსმა ჩარლი ადამი წააქცია, ფრენდი სწორად მოიქცა, ყვითელი ბარათი რომ ამოილო, ხოლო მეორე ეპიზოდი, როდესაც სენდეროსი უკვე ენდი ქეროლს დაესხა ზურგს უკნიდან, მსაჯმა ვერ დაინახა, თორემ ლონდონელთა ფეხბურთელს, რასაკვირველია, გააგდებდა. სამწუხაროდ, ფეხბურთის მსაჯებს ვიდეოჩანაწერების ნახვის ფუფუნება არ გვაქვს".*

მანჩესტერ სიტი

# მიბრძანდით, ბატონო

„მანჩესტერ სიტიმ" იტალიური „მილანის" წარმომადგენლებს ნება დართო **კარლოს ტევესთან** მოლაპარაკებები დაიწყონ. მოგეხსენებათ, იტალიის ჩემპიონი უკვე კარგა ხანია 27 წლის არგენტინელით არის დაინტერესებული, მაგრამ მანჩესტერში ფეხბურთელის გარშემო ისეთი ამბები იყო ატეხილი, რომ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისგან თავს იკავებდა. მილანელთა შეფმა, **ადრიანო გალიანიმ** თქვა:



*„ტევესი „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელია. ინგლისურმა კლუბმა ნება დაგვრთო ფეხბურთელის წარმომადგენლებთან მივსულიყავით და მოლაპარაკებები წამოგვეწყო. რაც შეეხება უშუალოდ „სიტისთან" მოლაპარაკებებს, ის ჯერ არ დაგვიწყია. წარმოდგენა არ გვაქვს, მანჩესტერელებს რა უნდათ და, საერთოდაც, მიჯობს ტევესის თემაზე არ ვილაპარაკო, რადგან ბევრი ლაპარაკით მის ფასს გავზრდით, რაც ნამდვილად არ მაძლევს ხელს".*

ინგლისური ტაბლოიდები წერენ, რომ არგენტინელი თავდამსხმელის აგენტი, ბრაზილიელი **კია ჯურაბჩიანი** გასულ კვირაში იტალიაში იყო და „მილანის" წარმომადგენლებს იქ ელაპარაკა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ვესტ ჰემისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ფეხბურთელი იანვარში ისტლენდიდან წავა. დაუსრულებელი კონფლიქტების შემდეგ ტევესის „ეტიჰედ სთედიუმზე" დარჩენა გამორიცხულია. გეხსომებათ, რომ ტევესი, ნოემბერში, კლუბის ნებართვის გარეშე არგენტინაში დაბრუნდა და მას მერე ინგლისში ალარც დაბრუნებულა.

მილანელები კი, მოგეხსენებათ, თავდასხმის გაძლიერებით არიან დაინტერესებული. ავადმყოფობის გამო მათ **ანტონიო კასანო** გამოაკლდათ და წინა ხაზის გაძლიერება სჭირდებათ. ეს გალიანიმ პირადად დაადასტურა. როდესაც ჰკითხეს, იანვრის სატრანსფერო ბაზარზე „როსონერი" აპირებს თუ არა აქტიურობას, მან უპასუხა: *„თუ ვინმე შემოგვემატება, ეს იქნება თავდამსხმელი, რომელიც ანტონიო კასანოს ადგილს შეავსებს".*

# ბოსი




ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘᲐ, რომ „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** ურთულესი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი — მას გუნდში მდიდარი და ხშირ შემთხვევაში ჭირვეული ვარსკვლავები ჰყავს. ამ ვარსკვლავთაგან თითოეულს მორჯულება სჭირდება, მაგრამ ერთ-ერთი მეთოდი, რომლითაც მანჩო ამას აკეთებს, საკმაოდ უცნაურია. კერძოდ, რამდენიმე დღის წინ, ვარჯიშზე, ისტლენდელთა იტალიელი თავკაცი მივიდა ბუცებით, რომელზეც ამოტვიფრული იყო სიტყვა „ბოსი". როგორც ჩანს ამ მრავლისმეტყველმა ფეხსაცმელმა ჭირვეულ ვარსკვლავებს მკაფიოდ უნდა მიუთითოს, ვინ არის ქერინგტონის საწვრთნელ ბაზასა და „ეტიჰედ სთედიუმზე" უფროსი.

კაცმა რომ თქვას, უცნაურია მანჩინის მეთოდები თუ არა, შედეგი მოაქვს. მწვრთნელს, ფაქტობრივად ერთადერთი თავის ტკივილი დარჩა – **კარლოს ტევესი**, რომელსაც იანვარში, ალბათ, თავიდან მოიშორებენ. რაც შეეხება 21 წლის შეჩანებულ **მარიო ბალოტელის**... ის ასეთია და ან უნდა შეეგუო ან არა. სხვა მხრივ კი, გუნდის გამოსვლები ადასტურებს, რომ ჭირვეულ ვარსკვლავთა კლუბში საქმეები კარგად მიდის — შედეგებზე უკეთესი ინდიკატორი, მოგეხსენებათ, არ არსებობს. „სიტი" პრემიერლიგაში პირველ ადგილზეა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში, მიუხედავად იმისა, რომ წაიფორხილა, გამართლების შემთხვევაში პლეი ოფში გასვლის შანსი მაინც აქვს.

მანჩესტერ იუნაიტედი

# მსოფლიო კლასის დაცვა



ნემანია ვიდიჩი და რიო ფერდინანდი

„ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲘᲣᲜᲐᲘᲢᲔᲓᲘᲡ" 27 წლის მეკარე, დანიელი **ანდერს ლინდეგაარდი** ამბობს, რომ გუნდის კარგი ფორმა მსოფლიო კლასის დაცვითაა განპირობებული. ინგლისის ჩემპიონებმა პრემიერლიგის ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხში გოლი არ გაუშვეს.

გავიხსენოთ: „ხმაურიან მეზობელთან" 1:6 ნაგების შემდეგ სერ **ალექს ფერგიუსონის** შეგირდებმა მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს. ეს 26 ნოემბერს „ნიუკასლთან" 1:1 დასრულებულ შეხვედრაში მოხდა და ისიც... შეცდომით დანიშნული პენალტის გამო.

ლინდეგაარდი ამბობს: *„თუნდაც ბოლო შეხვედრა შევაფასოთ, „ასტონ ვილასთან". ჩვენმა დაცვამ უნაკლოდ ითამაშა. ნემანია ვიდიჩმა და რიო ფერდინანდმა დაამტკიცეს, რომ ისინი მსოფლიო კლასის ფეხბურთელები არიან.*

*საერთოდ, ჩვენს გუნდში საოცარი კონკურენციაა. დაცვის ცენტრში ორი ადგილია და ამ დგილებს ერთმანეთს ოთხი თუ ხუთი საუცხოო ფეხბურთელი ეცილება. ვიდიჩსა და ფერდინანდზე უკვე გითხარით და შემიძლია მათ ფილ ჯონსი და კრის სმოლინგიც დავამატო".*

19 წლის ჯონსმა, თავის მხრივ, თქვა, რომ მთავარია გუნდმა მოიგოს, თორემ პირადად მას რომელ პოზიციაზე ათამაშებენ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. შეგახსენებთ, რომ ჯონსს ხან დაცვის ცენტრში ათამაშებენ, ხან ფრთაზე და ხანაც ნახევარდაცვაში.

*„მე ძალიან მიყვარს ფეხბურთის თამაში და პოზიციების ცვლა ნამდვილად არ მაწუხებს".*

მოგეხსენებათ, „იუნაიტედს" ბოლო ტურში უსიამოვნო ამბავიც შეემთხვა — დაშავდა 23 წლის მექსიკელი თავდამსხმელი **ხავიერ ერნანდესი**. ერნანდესი, იგივე ჩიჩარიტო „ასტონ ვილასთან" 1:0 მოგებული შეხვედრის პირველ ტაიმში გაიყვანეს მოედნიდან. ჩიჩარიტოს, სავარაუდოდ, ერთი თვე გაუცდება.

არსენალი

„არსენალს" დაარსებიდან 125 წელი შეუსრულდა და პარასკევს ამ თარილთან დაკავშირებულ ღონისძიებებს გეგმავს. ერთ-ერთი ღონისძიება კლუბის ისტორიის სამი ლეგენდარული ფეხბურთელის ძეგლის გახსნაა. საინტერესოა, რომ კლუბი ლეგენდარული ტრიოს ვინაობის გამხელას არ ჩქარობს, უნდა,



ტიერი ანრი

# მეთოფეთა იუბილეზე

რომ ეს ხალხს პარასკევს სიურპრიზად შესთავაზოს, მაგრამ ცნობისმოყვარე ტაბლოიდები ვარიანტებს განიხილავენ და ამბობენ, რომ სამიდან ორის ვინაობა, სავარაუდოდ, ამოიცნეს. ლაპარაკია **კლიფ ბესტინსა** და **ტიერი ანრიზე**.

საიუბილეო ღონისძიებათა შორის არის 125-წლიანი ისტორიის განმავლობაში გამოცვლილი ფორმების წარმოდგენაც - სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელ გიგანტ „ნაიკთან" ერთად „მეთოფეებმა" გადაიღეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელშიც ეს ფორმებია ასახული. ფილმს ჰქვია „მუდმივად წინ". მასში გამოხატულია წარსულის პატივისცემა და ლაპარაკია სამომავლო გეგმებზე. მოგეხსენებათ, მაისში „მეთოფეებმა" ხალხის სამსჯავროზე გამოიტანეს ახალი, საიუბილეო მაისურები.

საინტერესოა, რომ ჩრდილოეთ ლონდონში მოქმედი ფეხბურთის კლუბი „არსენალი" 1886 წელს სამხრეთ ლონდონში, კერძოდ ვულვიჩში დაარსდა და თავიდან „როიალ არსენალი" ანუ სამეფო არსენალი ეწოდებოდა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

ხორვატიის ნაკრები


სლავენ ბილიჩი

## ბილიჩი დონეცკზე უარს ამბობს

ხორვატიის ნაკრების ხელმძღვანელობა ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრის შედეგების გაანალიზების შემდეგ მიხვდა, რომ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე ალოგიკური იქნებოდა, ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას საცხოვრებლად დონეცკში დარჩენილიყვნენ. კენჭისყრის მეორე დღეს **სლავენ ბილიჩი** დონეცკში "კირშას" ბაზას ეწვია, სადაც ნაკრების ფეხბურთელებს **დარიო სრნასა** და **ედუარდოს** პირადად შეხვდა. *"როგორც კი გაირკვა, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის თამაშებს პოლონეთში ჩავატარებთ, დონეცკის ვარიანტი იმწუთასვე უარვყავით. თუმცა ამ ქალაქში მაინც ჩამოვედი, რათა ჩემს* ფეხბურთელებს შევხვედროდი, - განაცხადა ბილიჩმა და იქვე დაამატა - *ამ კვირაში ნაკრების მენეჯერი ალიოშა ასანოვიჩი პოლონეთში ჩავა და იმ ბაზებს მოინახულებს, რომელიც უკვე მოვინიშნეთ. სულ ასეთი 4-5 ვარიანტია. გვინდა, რომ მათი რიცხვი ორამდე მაინც შევამციროთ. რის შემდეგაც დავსხდებით და ყველაფერს დაწვრილებით განვიხილავთ. შევეცდებით იმის მსგავსი ბაზა მოვნახოთ, როგორიც 2008 წელს ავსტრიაში გვქონდა".*

შეგახსენებთ, რომ ხორვატიის ნაკრები C ჯგუფში ითამაშებს, სადაც მისი მეტოქეები ესპანეთის, იტალიისა და ირლანდიის ნაკრებები იქნებიან.

დაჯილდოება


მიშელ პლატინი

## პრეზიდენტის აღიარება

**უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ მორიგი აღიარება მოიპოვა. ის იტალიური ფეხბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს. ფრანგი ყველა დროის საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელად დასახელდა, ვისაც ოდესმე იტალიაში ბურთი გაუგორებია. მასალა უეფას ვებგვერდმა მოამზადა.**

დარბაზის გახსნის საზეიმო ცერემონიალი ფლორენციაში სახელგანთქმულ "პალაცე ვეკიოში" გაიმართა, სადაც **მიშელ პლატინის** იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გადასცა კიდეც დამსახურებული ჯილდო. უეფას პრეზიდენტის დაჯილდოების პატივი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **ლუიჯი ფერაილოს** ხვდა წილად. პლატინი იტალიაში 1982/87 წლებში "იუვენტუსის" შემადგენლობაში თამაშობდა, სადაც ორჯერ ქვეყნის ჩემპიონატი და ერთხელ თასი მოიგო. 1984 წელს "ბებერი ქალბატონის" რიგებში მან თასების თასი და ევროპის სუპერთასი მოიგო, 1985 წელს კი პლატინის "ბიანკონერიმ" ჩემპიონთა თასზე გაიმარჯვა. გუნდმა მოგვიანებით საკონტინენტთაშორისო თასიც დაისაკუთრა. 1983 წელს პლატინი 16 გოლით გახდა სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი, მან ეს მიღწევა 1984 და 1985 წლებშიც გაიმეორა, შესაბამისად 20 და 18 ბურთით. ამავე წლებში ის ზედიზედ სამჯერ გახდა "ფრანს ფუტბოლის" ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზის მფლობელი.

ამბები

### ჟირუს ინგლისში უნდა

"მონპელიესა" და საფრანგეთის ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელ **ოლივიე ჟირუში** ჯანმრთელმა ამბიციამ გაიღვიძა. პერსპექტიულ თავდამსხმელს მომავალ წელს ინგლისის პრემიერლიგის რომელიმე ამბიციურ კლუბში თამაში სურს. ოლივიეს ესმის, რომ გარდა ანაზღაურებისა, ის განვითარების მეტ შანსსაც მიიღებს. *"მონპელიეში" თამაში ძალიანაც მომწონს. მშვენიერ ფორმაში ვარ, თუმცა ამჟამინდელი მდგომარეობით ტკბობას არ ვაპირებ. მით უფრო, რომ ჩემით სხვა კლუბები არიან დაინტერესებულები, რაც სულაც არ მიკვირს. ჩემი პირადი სიმპათია გაინტერესებთ? არჩევანზე თუ მიდგება საქმე, მაშინ ინგლისის პრემიერლიგაში მოვსინჯავდი ძალებს".*

### მილიარდერი ფრანგულ ფეხბურთში

"ფორბსის" მონაცემებით 2010 წელს რუსმა მილიარდერმა **დმიტრი რიბოლოვლევმა** მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანებს შორის "მოკრძალებული" 79-ე ადგილი დაიკავა. მისი ქონება 9,8 მილიარდ დოლარს შეადგენს. სწორედ ასეთი გაქანების ბიზნესმენია დაინტერესებული "მონაკოს" შეძენითა და მისი შემდგომი განვითარებით. ოლიგარქმა **პრინც ალბერთან** მოლაპარაკების პირველი რაუნდი უკვე გამართა. ბიზნესმენის პრესსამსახურის განცხადებით, თუკი ისინი კლუბის საკონტროლო აქციებს შეიძენენ, მზად არიან, უახლოეს სატრანსფერო ბაზარზე სერიოზული თანხები დახარჯონ, რათა კლუბმა რანგით მეორე ლიგაში მაინც შეინარჩუნოს ადგილი. 16 ტურის შემდეგ ხომ **მარკო სიმონეს** შეგირდები 11 ქულით უკანასკნელ მე-20 ადგილზე არიან. შემდგომი განვითარებისთვის კლუბი პირველ ეტაპზე 200 მილიონ ევროს მიიღებს.

პოლონეთის ნაკრები

## სმუდას რაც უნდა, არ გამოვა

**"ფეიენოორდის", "ლივერპულისა" და "რეალის" ყოფილი მეკარე იეჟი დუდეკი პოლონეთის ნაკრების პერსპექტივაზე მსჯელობს. ის ფრანტიშეკ სმუდას გუნდს საკმაოდ მძიმე ფერებში გვიხატავს. რეალურად რას წარმოადგენს ეს გუნდი, ამას მხოლოდ ევროპის ჩემპიონატი დაგვანახვებს. იქამდე კი იმ ადამიანს მოვუსმინოთ, ვის კომპეტენციაშიც ეჭვის შეტანა ძალზე ძნელია.**


იეჟი დუდეკს პოლონეთის ნაკრების პერსპექტივის არ სჯერა

- ევროპის ჩემპიონატის ფინალური სტადიის კენჭისყრის შედეგების შემდეგ ეიფორიაში არ ჩავვარდნილვარ. სულაც არ მგონია, რომ ჩვენს გუნდს პლეი ოფის ეტაპზე მოხვედრა გარანტირებული აქვს. ფეხბურთს 20 წელი ვთამაშობდი და ვიცი, რომ ქულებს ასე იოლად არავინ არიგებს. თუმცა ისიც მესმის, რომ უკრაინის მსგავს ჯგუფში რომ მოვხვედრილიყავით, გასვლის შანსი პრაქტიკულად არ გვექნებოდა. ძალიან ბევრი ამბობს, რომ ახლანდელი გუნდი არის ბოლო წლების ისტორიაში ყველაზე სუსტი. მაშინ გამოდის, რომ თუკი ენგელის, იანასისა და ბეენჰაკერის ნაკრებები ყველა შეხვედრას აგებდნენ, სმუდას ფორმაციის ნაკრებს მათზე ნაკლები შანსი ექნება. მაშ რატომ ველოდებით, რომ ჯგუფიდან გავალთ? მეტოქეები ჩვენზე ძლიერები არიან. მერე რა, რომ განსხვავება კლასში ძალიან ბევრი არ არის? ის, რომ მე-2, მე-3 და მე-4 კალათის ყველა გუნდს მოხვედრა მაინცდამაინც ჩვენთან უნდოდა, თავისთავად ბევრის მთქმელია.

სმუდამ ყოველი მეტოქის დამარცხების გეგმა ცალკე უნდა დაამუშაოს. ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, შეიძლება გათვლილი იყოს მასმედიაზე და ეს კარგია, მაგრამ უშუალოდ გუნდს კონკრეტული გეგმა სჭირდება. ისეთი ტიპის ნაკრებებისთვის, როგორიც პოლონეთია, დიდ ტურნირებზე წარმატების ერთადერთი გზა ძლიერ დაცვაზე, კონტრშეტევებზე, გამორჩეულ ფიზიკურ მომზადებასა და მაქსიმალურ კონცენტრაციაზე გადის. 90 წუთის განმავლობაში პრესინგის თამაში, როგორც ეს ფრანტიშეკ სმუდას აქვს გეგმაში, არ გამოვა. ასე შეიძლება სან მარინოს ეთამაშო, მაგრამ არა სხვებს. ბოლო წლებში დიდ ტურნირებზე რამდენჯერმე მოვხვდით, რამაც ჩვენი გუნდის რეალურ პოტენციალზე ყალბი წარმოდგენა შექმნა. არ გვყავს ახალი თაობის ნიჭიერი ფეხბურთელები, არ გვაქვს სტრატეგია, გეგმა, თუ როგორ უნდა განვვითარდეთ. ენგელის დროს ბომბარდირი არ გვყავდა, რის გამოც მოქალაქეობა ოლისადებეს მისცეს. ახლა კი იძულებული ვართ, საზღვარგარეთ ვეძიოთ კარგი ცენტრალური მცველი, მარცხენა მცველი, საყრდენი ნახევარმცველი და გამთამაშებელიც.

პარი სენ-ჟერმენი

## ალარც ბენიტესი

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ "პარი სენ-ჟერმენი" ახალ მთავარ მწვრთნელს ეძებს, ფრანგული პრესა "პარკ დე პრენსზე" მუშაობას ხან ვის უწინასწარმეტყველებს, ხან ვის. მორიგი წყარო, რომელიც **რაფაელ ბენიტესის** პარიზულ კლუბში შესაძლო დანიშვნას კატეგორიულად უარყოფს, მისი აგენტი **მანოლო გარსია კილონია**. ის არათუ მსგავ პერსპექტივას, მხარეთა შორის მოლაპარაკების ფაქტსაც კი უარყოფს. *"ორშაბათს ბატონი ბენიტესი ოჯახთან ერთად ლივერპულში იყო. მან საღამო ხანს რესტორანში ივახშმა, ასე რომ, "პარი სენ-ჟერმენთან" მოლაპარაკებების საწარმოებლად არ ეცალა. მეტიც, ბოლო დროს რაფა პარიზში საერთოდ არ ყოფილა,"* – აცხადებს აგენტი. შეგახსენებთ, რომ ორშაბათს ტელეკომპანია "ალ ჯაზირამ" "ლურჯ-წითლების" სათავეში რაფა ბენიტესის შესაძლო დანიშვნაზე გაავრცელა ინფორმაცია. ყატარელთა მტკიცებით, 51 წლის სპეციალისტი ფრანგულ გრანდს იანვრიდან ჩაიბარებდა.

"პარი სენ-ჟერმენის" ყოფილი კაპიტანი, კლუბის ლეგენდა **პედრო პაულეტა** იმ იშვიათ ადამიანთა შორის შედის, ვისაც ჰყოფნის გამბედაობა, რომ გუნდის ამჟამინდელი თავკაცი **ანტუან კომბუარე** საჯაროდ დაიცვას. სეუ პედრო დედაქალაქურ კლუბში 2003/08 წლებში თამაშობდა. ამჟამად ის სწორედ საკლუბო სტრუქტურებშია დასაქმებული. პაულეტას მიაჩნია, რომ კლუბის ხელმძღვანელობა მთავარ მწვრთნელს უსამართლოდ ექცევა და რომ ის იმსახურებს შანსს, განაგრძოს მუშაობა ყველაზე ამბიციურ ფრანგულ კლუბთან. *"მიმდინარე სეზონში გუნდის ასპარეზობას*


რაფა ბენიტესი

*განსაკუთრებული ყურადღებით ვაკვირდები,* - განუცხადა მან "პარიზიენს". *– ვფიქრობ, უახლოეს პერიოდში მთავარი მწვრთნელის შეცვლა შეცდომა იქნება. კომბუარე მშვენივრად მუშაობს. მას შეუძლია კლუბი წარმატებების გზებზე დააყენოს. მას ამისთვის მხოლოდ და მხოლოდ ნდობა და მცირეოდენი დრო სჭირდება. მე ისიც მესმის, რომ წელს ჩვენ "ლილის", "ლიონისა" და "მონპელიეს" სახით სერიოზული კონკურენტები გვყავს. თითოეულ მათგანს შეუძლია ლიგა 1-ის ოქროს მედლების მოგება".*

ფრანგული პრესა ცოტა ხნის წინ წერდა, "პარი სენ-ჟერმენმა" "პალერმოსთან" შეთანხმებას მიაღწია და იანვარში სიცილიური კლუბიდან მარცხენა მცველ **ფედერიკო ბალცარეტის** გადაიბირებსო. მხარეთა შორის მოლაპარაკებები რომ წარმოებდა, ეს არავის უარუყვია, მთავარი იყო, როდის მიეცემოდა საფრანგეთის დედაქალაქში წასვლის უფლება იტალიის ნაკრების ფეხბურთელს. გუშინ ამ საკითხზე კომენტარი გააკეთა "პალერმოს" ვიცე-პრეზიდენტმა **გილერმე მიჩიჩემ**. აი, რა თქვა მან: *"შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ბალცარეტი "პალერმოში" მინიმუმ სეზონის ბოლომდე დარჩება. ეს უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია".* "პარი სენ-ჟერმენის" გარდა 31 წლის ფეხბურთელით (დაბადების დღე სიცილიელს სწორედ გუშინ ჰქონდა) ინგლისური პრემიერლიგის კლუბებიც იყვნენ დაინტერესებულები, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ფედერიკოს მეუღლე, ბალერინა **ელეონორა აბანიატო** მშობიარობის შემდეგ სამუშაოდ დაბრუნებას პარიზში აპირებს, ფეხბურთელს ყველაზე მეტად სწორედ ფრანგული ვარიანტი აძლევს ხელს.

კიევის დინამო

## ვეტერანთა პრობლემები


ანდრეი შევჩენკო

კიევის "დინამოს" 36 წლის გოლკიპერმა **ალექსანდრ შოვკოვსკიმ** 5 დეკემბერს უკრაინის ჩემპიონატის მე-19 ტურში დონეცკის "მეტალურგის" წინააღმდეგ თამაში გამოტოვა. მას მეორე დღესვე დაუკავშირდნენ ჟურნალისტები და უთამაშებლობის მიზეზები გამოჰკითხეს. აი, რას აცხადებს ფეხბურთელი: *"მეტალურგთან" თამაშის დაწყებამდე წვივების ტკივილმა შემაწუხა. გამოკვლევამ ცხადყო, რომ წლის ბოლომდე დარჩენილ ორ შეხვედრაში "კარპატისა" და "მაკაბის" წინააღმდეგ თამაშს ველარ შევძლებ".* ვეტერანის მინდორზე დაბრუნების თარიღზე უკრაინული პრესა ჯერჯერობით არაფერს იუწყება.

დონეცკურ კლუბთან მატჩამდე ჯანმრთელობამ შეაწუხა "დინამოს" კიდევ ერთი დამსახურებული ვეტერანი **ანდრეი შევჩენკოც**. 35 წლის თავდამსხმელს მარცხენა მუხლი სერიოზულად ასტკივდა. ექიმებს ჯერჯერობით საბოლოო დიაგნოზი არ დაუსვამთ, მაგრამ ეჭვობენ, რომ უკრაინის მრავალგზის ჩემპიონებს ანდრეი ზემოთ ხსენებულ მატჩებში ველარ დაეხმარება. "დინამოს" ვებგვერდის ინფორმაციით, შოვკოვსკიცა და შევჩენკოც ინდივიდუალური, შემსუბუქებული პროგრამით ვარჯიშობენ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

სერია A. XIV ტურის შეჯამება



# წითელი უიქენდი

თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ სერია A-ს მიმდინარე გათამაშების XIV ტური ფეხბურთელთა ზღვარგადასული უხეშობით გამოირჩა - მსაჯებმა ბლომად არიგეს ყვითელ-წითელი ბარათები, ამ მხრივ კი ყველასგან გამორჩეული „ფიორენტინა“-“რომას“ დაპირისპირება გახლდათ. იშვიათი ამბავია, რეფერიმ ერთი გუნდის სამი ფეხბურთელი გააძევოს მოედნიდან და კვირას სწორედ ასეთ მოვლენასთან გვქონდა საქმე. თუ რატომ და რისთვის დაისაჯნენ რომაელები, ამის აღწერა შორს წაგვიყვანს, მხოლოდ ის ვთქვათ, რომ არბიტრის მუშაობა ფედერკალჩომ დადებითად შეაფასა და დიდად არც რომაელებს გაუპროტესტებიათ რამე. ისე კი, იტალიურ სპორტულ პრესაში გასულ ტურს „წითელი უიქენდი“ უწოდეს, რაც სწორედ გაძევებათა სიმრავლით გახლავთ განპირობებული - თავად განსაჯეთ, ჩატარებულ 10 შეხვედრაში მსაჯებმა ჯიბიდან 8-ჯერ ამოიღეს წითელი ბარათი, ასეთი რამ კი აპენინებზე ძალიან დიდი ხანია არ მომხდარა. სანამ ტურის სიმბოლურ ნაკრებს, გმირს და სტატისტიკურ მონაცემებს გაგაცნობდეთ, იტალიურ სპორტულ პრესაში ყველაზე აქტუალურ ცნობას მოგაწვდით...

■ ■ ■

დიახ, **ადრიანო გალიანიმ** დაადასტურა, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში „მილანი“ **კარლოს ტევესის** გადაბირებას შეეცდება. ამის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გავრცელდა, მაგრამ მაშინ კითხვები პასუხგაუცემელი დარჩა - დღეს, სხვა ვითარებაა და ამაში ადრიანო გალიანი დაგარწმუნებთ:

*„რამდენიმე დღის წინ, კარლოს ტევესის პირად აგენტ კია ჯურაბჩიანს შევხვდი, რომელიც არგენტინელი ფორვარდის „მილანში“ გადმოსვლით არის დაინტერესებული. არ ვმალავთ, რომ ამის სურვილი ჩვენც გვაქვს და იმედია, მოლაპარაკების პროცესი წარმატებით დასრულდება. უახლოეს დღეებში, ალბათ თავად ფეხბურთელს შევხვდებით და იქ უკვე ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი“.*

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**აგაცი** (კალიარი) - **ბიავა** (ლაციო), **ტიაგო სილვა** (მილანი), **გამბერინი** (ფიორენტინა) - **ჯემაილი** (ნაპოლი), **მარკიზიო** (იუვენტუსი), **ნოჩერინო** (მილანი), **ისლა** (უდინეზე) - **კავანი** (ნაპოლი), **როკი** (ლაციო), **დი ვაიო** (ბოლონია).

XIV ტურის სიმბოლურ ნაკრებში ძირითადად ის ფეხბურთელები მოხვდნენ, რომლებმაც თავი გატანილი გოლებით გამოიჩინეს. დაცვაშიც კი, სამიდან ორი გამოირჩა და პირველ რიგში, სწორედ ამით მიიქციეს იტალიელ ჟურნალისტთა ყურადღება. მაგალითად, **ბიავამ** „ნოვარას“ გაუტანა, **გამბერინიმ** კი „რომას“ კარი დალაშქრა.

თავი გამოიჩინეს ნახევარმცველებმაც - **კლაუდიო მარკიზიომ** მთლიანობაში შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარა „ჩეზენასთან“ და სრულიად ლოგიკურად შეარხია მეტოქის კარის ბადე - იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენ ნახევარმცველებზეც: **ანტონიო ნოჩერინო** ტრადიციულად სტაბილური გახლდათ, **ჯემაილი,** როგორც წესი, დაცვით ფაზაშია ძლიერი, „ლეჩესთან“ კი წინაც გაიჭრა და დაგვანახვა, რომ შეტევაც შეუძლია, **ისლამ** კი ჩვეულად ბევრი ირბინა და თვით „ინტერს“ გაუტანა გამარჯვების გოლი.

თავდასხმაში ტრიო გავამწესეთ, რომლებზეც ხუთი გატანილი გოლი მოდის - **ედინსონ კავანიმ** „ლეჩეს“ შეუსრულა დუბლი, **ტომაზო როკიმ** კი „ნოვარას“. მართალია, **მარკო დი ვაიომ** მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ სამაგიეროდ, მისი შედეგიანი დარტყმა „ბოლონიასთვის“ სამი ქულის მომტანი გამოდგა. ერთი სიტყვით, დი ვაიოს კინკილა სხვის დუბლს არათუ ჩამორჩება, შესაძლოა ჯობია კიდეც...

### ტურის გმირი

ტურის გმირად **მაურისიო ისლა** უნდა დავასახელოთ, რომელმაც „უდინეზე“-“ინტერის“ შეხვედრაში ერთადერთი გოლი გაიტანა და ფრიულურ გუნდს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოაპოვებინა. ისლა ჩილელი გახლავთ, 23 წლის არის და „უდინეზეში“ 100-ზე მეტი შეხვედრა აქვს ჩატარებული - საგულისხმოა, რომ მაურისიო ძირითადად მეტოქის იერიშების ჩაშლით გახლავთ დაკავებული, რის გამოც უდინურ გუნდში მხოლოდ 4 გოლი აქვს გატანილი. „ინტერთან“ თავი გამოიდო, შეტევაშიც იაქტიურა და თამაშის დასრულებამდე დაახლოებით 20 წუთით ადრე, კარიერის ალბათ ყველაზე დასამახსოვრებელი გოლი გაიტანა. ნამატჩევს, ისლა ემოციებს ვერ მალავდა:

*„საოცარი შეგრძნებაა, როდესაც იცი, რომ შენმა გოლმა გუნდს სამი ქულა მოუტანა. მადლობა თანაგუნდელებს, რომლებმაც ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარეს და ჩემზე არანაკლები წვლილი შეიტანეს „ინტერის“ ძლევაში. მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო ცხრილში მილანელებს გვარიანად ვუსწრებთ, ფავორიტად მაინც „ნერაძური“ მიიჩნეოდა - ჩვენ კი დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია“.*

### ტურის ფრაზა

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ჯენოა-მილანის მატჩის შემდეგ):** *„ვინ აიღებს ოქროს ბურთს? - რა დროს ოქროს ბურთია, მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ და მორიგი სამი ქულა ჩავიწერეთ აქტივში. თუ მაინც ჩამეძიებით, გეტყვით, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი მე ვარ - სულ არ მჭირდება ოქროს ბურთი იმისთვის, რომ ეს ღიად განვაცხადო“.*

### გლობალური სტატისტიკა

**საუკეთესო დასწრება:** X ტური, ინტერი-იუვენტუსი, 75 000 გულშემატკივარი

**ყველაზე დაბალი დასწრება:** II ტური, კიევო-ნოვარა, 7 000 გულშემატკივარი

**ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება:** მილანი-კატანია 4:0 (XI ტური), მილანი-კიევო 5:0 (XIII).

**ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება:** ინტერი-ნაპოლი 0:3 (VI ტური), კალიარი-ლაციო 0:3 (X).

**ყველაზე უხვგოლიანი თამაში:** პალერმო-ინტერი 4:3 (II ტური), ლეჩე-მილანი 3:4 (VIII).

### სერიები

მოგება: იუვენტუსი - 5 თამაში
წაგება: ლეჩე - 3
წაუგებლად: იუვენტუსი - 12
მოუგებლად: ლეჩე - 3

### გუნდური სტატისტიკა

საუკეთესო თავდასხმა: 29 გოლი - მილანი; 24 - იუვენტუსი; 21 - ნაპოლი.

საუკეთესო დაცვა: 6 გაშვებული - უდინეზე; 9 - ლაციო; 10 - იუვენტუსი.

უარესი თავდასხმა: 6 გოლი - ჩეზენა; 10 - კიევო; 11 - ლეჩე, ბოლონია.

უარესი დაცვა: 24 გაშვებული - ნოვარა; 23 - ლეჩე; 20 - პარმა.

ზუსტი გადაცემები: 6911 - მილანი; 6186 - რომა; 5876 - იუვენტუსი.

კარის მიმართულებით დარტყმები: 230 - რომა; 222 - მილანი; 200 - იუვენტუსი.

კარში დარტყმები: 83 - მილანი; 76 - იუვენტუსი; 65 - რომა.

### ინდივიდუალური სტატისტიკა

**ბომბარდირები:** 10 - დენისი (ატალანტა); 9 - დი ნატალე (უდინეზე); 8 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 7 - ჯოვინკო (პარმა), კავანი (ნაპოლი); 6 - კლოზე (ლაციო), იოვეტიჩი (ფიორენტინა), მატრი (იუვენტუსი), მარკიზიო (იუვენტუსი).

**ასისტენტები:** 7 - ანტონიო კასანო (მილანი), - ალბერტო აკვილანი (მილანი); 6 - მირალემ პიანიჩი (რომა); 4 - ჯიბრილ სისე (ლაციო), როდრიგო პალასიო (ჯენოა), გასტონ რამირესი (ბოლონია), ხუან მანუელ ვარგასი (ფიორენტინა).

**ზუსტი პასები:** 887 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 870 - დანიელე დე როსი (რომა); 804 - კრისტიან ლედესმა (ლაციო); 751 - მიგელ ველოზო (ჯენოა); 734 - ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი).

**კარის მიმართულებით დარტყმები:** 59 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 52 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 46 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 38 - ადრიან მუტუ (ჩეზენა), ერნანესი (ლაციო).

**კარში დარტყმები:** 26 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 19 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა), ხერმან დენისი (ატალანტა). 15 - მარკო რიგონი (ნოვარა), სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 14 - ადრიან მუტუ (ჩეზენა).

**ჯარიმები:** 37 - ნენე (კალიარი); 35 სტეფანო მორონე (პარმა); 33 - ჯამპიერო პინცი (უდინეზე), პანაიოტის კონე (ბოლონია); 31 - ხერმან დენისი (ატალანტა), რაჯა ნაინგოლანი (კალიარი), ხუან კუადრადო (ლეჩე).

### ციფრები და ფაქტები:

„ინტერმა“ და „ჩეზენამ“ 2-მატჩიანი მოგებათა სერიები შეწყვიტეს;

■ ■ ■

“ლეჩე” ერთადერთი გუნდია სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში, რომელსაც არც ერთი შეხვედრა არ მოუგია საკუთარ მოედანზე;

■ ■ ■

- „პარმამ“ პირველი შეხვედრა დაამთავრა ფრედ მიმდინარე სეზონში;

■ ■ ■

- გასული ტურის 10 შეხვედრაში, მსაჯებმა 8-ჯერ ამოიღეს წითელი ბარათი, რაც მიმდინარე სეზონის სარეკორდო მაჩვენებელია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 13 | 8 | 5 | 0 | 24-10 | 29 |
| 2. მილანი | 13 | 8 | 3 | 2 | 29-14 | 27 |
| 3. უდინეზე | 13 | 8 | 3 | 2 | 16-6 | 27 |
| 4. ლაციო | 13 | 7 | 4 | 2 | 19-9 | 25 |
| 5. ნაპოლი | 13 | 5 | 5 | 3 | 21-13 | 20 |
| 6. პალერმო | 13 | 6 | 2 | 5 | 16-15 | 20 |
| 7. კალიარი | 13 | 4 | 5 | 4 | 12-13 | 17 |
| 8. რომა | 13 | 5 | 2 | 6 | 15-17 | 17 |
| 9. კატანია | 13 | 4 | 5 | 4 | 14-19 | 17 |
| 10. ფიორენტინა | 13 | 4 | 4 | 5 | 13-11 | 16 |
| 11. პარმა | 13 | 5 | 1 | 7 | 15-20 | 16 |
| 12. კიევო | 13 | 4 | 4 | 5 | 10-16 | 16 |
| 13. ატალანტა* | 13 | 5 | 6 | 2 | 16-15 | 15 |
| 14. ჯენოა | 12 | 4 | 3 | 5 | 14-16 | 15 |
| 15. სიენა | 13 | 3 | 5 | 5 | 14-12 | 14 |
| 16. ინტერი | 12 | 4 | 2 | 6 | 14-18 | 14 |
| 17. ბოლონია | 13 | 4 | 2 | 7 | 11-18 | 14 |
| 18. ნოვარა | 13 | 2 | 4 | 7 | 14-24 | 10 |
| 19. ჩეზენა | 13 | 2 | 3 | 8 | 6-15 | 9 |
| 20. ლეჩე | 13 | 2 | 2 | 9 | 11-23 | 8 |

*შენიშვნა: * ატალანტას დაკლებულია აქვს 6 ქულა*

**ლაშა წიკლაური**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# პისარო ინტერში?

## ნერაძურის თავდამსხმელი სჭირდება, პერუელი თანახმაა

მილანის „ინტერს“ ბრემენის „ვერდერის“ გამოცდილი პერუელი თავდამსხმელის, **კლაუდიო პისაროს** გადაბირება უნდა და როგორც ირკვევა, არც 33 წლის ფორვარდია უარზე. ჩვენი გერმანელი და იტალიელი კოლეგების ცნობით, დიდი შანსია, რომ ეს ტრანსფერი იანვარში განხორციელდეს. „ნერაძურის“ პისაროთი დაინტერესების შესახებ თავიდან მხოლოდ იტალიური პრესა წერდა, ახლა კი, გერმანულმა გაზეთმა „ველტმა“ ბრემენელთა გოლეადორის კომენტარი გამოაქვეყნა, სადაც პისარო მოსალოდნელ ტრანსფერს ადასტურებს.

*„დიახ, „ინტერს“ მართლაც სურს ჩემი გადაბირება და არც იმას დავმალავ, რომ მეც დაინტერესებული ვარ,“* - ამბობს პისარო „ველტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

მას „ვერდერთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. პისაროს მიმდინარე სეზონში 11 გოლი აქვს გატანილი და ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზე მყოფი ბრემენული კლუბის საუკეთესო ბომბარდირია. კლაუდიოს განცხადებას „ვერდერის“ ბოსი **კლაუს ალოფსი** გამოეხმაურა: *„პისარო ჩვენი ლიდერია და იანვარში მის გაყიდვას კატეგორიულად გამოვრიცხავ,“* - თქვა „მუსიკოსების“ სპორტულმა დირექტორმა. თუმცა ფაქტია, რომ თუ პისარო წასვლას დაიჟინებს, ბრემენელებს მისი შეფერხება გაუჭირდებათ.

**გოტფრიდ ლენცი**



# უცხოური ფეხბურთი

ესპანეთი. ლა ლიგა. XIV ტურის შეჯამება

# ელ კლასიკომდე

## რონალდო და მესი, ახლა უკვე პირისპირ



ცოტა არ იყოს, „უინტერესო“ ტური გამოდგა - **ინიგო მარტინესს** ამჯერად ცენტრიდან გოლი ალარ გაუტანია, სენსაციები არ ყოფილა - ყველა ფავორიტმა მოიგო: „რეალმა“, „ბარსამ“ და „ვალენსიამ“. „ელ კლასიკომდე“ დარჩა 3 დღე!

### სევილია თავის სიტყვას ამბობს

ტრადიციულად, ტურის შეჯამებას ორშაბათის მატჩით ვიწყებთ - „სანჩეს პისხუანზე“ „სევილიამ“ კომფორტული გამარჯვება იზეიმა „ხეტაფეზე“ (3:0) და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. პირველი გოლი ხორვატულ-არგენტინული გამოდგა - **ივან რაკიტიჩმა** კუთხური მოაწოდა და **ფედერიკო ფასიომ** თავით გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა **მანუ დელ მორალმა** ყოფილ გუნდს გაუტანა. თავი კიდევ ერთმა შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა, გამოიჩინა - ვეტერანმა **ფრედერიკ კანუტემ** ანგარიშს საბოლოო წერტილი დაუსვა.

### რონი VS ლეო

შაბათს, ამ ორი სუპერვარსკვლავის უშუალო დუელის მომსწრენი გავხდებით, მანამდე კი გრძელდება დაუსწრებელი ორთაბრძოლა. აქამდე **კრიშტიანო რონალდო** 8:7-ს უგებდა **ლიონელ მესის**.

რონალდომ „სპორტინგთან“ საგარეო გამარჯვებაში (3:0) 90 წუთი ითამაშა, კარისკენ 7-ჯერ დაარტყა, აქედან მხოლოდ ერთი იყო ზუსტი (ერთხელ ხარიხას გაარტყა), მაგრამ ეს დარტყმა შედეგიანიც ალმოჩნდა. პორტუგალიელზე 2-ჯერ დაჯარიმდნენ და ის 2-ჯერ ალმოჩნდა თამაშგარე მდგომარეობაში. goal.com-მა 7 ბალი დაუწერა.

მესიმ „ლევანტეს“ განადგურებაში (5:0) სრულად მიილო მონაწილეობა, კარისკენ 6-ჯერ დაარტყა, ორჯერ ზუსტად, თითო გოლი და საგოლე პასი მიითვალა, მის წინაალმდეგ ერთხელ დაჯარიმდნენ. გოლ.კომ-მა 7,5 ბალი დაუწერა.

მესიმ სულ ოდნავ, მაგრამ მაინც აჯობა რონალდოს და ანგარიშიც გათანაბრდა - 8:8.

#### ტურის სიმბოლური ნაკრები

GOAL.COM 4-4-2

მიუხედავად იმისა, რომ ორივემ კარგად ითამაშა, მესის და რონალდოს ადგილი ტურის სიმბოლურ ნაკრებში ვერ გამოინახა. თუნდაც „ბარსელონაში“, არგენტინელზე უკეთ **ანდრეს ინიესტა** და **სესკ ფაბრეგასი** გაისარჯნენ, „რეალში“ კი კრიშტიანო **ანხელ დი მარიამ** დაჩრდილა. ნაკრებში 4 ისეთი ფეხბურთელია, რომლებიც ერთხელაც არ მოხვედრილან აქამდე რჩეულებში - მეკარე და სამი მცველი.

*ანდრეს ფერნანდესი (ოსასუნა, 1) - სერხიო სანჩესი (მალაგა, 1), ჩიკო (მალიორკა, 1), ექტორ მორენო (ესპანიოლი, 1), მარსელო (რეალი, 2) - ანდრეს ინიესტა (ბარსელონა, 2), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა, 4), ტინო კოსტა (ვალენსია, 3), ანხელ დი მარია (რეალი, 4) - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო, 2), რობერტო სოლდადო (ვალენსია, 2).*

გარეშე „ღამურები“ ვერ იგებდნენ, ფორვარდიც შევიდა და გამარჯვებისა გაიტანა. ამ გოლმა ფაქტობრივად გამოკვეთა, რომ „ვალენსია“ მე-3 ადგილის დიდი ფავორიტია.

#### ტურის მსხვერპლნი

ამ ტურში დაშავდნენ: **დიეგო პეროტი** (სევილია), **კარლუშ მარტინში** (გრანადა), **კარლეს პუიოლი** (ბარსელონა) და **ლოლო** (ოსასუნა).

#### ტურის სტატისტიკა

30 გოლი ტურში (3,0 მატჩში). 8 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 1 ფრედ დასრულდა, სტუმრებმაც 1 მოიგეს. ტურში მსაჯებმა 65 ყვითელი და 1 წითელი ბარათი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი - **არავინ**
დუბლი - **სესკ ფაბრეგასი** (ბარსელონა)
ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **მოისეს გომესი** (ვილიარეალი, 17 წლის)
ყველაზე მეტი მაყურებელი: 79 400 - „კამპ ნოუ“
ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 12 900 - „ონო ესტადი“
ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 22 - რეალი
ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 8 - რეალი, ბეტისი, ატლეტიკო
ყველაზე მეტი ჯარიმა: 30 - მალიორკა
ყველაზე მეტი კუთხური: 11 - ბეტისი
ყველაზე მეტი თამაშგარე: 6 - რეალი
ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: 72% - ბარსელონა

**სპორტინგი-რეალი 0:3**

**საუკეთესო:** ანხელ დი მარია (რეალი)

**რასინგი-ვილიარეალი 1:0**

**საუკეთესო:** გონსალო კოლსა (რასინგი)

**ბარსელონა-ლევანტე 5:0**

**საუკეთესო:** სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)

**ვალენსია-ესპანიოლი 2:1**

**საუკეთესო:** რობერტო სოლდადო (ვალენსია)

**ატლეტიკო-რაიო ვალეკანო 3:1**

**საუკეთესო:** რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

**რეალ სოსიედადი-მალაგა 3:2**

**საუკეთესო:** კარლოს ველა (რეალ სოსიედადი)

**ოსასუნა-ბეტისი 2:1**

**საუკეთესო:** ანდრეს ფერნანდესი (ოსასუნა)

**მალიორკა-ბილბაო 1:1**

**საუკეთესო:** ალვარო ხიმენესი (მალიორკა)

**გრანადა-სარაგოსა 1:0**

**საუკეთესო:** კარლუშ მარტინში (გრანადა)

**სევილია-ხეტაფე 3:0**

**საუკეთესო:** ფრედერიკ კანუტე (სევილია)

**გრანადა-მალიორკა** დღეს
(2:1, დასამთავრებელია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 14 | 12 | 1 | 1 | 49-10 | 37 |
| 2. ბარსელონა | 15 | 10 | 4 | 1 | 47-7 | 34 |
| 3. ვალენსია | 14 | 9 | 3 | 2 | 23-14 | 30 |
| 4. ლევანტე | 14 | 8 | 2 | 4 | 23-17 | 26 |
| 5. სევილია | 14 | 6 | 6 | 2 | 16-10 | 24 |
| 6. მალაგა | 14 | 7 | 2 | 5 | 19-19 | 23 |
| 7. ოსასუნა | 14 | 5 | 6 | 3 | 18-26 | 21 |
| 8. ატლეტიკო | 14 | 5 | 4 | 5 | 21-21 | 19 |
| 9. ბილბაო | 14 | 4 | 6 | 4 | 20-17 | 18 |
| 10. ესპანიოლი | 14 | 5 | 2 | 7 | 11-17 | 17 |
| 11. ვალეკანო | 15 | 4 | 4 | 7 | 16-22 | 16 |
| 12. გრანადა | 13 | 4 | 3 | 6 | 6-12 | 15 |
| 13. სოსიედადი | 14 | 4 | 3 | 7 | 15-22 | 15 |
| 14. მალიორკა | 13 | 3 | 5 | 5 | 11-18 | 14 |
| 15. ვილიარეალი | 14 | 3 | 5 | 6 | 11-20 | 14 |
| 16. ხეტაფე | 14 | 3 | 4 | 7 | 14-22 | 13 |
| 17. ბეტისი | 14 | 4 | 1 | 9 | 13-21 | 13 |
| 18. რასინგი | 14 | 2 | 6 | 6 | 10-20 | 12 |
| 19. სპორტინგი | 14 | 3 | 3 | 8 | 12-24 | 12 |
| 20. სარაგოსა | 14 | 2 | 4 | 8 | 12-28 | 10 |

**ბომბარდირები:** 17 - კრიშტიანო რონალდო (რეალი), ლიონელ მესი (ბარსელონა); 12 - გონსალო იგუაინი (რეალი); 9 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 8 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 7 - ქარიმ ბენზემა (რეალი), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა).

**ასისტენტები:** 11 - ანხელ დი მარია (რეალი); 7 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 6 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 5 - დანიელ ალვეში (ბარსელონა), ჩავი (ბარსელონა), მესუთ იოზილი (რეალი), არდა თურანი (ატლეტიკო), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), რაულ გარსია (ოსასუნა).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბოლო ტური



მარსელის ფეხბურთელები მერვედფინალში გასვლას ზეიმობენ

### E ჯგუფი

**გენკი-ლევერკუზენი 1:1**

**გენკი (4-3-2-1):** კოტელესი - ვანდენ ბორი, სიმაესი, ნადსონი, პუდილი - კამუსი, ნჩონგჩა, ტოცერი - ნდაბაშინზი, ლიმბომბი (75. ბუფელი) - ვოსენი (81. ბარდა).

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ლენო - კასტრო, რაინარტცი (87. იორგენსენი), შვააბი, კადლეცი (73. ოჩოიპკა) - ბენდერი, როლფესი - შიურლე (68. კისლინგი), ბალაკი, სემი - დერდიოკი.

**გოლები:** 1:0 ვოსენი (30), 1:1 დერდიოკი (79)

**გაფრთხილება:** ვოსენი, სიმაესი - დერდიოკი

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 7-5; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 7-15 (5-8); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 18 000

**ჩელსი-ვალენსია 3:0**

**ჩელსი (4-3-3):** ჩეხი - ივანოვიჩი, ტერი, დავიდ ლუიზი, ე. კოული - რამირესი (65. ობი მიკელი), რომეუ, მეირელეში - სტარიჯი, დროგბა (77. ტორესი), მატა (83. მალუდა).

**ვალენსია (4-4-1-1):** დიეგო ალვეში - ბარაგონი, რამი, რუისი, ალბა (54. ადურისი) - ფეგული (65. პ. ერნანდესი), ტ. კოსტა (77. პარეხო), ალბელდა, მატიო - ჟონასი - სოლდადო.

**გოლები:** 1:0 დროგბა (3), 2:0 რამირესი (22), 3:0 დროგბა (76)

**გაფრთხილება:** რომეუ - კოსტა

**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 8-11; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 11-10 (6-7); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 40 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-4 | 11 |
| 2. ლევერკუზენი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-8 | 10 |
| 3. ვალენსია | 6 | 2 | 2 | 2 | 12-7 | 8 |
| 4. გენკი | 6 | 0 | 3 | 3 | 2-16 | 3 |

### F ჯგუფი

**ბორუსია-მარსელი 2:3**

**ბორუსია (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სანტანა, ჰუმელსი, ლოვი - კელი (33. და სილვა), გუნდოგანი - ბლაშჩიკოვსკი, ლევანდოვსკი, გიოტცე (46. პერიშიჩი) - ბარიოსი (63. კაგავა).

**მარსელი (4-2-3-1):** მანდანდა - ასპილიკუეტა, ნკულუ, დიავარა, ტრაორე - მბია (46. შეირუ), დიარა - ამალფიტანო, ლუჩო გონსალესი (67. ჯ. აიუ), დ. აიუ - რემი (73. ვალბუენა).

**გოლები:** 1:0 ბლაშჩიკოვსკი (23), 2:0 ჰუმელსი (32-პენ), 2:1 რემი (45), 2:2 დ. აიუ (85), 2:3 ვალბუენა (87)

**გაფრთხილება:** სანტანა - მბია, ამალფიტანო, დ. აიუ, დიარა, ვალბუენა

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 10-7 (5-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 65 590

**ოლიმპიაკოსი-არსენალი 3:1**

**ოლიმპიაკოსი (4-3-2-1):** მედიერი - ტოროსიდისი, პაპადოპულოსი, მელბერგი, მარკანო - მანიატისი, ფუსტერი (64. აბდუნი), მოდესტო - მირალიაში, ჰოლებასი (37. ორბაისი) - ჯებური (90. პაპაზოგლუ).

**არსენალი (4-3-3):** ფაბიანსკი (25. მანონე) - ჯურუ, ვერმაელენი, სკილაჩი, სანტოსი (51. მიკელი) - კოკელინი (67. როსიცკი), ფრიმპონგი, ბენაიუნი - ჩემბერლენი, შამახი, არშავინი.

**გოლები:** 1:0 ჯებური (16), 2:0 ფუსტერი (36), 2:1 ბენაიუნი (57), 3:1 მოდესტო (89)

**გაფრთხილება:** პაპადოპულოსი, ჰოლებასი - ფრიმპონგი, ჩემბერლენი

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 12-13; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 17-8 (8-4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 33 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 7-6 | 11 |
| 2. მარსელი | 6 | 3 | 1 | 2 | 7-4 | 10 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 6 | 3 | 0 | 3 | 8-6 | 9 |
| 4. ბორუსია (დ) | 6 | 1 | 1 | 4 | 6-12 | 4 |

### G ჯგუფი

**აპოელ-შახტარი 0:2**

**აპოელ (5-4-1):** პარდო – ჟორჟე, იაპიჩი, ოლივეირა, პურსაიტიდისი, მორაიში – ხარალამბიდისი (ადორნო 77), მანდუკა (სოლარი 68), ალექსანდრუ, მარსინიო (ბელაიდი 60) - ტრიჩკოვსკი.

**შახტარი (4-5-1):** რიბკა – კუჩერი, შევჩუკი, რაკიცკი, სრნა – ჰიუბშმანი, ფერნანდინიო, ვილიანი (მ. მარტინსი 84), დუგლას კოსტა (ედუარდო 78), მხითარიანი – ადრიანო (სელეზნიოვი 73).

**გოლები:** 0:1 ადრიანო (62) 0:2 სელეზნიოვი (78)

**გაფრთხილება:** ალექსანდრუ, ტრიჩკოვსკი, სოლარი, ოლივეირა – რაკიცკი, მხითარიანი, შევჩუკი

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 12-18; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 4-16 (2-10); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 22 537

**პორტუ-ზენიტი 0:0**

**პორტუ (4-4-2):** ელტონი – მაიკონი, პერეირა, როლანდუ, ოტამენდი (ბელუსკი 83) – მოუტინიო, როდრიგესი, ფერნანდო, დეფური (კლებერი 45), - ჰალკი, ჯალმა (ვარელა 68)

**ზენიტი (4-5-1):** მალაფეევი – ანიუკოვი, კრიშიტო, ლომბერტსი, გუბოჩანი – შიროკოვი (ზირიანოვი 46), ფაიზულინი (ბისტროვი 57), სემაკი, დენისოვი, დანი – ლაზოვიჩი (ალვეში 82)

**გაფრთხილება:** ელტონი, ოტამენდი, ჰალკი – ანიუკოვი, ფაიზულინი, მალაფეევი

**კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 0-10; **კარში დარტყმა:** 19-1 (11-0); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 48 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აპოელ | 6 | 2 | 3 | 1 | 6-6 | 9 |
| 2. ზენიტი | 6 | 2 | 3 | 1 | 7-5 | 9 |
| 3. პორტუ | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| 4. შახტარი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-8 | 5 |

### H ჯგუფი

**ვიქტორია-მილანი 2:2**

**ვიქტორია (4-5-1):** მ. ჩეხი – ლიმბერსკი, ჩიშოვსკი, ბისტორნი, პილარჟი (ჰორა 84) - ხორვატი, პეტრჟელა, ირაჩეკი (დარიდა 28), კოლარჟი (დურისი 67), რაიტორალი - ბაკოში

**მილანი (4-4-2):** ამელია – ტაივო (ძამბროტა 90), მექსესი, ბონერა, დე სკილო – ზეედორფი, ნოჩერინო (ტ. სილვა 40), ამბროზინი, ემანუელსონი – პატო, რობინიო (კრისტანტე 81)

**გოლები:** 0:1 პატო (45), 0:2 რობინიო (45+2), 1:2 ბისტრონი (89), 2:2 დურისი (90)

**გაფრთხილება:** დარიდა, დურისი – ამბროზინი

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 18-9; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 18-12 (6-8); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 19 800

**ბარსელონა-ბატე 4:0**

**ბარსელონა (4-4-2):** პინტო – მაქსველი, ფონტასი, ბარტრა, მონტოია – ალკანტარა, დოს სანტოსი (მუნიესა 58), რობერტო (რივეროლა 79), რაფინია (დელოფეუ 70) – პედრო, კვენკა

**ბატე (5-4-1):** გუტორი – იურევიჩი, ბორდაჩევი, ფილიპენკო, სიმიჩი, ბაგა – ლიხტაროვიჩი (ოლეხოვიჩი 67), ვოლოდკო, ბრესანი (მ. კეჟმანი 77), პავლოვი (გორდეიჩუკი 64) - კონცევოი

**გოლები:** 1:0 რობერტო (35), 2:0 მონტოია (60), 3:0 პედრო (63), 4:0 პედრო (89)

**გაფრთხილება:** იურევიჩი

**კუთხური:** 6-0; **ჯარიმა:** 5-15; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 19-2 (10-0); **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 37 400

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 6 | 5 | 1 | 0 | 20-4 | 16 |
| 2. მილანი | 6 | 2 | 3 | 1 | 11-8 | 9 |
| 3. ვიქტორია | 6 | 1 | 2 | 3 | 4-11 | 5 |
| 4. ბატე | 6 | 0 | 2 | 4 | 2-14 | 2 |




ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბოლო ტურის წინ

# ფერგის ბაზელი თვალში ეპატარავება

## მანჩესტერი ღელავს, ნეაპოლი დიდი ზეიმისთვის ემზადება

**მანჩესტერს ისტორიული კოლაფსის საფრთხე ემუქრება: ბოლო ტურში მოვლენები შეიძლება ისე განვითარდეს, რომ ჯგუფური ეტაპი ვერც „სიტიმ“ და ვერც „იუნაიტედმა“ გადალახონ. თუკი სერ ალექს ფერგიუსონის შეგირდების ბედი მათსავე ხელშია („ბაზელთან“ არ უნდა წააგონ), „სიტის“ პერსპექტივა „ვილიარეალი“-„ნაპოლის“ მატჩის შედეგზეა დამოკიდებული.**



სერ ალექს ფერგიუსონი დარწმუნებულია, რომ მისი „იუნაიტედი“ „ბაზელთან“ არ წააგებს

### A ჯგუფი

#### მანჩესტერ სიტი–ბაიერნი

„ბაიერნი“ მერვედფინალშია და თანაც, პირველადგილოსნის რანგში, რაც საფუძვლიანად აჩენს იმის ეჭვს, რომ მიუნხენელები „მანჩესტერ სიტისთან“ ბოლო ტურის მატჩში ბრძოლით თავს არ მოიკლავენ. მოტივაციის შესახებ კითხვას ბავარიელთა კაპიტანი **ფილიპ ლამი** პოლიტკორექტულად პასუხობს: *„ჩვენ ნამდვილი პროფესიონალები ვართ და წაგება არ გვიყვარს. ასე რომ, მანჩესტერში იმისთვის ნამდვილად არ მივდივართ, რომ იქიდან ხელცარიელები დავბრუნდეთ.“*

„ბაიერნის“ პრეზიდენტი **ული ჰოენესი** კი იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თითოეული გამარჯვებისთვის უეფა პრემიის სახით 800 000 ევროს იხდის და იქვე ამატებს, „მანჩესტერ სიტის“ ჯგუფში ჩარჩენა ნამდვილად გვაწყობს, რადგან ამ შემთხვევაში პლეი ოფში ერთით ნაკლები საშიში კონკურენტი გავაო.

ამ უქმეებზე რეკორდმაისტერმა „ვერდერი“ 4:1 გაანადგურა და იმ შეხვედრის შემდეგ „ბაიერნის“ თავკაცმა **იუპ ჰაინკესმა** თქვა, **არიენ რობენს** „სიტისთან“ ძირითად შემადგენლობაში ვათამაშებო, მაგრამ ამ დაპირებას ვერ შეასრულებს, რადგან ჰოლანდიელი მანჩესტერში გრიპის გამო ვერ წავიდა. მიუნხენში დარჩა **ტონი კროოსიც**. შესაბამისად, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ჰაინკესმა ახალი პირობები დადო: *„მარჯვენა მცველად რაფინიას ვათამაშებ, მარცხნივ დიეგო კონტენტოს. ძირითად შემადგენლობაში იქნება ივიცა ოლიჩიც.“* შეგახსენებთ, რომ „ბაიერნს“ **ბასტიან შვაინშტაიგერიც** აკლია.

„სიტი“ კი ძალიან მოტივირებულია, თუმცა მანჩესტერელთა ბედი მათ ხელში არცაა. **რობერტო მანჩინის** შეგირდებმა „ბაიერნი“ აუცილებლად უნდა დაამარცხონ და თან იმის იმედი უნდა ჰქონდეთ, რომ „ნაპოლი“ „ვილიარეალს“ ვერ მოუგებს. თუ არა და, „სიტი“ მესამე ადგილზე გავა და ევროპის ლიგაში გადაინაცვლებს, რაც თავმოყვარე გუნდისთვის არასახარბიელო პერსპექტივაა. თავმოყვარეობა კი „სიტის“ განსაკუთრებით ამ სეზონში არ აკლია – გუნდი პრემიერლიგაში მარშირებულ სვლას განაგრძობს. მანჩინის გუნდმა ამ უქმეებზე „ნორვიჩი“ 5:1 გაანადგურა და კვლავ ლიდერია.

##### სავარაუდო შემადგენლობები

**მანჩესტერ სიტი (4-2-3-1):** ჰარტი – მ. რიჩარდსი, კოლო ტურე, კომპანი, კლიში – იაია ტურე, ბერი – სილვა, ნასრი, ადამ ჯონსონი – აგუერო.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – რაფინია, ბოატენგი, ბადშტუბერი, კონტენტო – ლუის გუსტავო, ტიმოშჩუკი – თ. მიულერი, ალაბა, ოლიჩი – გომესი.

#### ვილიარეალი–ნაპოლი

„ნაპოლიმ“ კი თავისი გასაკეთებელი თავად უნდა გააკეთოს და ჯგუფიდან უპრობლემოდ გავა – იტალიელებს აქამდე უქულოდ მყოფი „ვილიარეალის“ სტუმრად დამარცხება სჭირდებათ. **ვალტერ მაძარის** გუნდი რომ დამარცხდეს, ხოლო „სიტიმ“ „ბაიერნთან“ ფრე გაახერხოს, იტალიელები და ინგლისელები ქულების თანაბარ რაოდენობას დააგროვებენ, მაგრამ ჯგუფიდან „ნაპოლი“ გავა, რადგან „სიტისთან“ პირად დუელებში უპირატესობა აქვს (2:1, 1:1). იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ნეაპოლელებმა „ლეჩეს“ 4:2 მოუგეს – **ჯემაილიმ** და **ლავეციმ** თითოჯერ იხეირეს, **კავანიმ** კი დუბლი მიითვალა.

*„ვილიარეალთან“ წლის მატჩი გვაქვს. წარმომიდგენია, რა მოხდება ნეაპოლში, მერვედფინალში რომ გავალთ,“* - ეს ლავეცის სიტყვებია.

##### სავარაუდო შემადგენლობები

**ვილიარეალი (4-2-3-1):** ლოპესი – მარიო, გონსალო, მუსაკიო, ორიოლი – ბრუნო, დე გუზმანი – პერესი, ვალერო, კანი (ან მოიზესი) – რუბენი.

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი – კამპანიარო, კანავარო, არონიკა – მაჯო, გარგანო, ინლერი, დოსენა – ჰამშიკი, ლავეცი – კავანი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-4 | 13 |
| 2. ნაპოლი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| 3. მანჩესტერ სიტი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 4. ვილიარეალი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-12 | 0 |

### B ჯგუფი

#### ინტერი–ცსკა

„ინტერს“ მერვედფინალში თამაშთან ერთად, პირველ ადგილზე გასვლაც განაღდებული აქვს, დანარჩენი სამი გუნდიდან კი სამივეს აქვს ჯგუფიდან გასვლის შანსი. ამ სამეულიდან თავს ყველაზე კომფორტულად ტრაბზონელები გრძნობენ, რადგან ცსკა-ს და „ლილს“ ერთი ქულით უსწრებენ.

##### სავარაუდო შემადგენლობები

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი – ნაგატომო, რანოკია, სამუელი, ძანეტი – კამბიასო, ტიაგო მოტა, ობი – სტანკოვიჩი – სარატე, მილიტო.

**ცსკა (4-4-2):** გაბულოვი – ნაბაბკინი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი – ოლისე, ალდონინი, ძაგოევი, ცაუნია – ვაგნერ ლავი, დუმბია.

#### ლილი–ტრაბზონი

„ლილი“ და „ტრაბზონსპორი“ ერთმანეთს საფრანგეთში ხვდებიან და ამ მატჩის გამარჯვებული ავტომატურად გავა მერვედფინალში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს მატჩი ფრედ დასრულდა, ცსკა-ს მილანში მოგების შემთხვევაში მეორე ადგილზე გასვლა შეუძლია. თუ ცსკა „სან სიროზე“ ვერ მოიგებს, „ტრაბზონი“ პლეი ოფში ფრის შემთხვევაშიც გაძვრება და სასაცილო რეკორდსაც დაამყარებს: სულ რაღაც შვიდი ქულით ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი არავის გადაულახავს მას მერე, რაც ფეხბურთში მოგებისთვის სამი ქულა დაწესდა.

##### სავარაუდო შემადგენლობები

**ლილი (4-3-3):** ლანდრო – დებუში, შედიუ, ბასა, ბერია – ბალმონი, მავუბა, კოული – პაიე, სოუ, ჰაზარი.

**ტრაბზონი (4-2-3-1):** თოლგა – შერქანი, გლოვაცკი, კაჩარი, ჩელუსტკა – კოლმანი, ზოკორა – ჰალილ ალთინთოფი, პაულო ენრიკე, მიერჟეჯევსკი – ბურაქ ილმაზი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 2. ტრაბზონი | 5 | 1 | 3 | 1 | 3-5 | 6 |
| 3. ლილი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-6 | 5 |
| 4. ცსკა | 5 | 1 | 2 | 2 | 7-7 | 5 |

### C ჯგუფი

#### ბაზელი–მანჩესტერ იუნაიტედი

ამ ჯგუფში კი ბოლო ტურის ერთ-ერთი უპრინციპულესი შეხვედრა გაიმართება: მესამე ადგილზე მყოფი „ბაზელი“ მეორეადგილოსან „მანჩესტერ იუნაიტედს“ მასპინძლობს და თუ მოიგო, ინგლისურ სუპერგრანდს ჯგუფში ჩატოვებს. ცხადია, ჯერ კიდევ გეხსომებათ პირველი წრის შეხვედრა, როცა „ბაზელმა“ „ოლდ ტრეფორდზე“ ყველასათვის მოულოდნელად ფრეს (3:3) მიაღწია, თუმცა მაშინ შვეიცარიული კლუბის მთავარი მწვრთნელი **ტორსტენ ფინკი** იყო, რომელიც ახლა გერმანულ „ჰამბურგს“ უდგას სათავეში.

„იუნაიტედის“ ჯგუფში ჩარჩენა ინგლისისთვის და კერძოდ ქალაქ მანჩესტერისთვის ნამდვილი ტრაგედია იქნებოდა – მით უმეტეს, რომ იგივე საფრთხე მეორე მანჩესტერულ კლუბს, „სიტისაც“ ემუქრება. თუმცა **სერ ალექს ფერგიუსონს** ამის გაგონებაც არ უნდა. მანკუნიანელებს მოგება უნდათ, თუმცა ჯგუფიდან გასასვლელად ფრეც ეყოფათ.

*„იუნაიტედს“ ბოლო 25 მატჩიდან მხოლოდ ერთი აქვთ წაგებული და ამიტომაც ვარ დარწმუნებული იმაში, რომ გამოცდილება თავისას იზამს და „ბაზელი“ ჩემი გუნდის დამარცხებას ვერ შეძლებს,“* - აცხადებს ფერგიუსონი.

##### სავარაუდო შემადგენლობები

**ბაზელი (4-4-2):** ზომერი – შტაინჰიოფერი, აბრაამი, დრაგოვიჩი, პარკი – შაქირი, ჰუგელი, შაკა, ფ. ფრაი – ა. ფრაი, შტრელერი.

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-1-1):** დე ხეა – სმოლინგი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა – ნანი, ჯოუნსი, ფლეტჩერი, იანგი – რუნი – უელბეკი.

#### ბენფიკა–ოცელული

„მანჩესტერ იუნაიტედს“ პირველი ადგილის დაკავებაც კი უნდა, მაგრამ ამას სავარაუდოდ ველარ მოახერხებს, რადგან პირველ ადგილზე მყოფ „ბენფიკას“ ზედმეტად იოლი მატჩი ელის – ლისაბონში, უიმედო აუტსაიდერ, უქულო „ოცელულთან“.

##### სავარაუდო შემადგენლობები

**ბენფიკა (4-2-3-1):** არტური – ამორიმი, ჟარდელი, გარაი, ემერსონი – გარსია, ვიტსელი – გაიტანი, მატიჩი, ნოლიტო – კარდოსო.

**ოცელული (4-5-1):** ბრანეტი – რაპა, პერენდიხა, კოსტინი, სალაგეანუ – ფილიპი, იორგა, გიურგიუ, ვილიანტი, ნეაგუ – პენა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 5 | 2 | 3 | 0 | 7-4 | 9 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 5 | 2 | 3 | 0 | 10-6 | 9 |
| 3. ბაზელი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-9 | 8 |
| 4. ოცელული | 5 | 0 | 0 | 5 | 3-10 | 0 |

### D ჯგუფი

#### აიაქსი–რეალი

„რეალს“ საქმეები იდეალურად მისდის. „სამეფო გუნდმა“ ამ უქმეებზე „ხიხონი“ 3:0 დაამარცხა, ესპანეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს ლიდერობს და ჩემპიონთა ლიგაშიც ყველაფერი კარგადაა – მადრიდელებს მერვედფინალში თამაშთან ერთად, ჯგუფში პირველი ადგილი განაღდებული აქვთ. აღსანიშნავია, რომ „რეალმა“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი ზედიზედ მეთხუთმეტედ გადალახა. თუ დღეს „რეალი“ ამსტერდამში მოიგებს, **ჟოზე მოურინიოს** სამწყსო გახდება მეხუთე გუნდი, რომელიც ჯგუფურ ეტაპზე ქულების მაქსიმალურ რაოდენობას მოუყრის თავს და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ეს არასახარბიელო პერსპექტივაა, რადგან წინა ოთხ „ასპროცენტიანს“ იმ სეზონებში ჩემპიონთა ლიგა არ მოუგიათ.

„აიაქსს“ მინიმუმ ფრე სჭირდება, თუმცა ამსტერდამულ კლუბს მერვედფინალში თამაშის გასანაღდებლად ალბათ წაგებაც ეყოფა...

##### სავარაუდო შემადგენლობები

**აიაქსი (4-3-3):** ვერმეერი – ვან დერ ვილი, ალდერვეირელდი, ვერტონგენი, ანიტა – ენო, ერიკსენი, იანსენი – სულეიმანი, ლოდეირო, ებეცილიო.

**რეალი (4-2-3-1):** ადანი – არბელოა, ალბიოლი, ვარანე, კოენტრაუ – ჩაბი ალონსო, შაჰინი – ჰამით ალთინთოფი, კაკა, კალეხონი – ბენზემა.

#### დინამო (ზ)–ლიონი

ზაგრების „დინამომ“ ხუთივე თამაში წააგო, ბოლო ადგილი გარანტირებული აქვს და მხოლოდ საკუთარი პრესტიჟისთვის თუ იბრძოლებს. „ლიონის“ შანსი ფანტასტიკის სფეროდანაა – „აიაქსმა“ უმოტივაციო „რეალთან“ უნდა წააგოს, ფრანგებმა კი ზაგრებში რაც შეიძლება დიდი ანგარიშით უნდა მოიგონ. ამ ეტაპზე, „აიაქსს“ ბურთების შეფარდების მხრივ „ლიონთან“ 7-ბურთიანი უპირატესობა აქვს. ბურთების სხვაობაზე კი იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ „აიაქსსა“ და „ლიონს“ შორის ორივე დუელი 0:0 დასრულდა.

##### სავარაუდო შემადგენლობები

**დინამო ზ. (4-4-1-1):** კელავა – ტომეჩაკი, ვიდა, კუფრე, იბანიესი – ბადეი, კალელო, ლეკო, სამირი – რუკავინა – ბეჩირაი.

**ლიონი (4-2-2-2):** ლორისი – რევეილერი, კონე, ლოვრენი, სისოხო – კალსტრიომი, გონალონსი – ბრიანი, ბასტოსი – ლისანდრო ლოპესი, გომისი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 5 | 5 | 0 | 0 | 16-2 | 15 |
| 2. აიაქსი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-3 | 8 |
| 3. ლიონი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-6 | 5 |
| 4. დინამო (ზ) | 5 | 0 | 0 | 5 | 2-15 | 0 |

გოტფრიდ ლენცი





ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა
მედცენტრი Shine
გაწუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?

გთავაზობთ მალთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე
მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ქვედა კიდურების არეში
დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა
ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330
მის:კეკელიძის 14
www.shine.ge

ქართული სპორტი

ძიუდო. საქართველოს ჩემპიონატის ექო

# აქცენტი: მსოფლიო არენა

## ძიუდოისტებს დაძაბული შაბათ-კვირა ელოდებათ



მოგეხსენებათ, გასულ უქმეებზე სპორტკომპლექსმა „არენამ“ ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა და ღირსეულადაც. არადა, თავიდან იყო სკეპტიკური მოსაზრებები, როცა ფედერაციას საკუთარი დარბაზი აქვს, რატომ უნდა ატარებდეს სხვაგანო. იქნებ ეს მართლაც ცოტა უცნაურია, მაგრამ შეჯიბრებამ ამ გადაწყვეტილების სისწორეში დაგვარწმუნა - „არენა“ ფედერაციულ დარბაზზე ბევრად ვრცელი და მოსახერხებელია. იქ ლეიბების ირგვლივაც მეტი ფართია და ტრიბუნებიც გაცილებით ტევადია. მაყურებელთა ის რაოდენობა, რაც ამ შაბათ-კვირას ძიუდოისტთა შეჯიბრებას დაესწრო, ფედერაციაში ვერაფრით დაეტეოდა. თან დამცავი ბადეებიც თავის საქმეს აკეთებს და ქომაგი ტატამებისგან იზოლირებულია. სხვა საქმეა, თავად „არენაც“ რომ ქართული სტანდარტებითაა აშენებული და არა საერთაშორისოთი - ელემენტარულად, არა არის მოსათელი დარბაზი და სპორტსმენებიც იძულებულნი არიან, გულშემატკივრებში გაერიონ და ტრიბუნებზევე გამოიცვალონ სამოსი, მოსვენებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სათადარიგო დარბაზის გარდა, იქაურობას თანამედროვე სპორტული ბაზისთვის აუცილებელი სხვა ბევრი რამეც აკლია. არადა, იქ დიდი ფართია, რაც იძლევა დამხმარე ოთახების გაკეთების საშუალებას. შეიძლება, ამით რომელიღაც სახეობა შევიწროვდეს ან სხვაგან გადავიდეს, მაგრამ ვფიქრობთ, აჯობებს, აქცენტი მსხვილ, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად აღჭურვილ ცენტრებზე ავილოთ და არა პატარ-პატარა, არასტანდარტულ ბაზებზე. ცხადია, ესენიც საჭიროა და უნდა იყოს, მაგრამ ალბათ, განვითარების ეს ეტაპი ქვეყანამ უკვე გაიარა, ახლა კი ახალ, უფრო მნიშვნელოვან და სოლიდურ სტადიაზე უნდა გადავიდეს. ცხადია, ის დიდი ცენტრები ვერ იქნება ასე ბევრი, მაგრამ აჯობებს, იყოს ცოტა და იმდენად აღჭურვილი, იქ საერთაშორისო მასშტაბის პრესტიჟულ შეჯიბრებებსაც ვუმასპინძლოთ, ვიდრე გვქონდეს ბევრი, მაგრამ მოუწყობელ-გაუმართავი პატარა ბაზა, რომელსაც უცხოური ტურნირებისთვის ვერ გამოვიყენებთ. ახალგარემონტებული „არენა“ ძალიან კარგია და ათასწილად ჯობია ძველს, მაგრამ, პრესცენტრ - პრესლოჟას რომ თავი დავანებოთ (თუმცა ამათ გარეშე არც ერთი საერთაშორისო ფედერაცია არ ჩაიბარებს ობიექტს, ანუ არ ჩაგვატარებინებს იქ არც ერთ სოლიდურ უცხოურ შეჯიბრებას), თვით სპორტსმენებისთვისაც კი არაა საჭირო კომფორტი, ხოლო უამისოდ იქაურობა პილპილმოუყრელ მადლს ჰგავს. ბუნებრივია, შიდატურნირების ჩატარებას არავინ დაგვიშლის, მაგრამ ეს საკუთარ წვენში ხარშვა იქნება.

> ბელგიაში ასეთი თაობა რომ მომცა, კომისრობა-მსაჯობას საერთოდ თავს დავანებებდი და მწვრთნელობას დავიწყებდიო. ისიც დაუმატებია, საწვრთნელ-მოსამზადებელი სისტემა არ გივარგათ და იმიტომაც კარგავთ ტალანტებსო...

თუმცა დავუბრუნდეთ ისევ ძიუდოისტთა ჩემპიონატს. ბოლო წლებში ძიუდოს ფედერაციამ ქვეყნის პირველობების მაღალ დონეზე ჩასატარებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და ეს ტენდენცია წლეულსაც გააგრძელა - საშეჯიბრო არენაზე, ანუ უშუალოდ ტატამების ირგვლივ, დამცავი ბადეების შიგნით შესვლა მსაჯებისა და ჟურნალისტების გარდა ყველას აუკრძალა, რამაც იქაურობა მართლაც გაწმინდა ზედმეტი ხალხისგან. ამ მხრივ ეს პირველობა გაცილებით სჯობდა ერთი კვირის წინათ იმავე დარბაზში გამართულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ქვეყნის ჩემპიონატს. დეკემბრის ბოლოს იქვე ანალოგიურ შეჯიბრებას უკვე ბერძენ-რომაელები გამართავენ და იმედია, ჭიდაობის ფედერაცია იმ დროისთვის გაითვალისწინებს ძიუდოისტთა გამოცდილებას. ტექნიკურად ამის გაკეთება სულ იოლია - დაცვის სამსახურის გაფრთხილებაა საჭირო, შედეგად კი ბევრ უსიამოვნებას აიცილებენ თავიდან. უპირველესად მსაჯებს გაუადვილებენ საქმეს, რომლებიც ძიუდოისტთა ტურნირზე ბევრად თავისუფლად მუშაობდნენ - მათ საქმიანობაში არავინ ერეოდა, არავინ უყვიროდა, არ ეკამათებოდა, არ ურჩევდა საქმეებს და ასე შემდეგ... მსაჯიც რომ ჩვეულებრივი ადამიანია და შეცდომები მასაც მოსდის. ახალი არავისთვისაა, მაგრამ ადრინდელ უთავბოლო ჩემპიონატებში, როცა მაყურებელს არათუ ტრიბუნიდან შეეძლო დაუბრკოლებლად მისვლა არბიტრებამდე, შეხვედრის მიმდინარეობისას სულაც ტატამის კიდესთან იდგა, მსაჯები ექსტრემალურად საშიშ პირობებში მუშაობდნენ. დაგვეთანხმებით, როცა თავზე გადგანან, გეჩხუბებიან და ცდილობენ, საკუთარი აზრი თავს მოგახვიონ (არადა, ეს საუკეთესო ვარიანტია იმასთან შედარებით, რაც რეალურად ხდებოდა), ძალიან ძნელია კონცენტრაცია, ყველაფრის სწორად გაანალიზება. მით უფრო, დინამიკურ და მოძრავ ატმოსფეროში, ძიუდო კი სპორტის სწორედ ასეთი სახეობაა. მაშინ მსაჯთა ბევრი შეცდომა ძირითადად მათი იმ შიშით იყო გამოწვეული, ნეტავ შევცდეთო. ამჯერად ძიუდოში ასე აღარაა (თუმცა სხვა სახეობებზე თავს ვერ დავდებთ). ეგ კი არა, მეტი ობიექტურობისთვის ძიუდოს ფედერაციამ თავად არბიტრებსაც აუკრძალა თავიანთი რეგიონის წარმომადგენელთა ქომაგობა.

სამსაჯო დილემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანი იყო უცხოელ არბიტრთა მოწვევაც, რაც ბოლო წლებში ძიუდოში ასევე ტრადიციად იქცა (წლეულს მათ მოჭიდავეებმაც მიჰბაძეს - „თავისუფალთა“ ჩემპიონატზე სომეხი არბიტრები ჩამოიყვანეს, რითაც ყველა კმაყოფილი დარჩა). ამჯერად ევროპული ფედერაციის ბელგიელი კომისარი **ფრანკ დე მური** და ძველი ნაცნობი **მარიან ჰეპკა** ჩამოვიდნენ. ოღონდ ჰეპკა ადრე თუ მშობლიურ სლოვაკეთს წარმოადგენდა, ამჯერად ჩეხეთის სახელით გვეწვია, რადგან მოქალაქეობა შეუცვლია. ბუნებრივია, ქომაგებში უკმაყოფილების ბოლომდე გამორიცხვა ვერც მათმა ფაქტორმა შეძლო (განსაკუთრებით დიდი გულისწყრომა 81 კილოგრამის ფინალში ხელით შესვლის ბრალდებით **გიორგი ბაინდურაშვილის** მოხსნამ გამოიწვია **ლევან ნიკლაურთან** შეხვედრაში), მაგრამ ერთია ქომაგი და მსაჯებისთვის ეს დიდი სკოლა, სადავო მომენტებში კი დიდი შელავათიც იყო - საბოლოო გადაწყვეტილებებს ისინი იღებდნენ, რაც ადგილობრივებს პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა. თუმცა ამჯერად ევროპელთა მისია მხოლოდ საკამათო ეპიზოდების გარჩევით არ შემოიფარგლებოდა - ისინი ადგილობრივ არბიტრებს შეფასებებსაც უწერდნენ, რასაც ფედერაცია სამსაჯო რეიტინგის შესადგენად გამოიყენებს, ამაზე კი ქართველ არბიტრთა კვალიფიკაცია, ანაზღაურება და ამგვარები იქნება დამოკიდებული. სამომავლოდ მსაჯებს ამ რეიტინგის მიხედვით მიიწვევენ შიდა შეჯიბრებებზე, ეს კი პირდაპირ კავშირში იქნება მათ ანაზღაურებასთან და შემოსავალთან. როგორც შევიტყვეთ, სტუმრებმა მთლიანობაში დამაკმაყოფილებლად შეაფასეს აქაურ მსაჯთა პროფესიონალიზმი, დაახლოებით 12-მდე მათგანი კი სხვათაგან გამოარჩიეს, როგორც უკეთესი. იმედია, ის დადებითი ტენდენციები, რაც საკუთრივ დარბაზსა თუ მსაჯებზე ვთქვით, უახლოეს შაბათ-კვირასაც გაგრძელდება, როცა „არენა“ 12-წლამდელ ძიუდოისტთა შორის საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. აქამდე ამ ასაკში ეგზომ მნიშვნელოვანი ტურნირი არ ტარდებოდა, მაგრამ ეს ის თაობაა, რომელმაც 2015 წელს თბილისში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში უნდა იჭიდაოს. ამიტომ მათზე საგანგებოდ ზრუნავენ და იწყებენ მათ წვრთნას. არადა, ამ კუთხით მართლაც დიდი რეფორმებია საჭირო, რასაც ბელგიელი დე მურის სიტყვებიც მოწმობს. შაბათ საღამოს ანუ ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატის პირველ დღეს, ვახშამზე მას მასპინძლებისთვის უთქვამს, ბელგიაში ასეთი თაობა რომ მომცა, კომისრობა-მსაჯობას საერთოდ თავს დავანებებდი და მწვრთნელობას დავიწყებდიო. ისიც დაუმატებია, საწვრთნელ-მოსამზადებელი სისტემა არ გივარგათ და იმიტომაც კარგავთ ტალანტებსო... ბელგიელს მადლობა გულწრფელი სიტყვებისთვის, მაგრამ მან რომ არ გვითხრას, ისედაც ნათელია, რომ პროფესიული მიდგომები, აწყობილი სისტემა ჩვენი მთავარი პრობლემაა, თუმცა მდგომარეობის გამოსწორებას აქამდე არ დაადგა საშველი. სამაგიეროდ, ახლა ძიუდოს ფედერაცია გვპირდება, რომ იმ 12-წლიანთა და საერთოდ, ბავშვთა თაობას ახლებურად, წვრთნის თანამედროვე სისტემის გათვალისწინებით აღზრდიან. აღდგომა და ხვალეო, ამაზეა ნათქვამი.

> აჯობებს, აქცენტი მსხვილ, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად აღჭურვილ ცენტრებზე ავილოთ და არა პატარ-პატარა, არასტანდარტულ ბაზებზე. ცხადია, ესენიც საჭიროა და უნდა იყოს, მაგრამ ალბათ, განვითარების ეს ეტაპი ქვეყანამ უკვე გაიარა

საერთოდ, მომავალი შაბათ-კვირა დატვირთული იქნება ქართული ძიუდოსთვის - თბილისში ხომ ეს ბავშვები იჭიდავებენ, დუშეთში, ოლიმპიურ ბაზაზე ქალთა საქართველოს პირველობა გაიმართება ყველა ასაკში, რადგან აქ კონტინგენტი არც ისე დიდია, ტოკიოში კი „დიდი მუზარადის“ ტურნირია, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ **ირაკლი ცირეკიძე** (100) იასპარეზებს.

**ირაკლი თავაძე**




ძიუდო. უცხოეთი




# უჩიშიბა სექსუალურ სკანდალში

ორგზის იაპონელი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში **მასატო უჩიშიბა** (66) სექსუალურ სკანდალში გაეხვია, რის გამოც თანამდებობის დათმობაც მოუხდა. სპორტიდან წასვლის შემდეგ ის კუმამოტოს პრეფექტურის უნივერსიტეტის ქალთა სტუდენტური გუნდის მთავარ მწვრთნელად მუშაობდა. ინციდენტიც ამ ნაკრების საწვრთნელ შეკრებაზე მომხდარა. როგორც იაპონური საინფორმაციო საშუალებები წერენ, თურმე უჩიშიბა ერთ-ერთ შეგირდს, რომელიც ჯერ 20 წლისაც არა არის, ალკოჰოლური სასმელების მიღებას აძალებდა. იმავე წყაროს ცნობით, ინციდენტის სხვა დეტალები ცნობილი არაა, თუმცა ესეც საკმარისი საბაბი გახდა ოლიმპიური ჩემპიონის სექსუალურ ძალადობაში დასადანაშაულებლად. შედეგად, მან დატოვა უნივერსიტეტის მთავარი მწვრთნელის პოსტი. იაპონური მედია ასევე წერს, რომ უჩიშიბამ ამ საქციელით „დაადასტურა თავისი არაკვალიფიციურობა ახალ პოსტზე, შელახა დაწესებულების სახელი და იმიჯი“. ინციდენტთან დაკავშირებით თავად უჩიშიბამ მხოლოდ ის განაცხადა, რომ სპორტსმენი შეგირდი ალკოჰოლს საკუთარი ნებით სვამდა და მისი მხრიდან არავითარი დაძალება არ ყოფილა.

დღეს უკვე 33 წლის უჩიშიბამ პირველ სერიოზულ წარმატებას ათენის ოლიმპიადაზე მიაღწია, სადაც ფინალში სლოვაკ **იოზეფ კრნაჩს** მოუგო. ამას მოჰყვა ვერცხლის მედალი მსოფლიოს პირველობაზე 2005 წელს, კაიროში, სადაც ფინალი ბრაზილიელ **ჟოაო ჟუნიორთან** დათმო, მერე კი მისი კარიერა დაღმა წავიდა, ვიდრე პეკინის ოლიმპიადა არ მოვიდა. შუალედში იყო ვერცხლის მედლები სხვადასხვა პრესტიჟულ შეჯიბრებაში - კანოს მემორიალზე, „დიდი მუზარადისა“ თუ „დიდი პრიზის“ შეჯიბრებებზე, იაპონიის პირველობაზე, თუმცა მაშინ პეკინში მისი წასვლაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. 2008 წელს ის თბილისშიც ჩამოვიდა მსოფლიოს თასზე, მაგრამ გერმანელ **ადრიან კულიჩთან** დამარცხდა და ადრიანად გავარდა. ტურნირის შემდეგ, როცა ჟურნალისტებმა ოლიმპიურ პერსპექტივაზე ვკითხეთ, ლამის ატირდა და სასწრაფოდ გაგვეცალა, თუმცა მანამდე გვიპასუხა, ალბათ, ამით ჩემი პეკინში მოხვედრის იმედიც გადაიწურაო. თუმცა უჩიშიბამ დიდი სულიერი სიმტკიცე გამოიჩინა, თბილისიდან პარიზში გადაფრენილმა იქ მაშინდელი მსოფლიოს სუპერთასის ფინალშიც გააღწია და თუმცა კორეელ **ჯო-ჯინ კიმთან** დამარცხდა, იაპონელთაგან საუკეთესო შედეგი მაინც მან აჩვენა და ოლიმპიური შანსი ისევ დაიბრუნა. არა მხოლოდ დაიბრუნა, გამოიყენა კიდეც – პეკინში წავიდა, იქაც წარმატებით იასპარეზა, ნახევარფინალში კუბელი **იორდანის არენსიბია** დაამარცხა, ფინალში ფრანგ **ბენჟამინ დარბელესაც** აჯობა და მეორედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. ის სპორტიდან 2010 წლის ოქტომბერში წავიდა. სხვათა შორის, მაშინ ანალოგიური გადაწყვეტილება მან და კიდევ ერთმა სახელოვანმა იაპონელმა ძიუდოისტმა, ოღონდ ქალბატონმა, მძიმე წონაში მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მაკი ცუკადამ** ერთად გამოაცხადეს. უჩიშიბა დიდხანს არ დარჩენილა უმუშევარი – უკვე იანვარში ზემოაღნიშნული კუმამოტოს პრეფექტურიდან მიიღო შეთავაზება იქაური უნივერსიტეტის გაწვრთნაზე. დათანხმდა კიდეც და მუშაობასაც შეუდგა, თუმცა აგერ, ლამის წლისთავზე სკანდალურად დაასრულა იქ საქმიანობა. აღიძრა თუ არა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე, ამაზე იაპონურ წყაროებში არაფერი წერია.

**ირაკლი თავაძე**

კრივი

# ნაკრების კანდიდატები შეირჩა



წლევანდელი სეზონი ქართველმა მოკრივეებმა კარგად დაიწყეს: რამდენიმე საერთაშორისო ტურნირიდან სხვადასხვა სინჯის მედლებით დაბრუნდნენ, ევროპის ჩემპიონატზე კი **ზაალ კვაჭატაძე** (69 კგ), **ჯაბა ხოსიტაშვილი** (75) და **მიხეილ ბახტიძე** (+91) ბრინჯაოს დაეუფლნენ. ჩვენი სპორტსმენები ისე იყვნენ მომზადებული, რომ ბაქოს სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის 2-3 საგზურის მოპოვებას წინ ვერაფერი უნდა დასდგომოდა, მაგრამ ჩვენებურთაგან, სამწუხაროდ, მეოთხედფინალშიც ვერავინ გააღწია. ამის მიუხედავად, მათ ბრიტანეთის დედაქალაქში გამგზავრების შანსი არ დაუკარგავთ: გაისად აპრილში თურქეთი სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც ზუგდიდში გაიმართა. აქ უნდა შეერჩიათ ნაკრების ის კანდიდატები, რომლებიც საფუძვლიანი საწვრთნელი შეკრებებისა და უცხოურ ტურნირებში ძალების მოსინჯვის შემდეგ თურქეთში გამოსვლის უფლებას მიიღებდნენ. რინგზე სხვადასხვა მიზეზით არ გამოსულან კვაჭატაძე, ხოსიტაშვილი და ჭუბაბრია, ხოლო ფოთელმა ნიკოლოზ იზორიამ აქტიურ სპორტს თავი დაანება და ამიერიდან ეროვნული გუნდის მწვრთნელებს დაეხმარება.

ოთხდღიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკზე ავიდნენ:

**49 კგ.** 1. მიხაილ კაზანჯიანი (თბილისი), 2. ალექსან ჩეჩელიანი (ახალქალაქი), 3. ბაჩო ჯინჭარაძე, ფარიზ ისკანდაროვი (ორივე - რუსთავი).

**52 კგ.** 1. სევერიან ჭილაძე (თბილისი), 2. ვენედიკ ერანოსიანი (ახალქალაქი).

**56 კგ.** 1. მერაბ თურქაძე (ქუთაისი), 2. გიორგი გოგატიშვილი (ფოთი), 3. ალეკო ჭადაშვილი, ადილ ასლანოვი (ორივე - თბილისი).

**60 კგ.** 1. კობა ფხაკაძე (ქუთაისი), 2. დავით ლეკიაშვილი (რუსთავი), 3. გიორგი ასათიანი (ქუთაისი), გიორგი ყვირალაშვილი (გურჯაანი).

**64 კგ.** 1. დემნა კოტუა (ფოთი), 2. ირაკლი ჭინჭარაული (გარდაბანი), 3. სანდრო ჯაჯანიძე (ჭიათურა), დავით ტლაშაძე (გორი).

**69 კგ.** 1. გოგა ზარქუა (თბილისი), 2. ბექა ხარძიანი (თბილისი), 3. გიორგი კადავიძე (რუსთავი), გოჩა ბადურაშვილი (ახმეტა).

**75 კგ.** 1. რომან თავაძე (ქუთაისი), 2. ნიკა სეხნიაშვილი (გორი), 3. გიორგი გიორგაძე (თბილისი), გიორგი ქისტაური (გარდაბანი).

**81 კგ.** 1. იაგო კიზირია (ფოთი), 2. თენგიზ გუგუნავა (ზუგდიდი), 3. ედგარ სარქისოვი (თბილისი), ვალერი ხურცია (ქუთაისი).

**91 კგ.** 1. რეზო ქარელიშვილი (გორი), 2. ალექსანდრე კარტოზია (თბილისი), დავით აბულაშვილი (ახმეტა), ირაკლი გვენეტაძე (ქუთაისი).

**+91 კგ.** 1. მიხეილ ბახტიძე (ქუთაისი), 2. დავით გოგიშვილი (გორი), 3. ალეკო ლეფსვერიძე (თელავი), გოჩა მჭედლიშვილი (თბილისი).

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# მაჩხანელის პირველი ლელო და მეკოს კინკილა საჯარიმო


ბურთით დიმიტრი ბასილაია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ-1 დივიზიონში სამკვირიანი შესვენების შემდეგ, გათამაშება მე-7 ტურის შეხვედრებით გაგრძელდა. პლეი ოფში გასასვლელად ქართველ მორაგბეთა რვა გუნდი იბრძვის. ორ, A და D ჯგუფებში კი „ქართული გუნდები" ლიდერობენ.

A ჯგუფში სატურნირო ცხრილის პირველი სამი საფეხური ჩვენებურთა გუნდებს, - „ლილს", „მონლუსონსა" და „მასის" უკავიათ. მე-7 ტურის ცენტრალური შეხვედრა მონლუსონში გაიმართა, სადაც **ელიზბარ ყუფარაძისა** და **დევი დადუნაშვილის** ადგილობრივმა გუნდმა **შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასის" უმასპინძლა და 16:3 დაამარცხა.

სუთიაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, აშვეთია 41-ე წუთზე შეცვალეს, ყუფარაძე კი მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე. კობაურს და დადუნაშვილს არ უთამაშიათ.

ამ ჯგუფის ლიდერმა **დავით ბოლაშვილის** „ლილმა" სტუმრად დაამარცხა **გიორგი მჭედლიშვილის** „დიჟონი" - 20:15. მჭედლიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს, ბოლაშვილი განაცხადში არ იყო.

**შოთა მელიქიძის** „მაკონი", რომელიც 19 ქულით მეხუთე ადგილზეა და პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის, სტუმრად **ავთანდილ კოპალიანისა** და **შოთა საყვარელიძის** „ორლეანს" შეხვდა და 8:3 მოუგო.

საყვარელიძემ სრულად ითამაშა, კოპალიანი 64-ე წუთზე შეცვალეს, მელიქიძე სათადარიგოთა შორის იყო, თუმცა არ უთამაშია.

**რეზო გიგაურის, ნიკოლოზ გიორგაძისა** და **დიმა ხოჭოლავას** „ბულონი" სტუმრად „ნევერთან" დამარცხდა დიდი ანგარიშით - 48:0. ჩვენებურთა ამ გუნდს მოგებათა გრაფაში ჯერ კიდევ ნული უწერია და ჯერჯერობით უიმედო აუტსაიდერია.

გიგაურმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ხოჭოლავა მატჩში 41-ე წუთიდან ჩაერთო, გიორგაძე განაცხადში არ იყო.

### A ჯგუფი

მონლუსონი-მასი 16:3, დიჟონი-ლილი 15:20, ბობინი-სტრასბური 22:18, ორლეანი-მაკონი 3:8, ნევერი-ბულონი 48:0.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ლილი - 28 ქულა, 2. მონლუსონი - 23, 3. მასი - 23, 4. ბობინი - 20, 5. მაკონი - 19, 6. ნევერი - 19, 7. დიჟონი - 19, 8. სტრასბური - 11, 9. ორლეანი - 8, 10. ბულონი - 0

B ჯგუფში ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან საუკეთესო შედეგი **გია ლაბაძის, რეზო ბელქანიასა** და **ვახტანგ მაისურაძის** „ლა სეინს" აქვს. ამ „ქართულმა გუნდმა" 22 ქულა დააგროვა და ახლა სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა. მას ლიდერი „ბურგ ან ბრესი" შვიდი ქულით უსწრებს.

„ლა სეინმა" სტუმრად ითამაშა „პოკენთან" და მეტოქე დიდი ანგარიშით გაანადგურა - 71:10. ლაბაძემ და მაისურაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშეს, ბელქანია განაცხადში არ იყო.

ლასეინელებს ხუთი ქულით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზეა **ირაკლი მაჩხანელის** „სენტ ეტიენი", რომელმაც მე-7 ტურში ფრედ დაასრულა მატჩი პირველადგილოსან „ბურგ ან ბრესთან" - 20:20. მაჩხანელმა, რომელმაც სრულად ითამაშა, 66-ე წუთზე ლელო გაიტანა და თავისიანები 20:14 დააწინაურა. სამწუხაროდ, მასპინძლებმა ამ ანგარიშის შენარჩუნება ვერ მოახერხეს.

**გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარმა" შინ მოუგო „მონტობანს" - 24:19 და საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. კუთარაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 56-ე წუთზე შეცვალეს.

მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა **დავით კაჭარავასა** და **ნიკოლოზ მალალდაძის** „ნიცამ". „ლაჟვარდოვანი სანაპიროს" გუნდმა შინ დაამარცხა **ირაკლი ნინიძის** „რომანი" - 25:22.

კაჭარავამ სრულად ითამაშა, მალალდაძე 76-ე წუთზე შეცვალეს, ნინიძე განაცხადში არ იყო.

**თემურ გელანტიას** „ნიმმა" სტუმრად წააგო „კასტანესთან" - 23:16. გელანტია მოედანზე 46-ე წუთიდან გამოჩნდა.

### B ჯგუფი

შატორენარი-მონტობანი 24:19, სენტ ეტიენი-ბურგ ან ბრესი 20:20, ნიცა-რომანი 25:22, კასტანე-ნიმი 23:16, პოკენი-ლა სეინი 10:71.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ბურგ ან ბრესი - 29 ქულა, 2. მონტობანი - 26, 3. ლა სეინი - 22, 4. სენტ ეტიენი - 17, 5. კასტანე - 17, 6. რომანი - 14, 7. შატორენარი - 12, 8. ნიმი - 10, 9. ნიცა - 7, 10. პოკენი - 3.

C ჯგუფში კვლავ წარუმატებლად ასპარეზობს **გიორგი ჩხაიძის, მერაბ კვირიკაშვილის, დავით ოზგებაშვილისა** და **რობერტ აბესლამიძის** „სენ ჟუნიენი". ჩვენებურთა ამ გუნდმა სტუმრად „სენ მედართან" რაგბისთვის საკმაოდ უჩვეულო ანგარიშით - 3:6 წააგო.

კვირიკაშვილმა, რომელმაც სრულად ითამაშა, ერთი საჯარიმო მატჩის 30-ე წუთზე გაიტანა, თავიდან ბოლომდე იყო მოედანზე ჩხაიძეც, ოზგებაშვილი შეხვედრაში 55-ე წუთიდან ჩაერთო, აბესლამიძე განაცხადში არ იყო.

„სენ ჟუნიენს" ახლა 12 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა, მე-9 ადგილზეა.

### C ჯგუფი

მორლაა-ნევერი 19:26, სენ მედარი-სენ ჟუნიენი 6:3, სენ ნაზერი-ლანჟონი 19:12, სენ ჟან დე ლუზი-ლავორი 22:28, კოლომიეაგეტმო 24:23.

### სატურნირო მდგომარეობა

1. კოლომიე - 30 ქულა, 2. ვანი - 18, 3. ლავორი - 18, 4. სენ მედარი - 18, 5. სენ ჟან დე ლუზი - 16, 6. სენ ნაზერი - 16, 7. ლანჟონი - 13, 8. მორლაა - 13, 9. სენ ჟუნიენი - 12, 10. აგეტმო - 11.

D ჯგუფის ლიდერი **დიმა ბასილაიასა** და **გიორგი ნემსაძის** „ვალანს დაჟენია", რომელმაც, მართალია, სტუმრად წააგო „ლიმოჟთან" - 15:21, მაგრამ სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურს მაინც ინარჩუნებს. ბასილაია ძირითად შემადგენლობაში იყო და ბოლომდე ითამაშა, ნემსაძე განაცხადში არ იყო.

### D ჯგუფი

ლიმოჟი-ვალანს დაჟენი 21:15, ლანამეზანი-ოლორონი 29:25, მარმანდი-ბლანიაკი 23:22, ტიროსი-ლურდი 21:12, მოლეონი-რიბერაკი 12:6.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ვალანს დაჟენი - 23 ქულა, 2. ლურდი - 23, 3. ლიმოჟი - 23, 4. ტიროსი - 22, 5. ოლორონი - 16, 6. ლანამეზანი - 15, 7. ბლანიაკი - 14, 8. მარმანდი - 10, 9. მოლეონი - 9, 10. რიბერაკი - 6.


გია ლაბაძე (მარცხნივ)

განათლება


სანდრო ნიჟარაძე (მარჯვნივ)

# ქართველები ინგლისის კოლეჯში

რამდენიმე თვეა, რაც სამი ქართველი მორაგბე ინგლისში, ჰართფურის კოლეჯში სწავლობს. **სანდრო ნიჟარაძე, გიორგი ტყეშელიაძე** და **მერაბ შარიქაძე** სპორტული მენეჯმენტის სწავლასთან ერთად რაგბის თამაშსაც წარმატებით ართმევენ თავს.

ნიჟარაძე და ტყეშელიაძე ჰართფურის კოლეჯის გუნდში სტუდენტურ ლიგაში თამაშობენ. ეს გუნდი შვიდი ტურის შემდეგ ექვსი გამარჯვებით სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზეა. ორიოდ დღის წინ კი სანდრომ „გლოსტერის" სათადარიგო გუნდის შემადგენლობაშიც ითამაშა. გლოსტერელებმა „ვოსფსის" საკმაოდ ძლიერი გუნდი დაამარცხეს - 33:22.

ქართველი მორაგბეები სტუდენტურ ლიგაში შედეგიანობითაც გამოირჩევიან. ნიჟარაძის ანგარიშზე 11 ლელოა, ხოლო ტყეშელიაძემ დღემდე ოთხი ლელო მიითვალა.

რაც შეეხება მერაბ შარიქაძეს, ის კოლეჯის 19-წლამდელთა გუნდში ასპარეზობს და როგორც ჩვენთან საუბრისას სანდრო ნიჟარაძემ განაცხადა, ეს ახალგაზრდა მორაგბე ძალზედ სწრაფად პროგრესირებს. ალსანიშნავია, რომ ჰართფურელები ამ შეჯიბრებაშიც პირველ ადგილზე არიან. მათ ხუთი მატჩიდან ხუთივე მოიგეს. მერაბმა ხუთივე შეხვედრაში ითამაშა და ორი ლელო გაიტანა.

*„აქ სრულიად განსხვავებული მოთხოვნებია. როგორც უკანა ხაზი, ისე შერკინება ძალზედ სწრაფად ირჯება. მორაგბეები მაქსიმალურად იხარჯებიან, როგორც ვარჯიშზე, ისე თამაშისას. დისციპლინა უმთავრესია. სხვაგვარად, აქ არც კი წარმოუდგენიათ"* - თქვა სანდრო ნიჟარაძემ.

### სტუდენტური ლიგა

1. ჰართფური - 18 ქულა, 2. ბასი - 15, 3. უვისი - 12, 4. ექსეტერი - 6, 5. კარდიფი - 6, 6. სიუონსი - 3, 7. ბრისტოლი - 3.

### 19-წლამდელები

ჰართფური-მალტონი 15:0, ჰართფური-პრინც ჰენრის სკოლა 64:7, ჰართფური-ოკლენდის 39:13, ჰართფური-მაიერსკოუ 36:3, ჰართფური-ვორსტერი 34:0.

ამბები

## სონი ბილი ჩემპიონობისთვის იბრძოლებს

ახალი ზელანდიის ნაკრების მორაგბე **სონი ბილ ვილიამსი**, რომელიც ახლახან „ოლ ბლექსის" შემადგენლობაში მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა, კრივიდან წასვლას არ აპირებს.

მეტიც, სონი ბილმა გადაწყვიტა, ახალი ზელანდიის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლოს. უახლოეს ორთაბრძოლაში მისი მეტოქე **რიჩარდ ტუტაკი** იქნება, რომელსაც აქამდე 41 ბრძოლა გაუმართავს და 19 მოიგო.

ვილიამსისთვის ეს შერკინება საკრივო კარიერაში მე-4 იქნება. წინა სამი შეხვედრა სონი ბილმა დიდი უპირატესობით მოიგო. როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, მას რეალურად შესწევს ძალა, ახალი ზელანდიის ჩემპიონი გახდეს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რა გავლენას იქონიებს საკრივო თავგადასავალი სონი ბილ ვილიამსის სარაგბო კარიერაზე.

## ქულათა დათვლის ახალი სისტემა

სამხრეთ აფრიკის საუნივერსიტეტო ჩემპიონატზე („ვერსიტი კაპ") წლეულს ქულათა დათვლის ახალ სისტემას გამოცდიან. ამ შეჯიბრებაში ლელო ისევ ხუთი ქულა იქნება, გარდასახვა კი ორი ან სამი, იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად რთული პოზიციიდან დაარტყამს მორაგბე. გადაწყდა, რომ საჯარიმო ორ ქულად შეფასდეს.

ავსტრალიის ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **როდ მაკქუინმა** თქვა: *„საინტერესო იქნება დავაკვირდეთ და გავარკვიოთ, რა ცვლილებებს გამოიწვევს თამაშის ხასიათში ქულათა დათვლის ახალი სისტემა. სიფრთხილე გვმართებს, რადგან სიახლეს ყოველთვის არ მოაქვს პროგრესი".*

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

# კალათბურთი. ევროჩელენჯი. V ტური




ჯერემი რიჩარდსონმა ბოლო წუთზე 4 ქულა მიითვალა

ვირტუალური ბიბლიოთეკა

## 6 დეკემბერი, თბილისი

## არმია-ბეშიქთაში 75:77

20:21, 17:18, 19:11, 19:27

10 000 მაყურებელი

*მსაჯები: იაარი რაინიხი (ისრაელი), დორუ ვინასი (რუმინეთი), უროშ ობრკნეძევიჩი (სერბეთი)*

| არმია | წთ | თამ.სრ. | თამ.სრ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.მეტ. | მ.საკ. | მ.სულ | ა | შ | ჩ | დ | ფ | ფ.მეტ | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4. რიჩარდსონი | 37 | 6/13 | 46.2 | 3/4 | 75.0 | 3/9 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 0 | 3 | 1 | 1 | 3 | 2 | -1 | 15 |
| *6. ბოისა | 28 | 2/5 | 40.0 | 1/3 | 33.3 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | -1 | 5 |
| *10. ტომასი | 35 | 6/11 | 54.5 | 5/9 | 55.6 | 1/2 | 50.0 | 2/2 | 100.0 | 1 | 7 | 8 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 4 | 4 | 15 |
| *11. ჰოუკინსი | 11 | 0/4 | 0.0 | 0/3 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 |
| *14. შელბომი | 27 | 6/7 | 85.7 | 5/6 | 83.3 | 1/1 | 100.0 | 4/4 | 100.0 | 8 | 5 | 13 | 1 | 2 | 1 | 1 | 4 | 3 | 4 | 17 |
| 20. ვუდსაიდი | 35 | 5/10 | 50.0 | 4/7 | 57.1 | 1/3 | 33.3 | 2/2 | 100.0 | 0 | 2 | 2 | 7 | 4 | 0 | 0 | 1 | 3 | -6 | 13 |
| 21. საყვარელიძე | 10 | 1/1 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 4 | 0 | 2 | 2 |
| 35. ფრეიე | 18 | 3/6 | 50.0 | 1/2 | 50.0 | 2/4 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 | -12 | 8 |
| გუნდი | | | | | | | | | | 2 | 0 | 2 | | 1 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 29/57 | 50.9 | 20/35 | 57.1 | 9/22 | 40.9 | 8/8 | 100.0 | 11 | 21 | 32 | 11 | 13 | 3 | 3 | 19 | 15 | | 75 |

| არმია | წთ | თამ.სრ. | თამ.სრ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.მეტ. | მ.საკ. | მ.სულ | ა | შ | ჩ | დ | ფ | +/- | ქ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. იაგმური | 20 | 3/5 | 60.0 | 2/2 | 100.0 | 1/3 | 33.3 | 0/1 | 0.0 | 2 | 0 | 2 | 8 | 0 | 0 | 1 | 4 | 2 | 4 | 7 |
| 5. ჰერსეკი | 7 | 1/4 | 25.0 | 0/1 | 0.0 | 1/3 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | -3 | 3 |
| *7. ერცეგი | 36 | 4/8 | 50.0 | 2/4 | 50.0 | 2/4 | 50.0 | 2/2 | 100.0 | 1 | 5 | 6 | 3 | 2 | 0 | 0 | 3 | 3 | 6 | 12 |
| *10. აკინი | 22 | 2/4 | 50.0 | 2/3 | 66.7 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 3 | -2 | 4 |
| 12. ორენი | 2 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| *15. ჩეთინი | 38 | 6/11 | 54.5 | 2/2 | 100.0 | 4/9 | 44.4 | 0/2 | 0.0 | 2 | 3 | 5 | 5 | 2 | 1 | 0 | 0 | 3 | 2 | 16 |
| *34. ჰოუკინსი | 37 | 6/14 | 42.9 | 5/11 | 45.5 | 1/3 | 33.3 | 4/4 | 100.0 | 0 | 0 | 0 | 3 | 3 | 3 | 0 | 3 | 4 | 1 | 17 |
| *35. დაგლი | 38 | 9/16 | 56.3 | 9/15 | 60.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 6 | 7 | 13 | 3 | 1 | 1 | 1 | 2 | 4 | 2 | 18 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | | 0 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 31/62 | 50.0 | 22/38 | 57.9 | 9/24 | 37.5 | 6/9 | 66.7 | 12 | 16 | 28 | 24 | 8 | 6 | 2 | 15 | 19 | | 77 |

# ქორმა წინილა წაიღო...

## ჰოლანდიაში უნდა დავიჭიროთ

### 10 წამი

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დასმული ყველაზე აქტუალური კითხვა ასე ჟღერდა: უნდა აელო თუ არა საქართველოს ნაკრების მწვრთნელ **იგორ კოკოშკოვს** ჯარიმა მაკედონიასთან მატჩის ბოლოს? - სირენამდე 16 წამით ადრე **ბო მაკალებმა** შემოგვიტია, 2 ქულა ჩააგდო და 65:63 დაგვამარცხა.

სწორედ საქართველო-მაკედონიის მატჩს იხსენებდნენ გულშემატკივრები „არმია"-"ბეშიქთაშის" გუშინდელი შეხვედრის დასრულების შემდეგ. საფუძველი ჰქონდათ: თამაშის დამთავრებას 10 წამი უკლდა, როცა წუთშესვენებიდან დაბრუნებულმა ბეშიქთაშელმა **დევიდ ჰოუკინსმა** ბურთი მიიღო, 9 წამი „აკაკუნა", ახტა, ისროლა, ჩააგდო და 77:75 სტუმართა სასარგებლოდ. არმიელებს შეტევისთვის 1 წამი დარჩათ, თუმცა **მეტიუ ფრეიემ** პერიმეტრიდან უხერხულად ისროლა და ბურთმა მიზანს არ მიაღწია.

უნდა დაევალებინა „არმიას" მწვრთნელ **კოტე ტულუშს** შეგირდებისთვის ჰოუკინსზე დაჯარიმება, რათა ორი თავისუფალი ტყორცნის შემდეგ შეტევისთვის რამდენიმე წამი დარჩენოდა? ამ კითხვას თავად მწვრთნელმა ნამატჩევს უპასუხა:

*- ძნელია, როცა თამაშის ბედი ბოლო წამებზე წყდება, მოედანზე კი ახალი, გუნდთან შეუთამაშებელი კალათბურთელები გყავს. მთავარი გამთამაშებელი ვუდსაიდი ერთი დღის ჩამოსულია და, ცხადია, კომბინაციების ათვისება ჯერ ვერ მოასწრო.*

კოტე ტულუშმა იცოდა, რომ ევროლიგაში „ქიპმოჭრილი" ჰოუკინსი მასზე დაჯარიმების შემთხვევაში ორიდან ერთ ტყორცნას მაინც გამოიყენებდა, საპასუხოდ კი ძალიან მოკლე დროში მის გუნდს კომბინაცია უნდა წამოეწყო და შედეგიანად დაესრულებინა, რაც ახალი კალათბურთელებით შევსებული „არმიასთვის" რთული საქმე იქნებოდა. მწვრთნელის განკარგულებაში წინა მატჩების ლიდერი **სანდიატა გეინსი** რომ ყოფილიყო, ბოლო შეტევას მას მიანდობდა და NBA-ელიც იმედს უფრო გაუმართლებდა, ვიდრე გაუცრუებდა... ასე და ამგვარად, ქართველთა დამრიგებელმა მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა გადაწყვიტა - ჰოუკინსს საუკეთესო დამცველი **უილიამ ტომასი** მიამაგრა, თუმცა გამოცდილმა „ქორიძემ" (Hawk ინგლისურად ქორია) სასროლი სივრცე გამოითავისუფლა და გამარჯვება წინილასავით წაიღო...

### სტატისტიკა ოვერტაიმისკენ იხრებოდა

კიდევ რა მოხდა ბოლო წუთებზე შემდეგ გვერდზე, ქრონოლოგიაში იხილავთ. ამ ქვეთავში კი თამაშის ზოგად სურათზე ვთქვათ.

შეხვედრას ორივე გუნდი დანაკლისით შეხვდა: „ბეშიქთაშს" ვერ დაეხმარნენ **დერონ უილიამსი** და **სემიჰ ერდენი**. მათ თურქეთიდან გუდა-ნაბადი აიკრეს და NBA-ს მიაშურეს. ამავე მიზეზით წავიდა „არმიას" გამთამაშებელი სანდიატა გეინსი, ხოლო მეორე უკანახაზელი, **გილერმო დიასი** ტრავმირებულია (მუხლის მყესი აქვს დაჭიმული). ასევე ტრავმის გამო „ბეშიქთაშში" არ უთამაშია **მარსელიუს კემპს**. თურქებმა უილიამსსა და ერდენს შემცვლელები ჯერ ვერ მოუძებნეს (ინგლისის ნაკრების წევრის **მენსა-ბონსუს** დამატებას აპირებენ), ამიტომ თბილისში მწვრთნელმა **ერგინ ატამანმა** ძირითადად 6 კალათბურთელი დატვირთა.

„არმიაში" გეინსის ფუნქციები ახალწვეულმა **ბენჟამინ ვუდსაიდმა** იკისრა, რომელიც საქართველოში თამაშის წინადღეს ჩამოვიდა. ახალგაზრდა, სწრაფმა პლეიმეიქერმა, პირველივე მატჩში დაგვარწმუნა, რომ თამაშის წარმართვა კარგად შეუძლია. საბოლოოდ მის ანგარიშზე 13 ქულა და 7 შედეგიანი გადაცემაა.

ასევე კარგად ჩაერთო შეხვედრაში **მეტიუ ფრეიე**, რომელმაც მესამე პერიოდის ბოლო წამზე ჩაგდებულ სამქულიანს, მეოთხე პერიოდის დასაწყისში მეორე სამიანი მიამატა და მაყურებლის სიმპათია დაიმსახურა. მას, ალბათ, გმირის ორდენსაც ჩამოჰკიდებდნენ, ბოლო წამებზე გამარჯვების მომტანი ტყორცნა რომ გამოეყენებინა.

კიდევ ერთი ახალწვეული, **კლიფტონ ჰოუკინსი** ისე არ გამოიყურებოდა, რისი იმედიც მისგან გვაქვს.

**ჯერემი რიჩარდსონმა** და **უილიამ ტომასმა** 15-15 ქულა ჩააგდეს, ნაყოფიერად იშრომეს, ხოლო **იოაკიმ შელბომმა** ორმაგი დუბლი მიითვალა: 17 ქულა და 13 მოხსნა. შვედს თურქების მთავარი ბომბარდირის, **ერსინ დაგლის** მეურვეობა უწევდა. იოაკიმმა მეოთხე ჯარიმა ბოლო პერიოდის დასაწყისში მიიღო, რის გამოც დასვენება მოუწია და მოედანს სირენამდე 1:16 წუთით ადრე დაუბრუნდა. თამამად შეიძლება ითქვას, გუშინ შელბომმა საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ საუკეთესო თამაში ჩაატარა.

28 წუთი ითამაშა **ანატოლი ბოისამ** და ვინც მატჩი იხილა, დაგვეთანხმება, რომ იგი დაცვაში გამორჩეული იყო - „ბეშიქთაშის" გამთამაშებლებს ენერგიულად მეურვეობდა.

ქრონოლოგიასთან ერთად სტატისტიკაც მეტყველებს, რამდენად თანაბარი იყო მატჩი: ყველაზე დიდი სხვაობა 8 ქულა იყო („არმია" 51:43-ს იგებდა), თანაბარი ანგარიში 12-ჯერ დაფიქსირდა, ხოლო ლიდერი არც მეტი, არც ნაკლები - 23-ჯერ შეიცვალა. სამნამიანი ზონიდან ორივე გუნდმა 30-30 ქულა მიითვალა, ორივემ 9-9 სამქულიანი ჩააგდო, არც რეალიზებულ ორქულიანებსა (20:22) და მოხსნებში იყო დიდი სხვაობა (32:28). ასე რომ, შეხვედრის ოვერტაიმში გაგრძელება ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ...

>> მე-13 გვერდზე






დებიუტანტი
ბენ ვუდსაიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. ევროჩელენჯი. V ტური

« მე-12 გვერდიდან

### გეზი ჰოლანდიისკენ

მატჩის შემდეგ ყველა ქართველი გულდაწყვეტილი იყო, თუმცა კალათბურთელები ტაშით გააცილეს. თავად მოთამაშეებიც აღნიშნავდნენ, რომ ეს იყო მაღალი დონის ლამაზი კალათბურთი, რასაც საქართველო წლების განმავლობაში ელოდა.

- სანახაობრივი შეხვედრა გამოვიდა, რაზეც დიდი გავლენა სავსე ტრიბუნებმა მოახდინა. ასეთ ატმოსფეროში თამაში ნებისმიერი კალათბურთელისთვის სასიამოვნოა. ახალი გუნდით კმაყოფილი ვარ, ვფიქრობ, შეგვწევს ძალა მეორე ჯგუფურ ეტაპზე ვითამაშოთ, - თქვა „არმიას" ახალწვეულმა ბენ ვუდსაიდმა.

ანატოლი ბოისა:

- საინტერესო თამაში გამოვიდა. ყველაფერი გავაკეთეთ, რათა გულშემატკივარი გაგვეხარებინა, მაგრამ ბოლო წამებზე მეტოქემ გვაჯობა. ახლა მომავალ თამაშზე უნდა ვიფიქროთ - ჰოლანდიაში, „ლეიდენთან" პრინციპული მატჩი გველის.

„ბეშიქთაშის" თავკაცმა ერგინ ატამანმა საკუთარი გუნდის სამი დანაკლისი ახსენა:

- თურქეთში „არმია" 21 ქულის სხვაობით დავამარცხეთ. თბილისში ამ უპირატესობის შესანარჩუნებლად ჩამოვედით, დასაშვები იყო მცირე სხვაობით წაგებაც, თუმცა ჩემმა შეგირდებმა შეხვედრა შესანიშნავად ჩაატარეს და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

ევროლიგაში გამოცდილმა „ბეშიქთაშის" სერბმა ფორვარდმა **ზორან ერცეგმა** გულშემატკივართა სიუხვეს გაუსვა ხაზი:

- ქომაგებმა შეხვედრას დამატებითი ხიბლი შესძინეს. ჩვეული თამაში ვუჩვენეთ, გადამწყვეტ მომენტში არ ავღელდით და ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ დასრულდა. დღევანდელი მატჩიდან მეორე ეტაპისთვის მზადებას შევუდექით.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ამ ეპიზოდში კლიფტონ ჰოუკინსი ზორან ერცეგს ვერ გასცდა

### ქრონოლოგია

#### არმია–ბეშიქთაში

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:42 | **შელბომი 2/2 (2:0)** |
| 09:22 | ერცეგი 3ქ (2:3) |
| 09:08 | **რიჩარდსონი 3ქ (5:3)** |
| 08:51 | ჰოუკინსი 2ქ (5:5) |
| 08:39 | **რიჩარდსონი 2ქ (7:5)** |
| 08:15 | დაგლი 2ქ (7:7) |
| 07:55 | **შელბომი 2ქ (9:7)** |
| 07:06 | **რიჩარდსონი 3ქ (12:7)** |
| 05:09 | ჰოუკინსი 3ქ (12:10) |
| 03:53 | **შელბომი 2ქ (14:10)** |
| 03:05 | ერცეგი 2/2 (14:12) |
| 02:54 | ჩეთინი 3ქ (14:15) |
| 02:41 | **ბოისა 2ქ (16:15)** |
| 01:43 | დაგლი 2ქ (16:17) |
| 01:20 | **ვუდსაიდი 2ქ (18:17)** |
| 01:05 | აკინი 2ქ (18:19) |
| 00:27 | **ტომასი 2ქ (20:19)** |
| 00:02 | აკინი 2ქ (20:19) |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:26 | **ტომასი 2ქ (22:21)** |
| 08:26 | დაგლი 2ქ (22:23) |
| 08:09 | **ვუდსაიდი 2/2 (24:23)** |
| 07:52 | დაგლი 2ქ (24:25) |
| 07:23 | **ბოისა 3ქ (27:25)** |
| 06:50 | დაგლი 2ქ (27:27) |
| 06:25 | **შელბომი 2ქ (29:27)** |
| 05:45 | **რიჩარდსონი 3ქ (32:27)** |
| 05:40 | დაგლი 2ქ (32:29) |
| 05:22 | ჩეთინი 2ქ (32:31) |
| 04:14 | ჰოუკინსი 2ქ (32:33) |
| 03:11 | **შელბომი 3ქ (35:33)** |
| 02:43 | ჰერსეკი 3ქ (35:36) |
| 02:15 | **საყვარელიძე 2ქ (37:36)** |
| 01:52 | ჩეთინი 3ქ (37:39) |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:44 | **ტომასი 2ქ (39:39)** |
| 09:19 | **შელბომი 2+1ქ (42:39)** |
| 08:34 | **შელბომი 2+1ქ (45:39)** |
| 06:28 | ერცეგი 2ქ (45:43) |
| 05:41 | **ვუდსაიდი 2ქ (47:43)** |
| 04:52 | **ვუდსაიდი 2ქ (49:43)** |
| 02:42 | **ტომასი 2ქ (51:43)** |
| 01:34 | ჰოუკინსი 2/2 (51:45) |
| 01:15 | **ტომასი 2ქ (53:45)** |
| 00:46 | ჩეთინი 3ქ (53:48) |
| 00:13 | ჰოუკინსი 2ქ (53:50) |
| 00:00 | **ფრეიე 3ქ (56:50)** |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:37 | დაგლი 2ქ (56:52) |
| 08:59 | იაგმური 2ქ (56:54) |
| 08:12 | იაგმური 2ქ (56:56) |
| 07:41 | **ტომასი 3ქ (59:46)** |
| 06:39 | ერცეგი 2ქ (59:58) |
| 05:45 | იაგმური 3ქ (59:61) |
| 05:12 | **ფრეიე 2ქ (61:61)** |
| 04:49 | ჩეთინი 3ქ (61:64) |
| 04:10 | **ფრეიე 3ქ (64:64)** |
| 03:29 | **ვუდსაიდი 3ქ (67:64)** |
| 03:07 | **ტომასი 2/2 (69:64)** |
| 02:56 | დაგლი 2ქ (69:66) |
| 02:20 | ჩეთინი 2ქ (69:68) |
| 02:02 | **ვუდსაიდი 2ქ (71:68)** |
| 01:45 | ერცეგი 3ქ (71:71) |
| 01:16 | ჰოუკინსი 2/2 (71:73) |
| 00:55 | **რიჩარდსონი 2ქ (73:73)** |
| 00:40 | ჰოუკინსი 2ქ (73:75) |
| 00:24 | **რიჩარდსონი 2ქ (75:75)** |
| 00:01 | ჰოუკინსი 2ქ (75:77) |

### განცხადება

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ველოსპორტის ეროვნული ფედერაცია 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის უკეთ მოსამზადებლად საჭიროებს გაძლიერებას ორგანიზაციულად და ფინანსურად, ფედერაციის გამგეობამ დააკმაყოფილა მისი პრეზიდენტის თხოვნა თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე.

ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა, გამგეობის გადაწყვეტილებით, დაინიშნა 27 დეკემბერს 12 საათზე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში.

საკონტაქტო ტელეფონი: 599 159 82

**ფედერაციის გამგეობა.**

## ჭადრაკი



სოფიკო გურამიშვილი

### გაიმარჯვა და დაწინაურდა

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში 4 ტურის შემდეგ სეხნიები - **სოფიო გვეტაძე და სოფიო გურამიშვილი** ლიდერობდნენ. გუშინ მე-5 ტურში მათი პაექრობა შავი ფიგურებით მოთამაშე გურამიშვილის გამარჯვებით დასრულდა და ახალგაზრდა დიდოსტატი 4,5 ქულით გათამაშების ცხრილს სათავეში ერთპიროვნულად მოექცა.

უშეღავათო და დაძაბული აღმოჩნდა მოასპარეზეთა დანარჩენი პარტიებიც: ოციდან მხოლოდ 3 შეხვედრა დამთავრდა ყაიმით. მეწინავეთა პაექრობები ასე დასრულდა: ნინო ბაციაშვილი - სოფიო ნიკოლაძე 1:0, მაკა ფურცელაძე - ანა გავაშელი 1:0, სალომე ხაჟომია - ინგა ჭარხალაშვილი 0:1, ინგა ხურცილავა - ალექსანდრა ვახანია 0:1, სოფიკო ტერელაძე - ანა შამათავა 0,5:0,5, მირანდა მიქაძე - ნანი უნაფქოშვილი 1:0, ნათია ჯალაბაძე - მადონა ბოკუჩავა 0,5:0,5, ნატო იმნაძე - ანა კუჭავა 1:0, თეა ჭოლაძე - თამარ ხმიადაშვილი 0:1.

ხუთი ტურის შემდეგ: გურამიშვილი - 4,5, ბაციაშვილი, ვახანია, ჭარხალაშვილი, ფურცელაძე - 4-4, გვეტაძე, მიქაძე, შამათავა - 3,5-3,5 ქულა. 12 მოჭადრაკეს 3-3 ქულა აქვს.

დღეს მე-6 ტურში ინტერესს იწვევს მეწინავეთა დაპირისპირება: გურამიშვილი - ფურცელაძე, ვახანია - ბაციაშვილი, ჭარხალაშვილი - მიქაძე, შამათავა - გვეტაძე.

### ჯობავა უდანაკარგოდ

მილანში კრესპის 32-ე საჭადრაკო მემორიალში კვლავ იყოჩაღა გალელმა დიდოსტატმა **ბაადურ ჯობავამ**, რომელმაც მე-3 ტურში სერბი მიროლიუბ ლაზიჩი დაამარცხა და 3 ქულით ვლადიმირ მალანიუკის (უკრაინა) მძლეველ როლანდ სალვადორთან (ფილიპინები) ერთად კვლავ გათამაშების ცხრილის სათავეშია. მეწინავეთა სამი პარტია ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ: სინიცა დრაჟიჩი (სერბეთი) - ვადიმ შიშკინი (უკრაინა), დარკო დორიჩი (ხორვატია) - ალესიო ვალსეჩი (იტალია), ანდრეა სტელა (იტალია) - დრაგან კოსიჩი (ჩერნოგორია).

მე-4 ტურში ითამაშებენ: სალვადორი (3) - ჯობავა (3), სედლაკი (2,5) - კოლოვიჩი (2,4), ვალსეჩი (2,5) - დრაჟიჩი (2,5), კოსიჩი (2,5) - დორიჩი (2,5), შიშკინი (2,5) - სტელა (2,5), სოლოდოვნიჩენკო (2,0) - ბელია (2,5).

### მეწინავეებში გაერია

ესპანურ ნავალმორალ-დე-ლა-მატაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის მე-5 ტურში მეწინავეთაგან მხოლოდ ორმა დიდოსტატმა მიაღწია წარმატებას: უკრაინელმა სერგეი ფედორჩუკმა პერუელი ხულიო გრანდა დაამარცხა და 5 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. **კონსტანტინე შანავამ** კი ორელვის პერესს (ესპანეთი) სძლია და 4 ქულას მოუყარა თავი. ყაიმზე შეთანხმდნენ: ჰენრიკ ტეშკე (გერმანია) - ფერნანდო პერალტა (არგენტინა), თორნიკე სანიკიძე (საქართველო) - ნამიგ გულიევი (აზერბაიჯანი), ოლეგ კორნეევი (რუსეთი) - სალვადორ დელ რიო (ესპანეთი), მანუელ პერესი (ესპანეთი) - იბრაგიმ ხამრაკულოვი (ესპანეთი).

მეექვსე ტურში შანავამ შავი ფიგურებით ქულა გაიყო ფედორჩუკთან. ასევე, მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს კორნეევი - ტეშკე, პერალტა - სანიკიძე, ხამრაკულოვი - ალექსანდრ ფიერი (ბრაზილია), გულიევი - აზერ მირზოევი (აზერბაიჯანი), ხოლო გრანდამ შავებით დანიელ ბარიას (ჩილე) მოუგო, ვიტალი კოზიაკმა (უკრაინა) კი მანუელ პერესს აჯობა.

ამდენად, ექვსი ტურის შემდეგ ფედორჩუკი 5,5 ქულით მეწინავეობს. ლიდერს თითო ქულით შანავა, გრანდა, ტეშკე, კოზიაკი და დელ რიო ჩამორჩებიან, რომლებიც მეორე-მეექვსე ადგილებს ინაწილებენ. სანიკიძე 4 ქულით მეთორმეტეა.

მეშვიდე ტურში შანავა ისევ შავი ფიგურებით ითამაშებს, ამჯერად გრანდასთან, სანიკიძე კორნეევს დაუპირისპირდება, ტეშკე ფედორჩუკთან გაარკვევს ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**

### დაბრუნება ახალგაზრდობაში

ამას წინათ ხორვატიაში სენიორ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქალთა შორის ისეთ სახელოვან დიდოსტატებთან პაექრობაში, როგორებიც არიან **ნონა გაფრინდაშვილი, ელენა ფატალიბეკოვა, ვალენტინა კოზლოვსკაია,** ლუდმილა საუნინა, რიმა ბილუნოვა, ნატალია ტიტორენკო, თამარ ხმიადაშვილი, ტატიანა ფომინა და სხვები, საქართველოს ჩემპიონმა **ნინო მელაშვილმა** მეორე ადგილი დაიკავა. მსგავს ტურნირებში იგი პირველად მონაწილეობდა და ვერცხლით დებიუტი ნამდვილად კარგი შედეგია.

- გინახავთ ქალი ასაკის მომატებას სულმოუთქმელად ელოდებოდეს? - შეკითხვითვე დაიწყო საუბარი ნინო მელაშვილმა. - მე კი ერთი სული მქონდა, როდის მივიღებდი სენიორთა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობას. საამისოდ კი სათანადო ასაკი უნდა მქონოდა. ჰოდა წლეულს ოცნება ამისრულდა. საოცარ სამყაროში აღმოვჩნდი, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბევრ ჩემს უფროს მეგობარს შევხვდი, რომლებთანაც საკავშირო სპორტსაზოგადოებების პირველობებში მითამაშია და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ურთიერთობა არ მქონია. ჩემპიონატზე უჩვეულოდ თბილი ატმოსფერო სუფევდა, თუმცა საჭადრაკო დაფებთან უშეღავათო ორთაბრძოლები მიმდინარეობდა.

**- კარგა ხანია, აქტიურ ჭადრაკს ჩამოშორდით, რამ გიბიძგათ საასპარეზოდ?**

- ნაადრევად მომიწია სპორტისთვის თავის დანებებამ: ოჯახი, შრომითი საქმიანობა დიდ დროს მართმევდა და ჭადრაკისთვის არ მეცალა. მერე ბიჭები წამოიზარდნენ, სტუდენტები გახდნენ. დედის ძიძაობა აღარ სჭირდებოდათ, სკოლაში ჭადრაკის მასწავლებლად დავიწყე მუშაობა და ჩემში ისევ იფეთქა ბრძენთა თამაშის წყურვილმა. ერთხელ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოვსინჯე ძალა, წლეულს ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატშიც ვიასპარეზე. და აი, ახლა, როცა ასაკმა ამის საშუალება მომცა, სენიორთა მსოფლიოს პირველობაშიც მივიღე მონაწილეობა. თუ მშვიდობა იქნა, არც ერთ მსგავს ტურნირს არ გამოვტოვებ. ხორვატიაში ასე მეგონა, ახალგაზრდობას დავუბრუნდი-მეთქი. ერთ რამეზე მწყდება გული: მსოფლიოს ჩემპიონობა დიდოსტატის წოდებას იძლეოდა. მე ამ ტიტულზე ბავშვობიდან ვოცნებობდი. მე და ჩემმა დამ, რომელიც საქართველოს ჩემპიონი იყო, გასული საუკუნის 90-იანი წლებისთვის საერთაშორისო ოსტატობის ნორმა შევასრულეთ. საბუთები მოსკოვშიც გაიგზავნა, მაგრამ მაშინ საბჭოთა კავშირი დაიშალა და ჩვენი წოდებისთვის ვიღას ეცალა. ახლა მქონდა ოცნების ასრულების შანსი და ხელიდან გავუშვი.

**- გეთანხმებით, ჩემპიონობა შეგეძლოთ...**

- მეორე ტურში გალინა სტრუტინსკაიასთან აშკარად უკეთეს პოზიციაში ცაიტნოტისას მომგებიანი სვლა ვერ დავინახე და ყაიმს დავჯერდი. მერე ფატალიბეკოვასთანაც ქულა გავიყავი. ამასობაში საუნინა დაწინაურდა. წილისყრით მასთან თეთრებით ვითამაშე. ახალგაზრდობაში არაერთხელ შევხვედრივარ შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობებზე - ის ურალის, მე კი ამიერკავკასიის ოლქის სახელით გამოვდიოდით. დარწმუნებული ვიყავი, მოვუგებდი. დებიუტშივე უხეშად შეცდა - ლაზიერი h4 უჯრაზე დააყენა და რამდენიმე სვლაში დაკარგა. საუნინასთან გამარჯვების შემდეგ, საპრიზო ადგილზე გასვლის შანსი მომემატა და უფრო მონდომებით ვითამაშე. ერთმა კურიოზულმა შემთხვევამ კი კიდევ ნახევარი ქულა და ჩემპიონობა დამაკარგვინა: ბოლოსწინა ტურში მედნიკოვას უნდა შევხვედროდი. სათამაშოდ რომ მივედი, მაგიდასთან ტიტორენკო დამხვდა - გუშინ შეეშალათ და დღეს დილით ახალი წილისყრა ჩაატარესო, მითხრა. მე და ნატალია „დინამოს" საკავშირო გუნდში ერთად ვთამაშობდით, მასთან დადებითი ბალანსიც მქონდა, თუმცა ამდენი წლის შემდეგ ტიტორენკოსთან მოუმზადებლად პაექრობა რთული გამოდგა, ამიტომ დებიუტში ბევრი დრო დავხარჯე, ცაიტნოტში კი ვერ გავრისკე და ყაიმს მეტოქის წინადადებით დავთანხმდი. მართალია, ბოლო ტურში ავსტრიელ მირას ვაჯობე, თუმცა სტრუტინსკაიამ ტიტორენკოსთან, არ ვიცი როგორ, ფაქტობრივად, წაგებული პარტია სათავისოდ შეატრიალა და ნახევარი ქულით გამისწრო. მე და საუნინამ თანაბარი ქულები დავაგროვეთ, მაგრამ, რადგანაც მასთან მოგებული მქონდა, ვერცხლის მედალი მე მხვდა. შედეგით მაინც კმაყოფილი ვარ. გაისად სენიორებში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება და იქაც აუცილებლად ვიასპარეზებ.

**ვაჟა დანელია**



ნინო მელაშვილი

## ჩოგბურთი

### გორგოძე შემორჩა

ანთალიის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) 19 წლის **ეკა გორგოძემ** (397) პირველ წრეში რუს **ემილია გაჯიევას** აჯობა - 6:2, 6:1. ჩვენებური მერვედფინალში უკრაინელ **ვალერია სტრახოვას** ეთამაშება. წყვილთა ბადეში ეკა ბელარუს **ქსენია მილევსკაიას** (838) შეუწყვილდა.

ვაჟთა ტურნირის ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში **გიორგი ცივაძემ** (1238) მე-7 ნომრად განთესილი შვედი **ლუკას რენარდი** (883) დაამარცხა - 7:6 (9), 6:2. სამწუხაროდ, გიორგი ძირითადი ბადის პირველივე წრეში დამარცხდა ბელგიელ **იორის დე ლოორთან** (1188) ორთაბრძოლაში - 5:7, 5:7.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

# ლიგამ სახე იცვალა

## ოთხი კონფერენცია და სხვანაირი პლეი ოფი

მოხდა ის, რაზეც ჰოკეის ეროვნულ ლიგაში დიდი ხანია ლაპარაკობდნენ. გუშინ, NHL-ის მმართველმა საბჭომ საკმაოდ ოპერატიულად განიხილა და მიიღო ლიგის სტრუქტურაში გლობალური ცვლილებები.

შეგახსენებთ, რომ კლუბების მფლობელებს სურდათ მიეღოთ ყველა გუნდისთვის მოხერხებული კალენდარი, რომელიც მატჩებზე ახალ გულშემატკივრებს მოიზიდავდა და შესამჩნევად შეამცირებდა გადაფრენებზე ხარჯებს.

ამიერიდან ლიგაში არა ორი კონფერენცია და ექვსი დივიზიონი, არამედ, უბრალოდ, ოთხი კონფერენცია (ორი რვა და ორი შვიდგუნდიანი) იქნება, რომლებსაც ჯერ პირობითი სახელწოდებები აქვთ: A, B, C, D.

| A კონფერენცია |
|---|
| ანაჰაიმი |
| კალგარი |
| კოლორადო |
| ედმონტონი |
| ლოს ანჯელესი |
| ფინიქსი |
| სან ხოსე |
| ვანკუვერი |

| B კონფერენცია |
|---|
| ჩიკაგო |
| კოლამბუსი |
| დალასი |
| დეტროიტი |
| მინესოტა |
| ნეშვილი |
| სენტ ლუისი |
| ვინიპეგი |

| C კონფერენცია |
|---|
| ბოსტონი |
| ბაფალო |
| ფლორიდა |
| მონრეალი |
| ოტავა |
| ტამპა ბეი |
| ტორონტო |

| D კონფერენცია |
|---|
| კაროლინა |
| ნიუ ჯერსი |
| აილენდერსი |
| რეინჯერსი |
| ფილადელფია |
| პიტსბურგი |
| ვაშინგტონი |

ახლა, ყოველი გუნდი ყოველ მოწინააღმდეგესთან მინიმუმ ორ თამაშს (შინ და გარეთ) ჩაატარებს. დანარჩენი შეხვედრები კონფერენციის შიგნით გაიმართება. შვიდგუნდიან კონფერენციებში მეტოქეები ერთმანეთს ექვს-ექვსჯერ შეხვდებიან, ხოლო იქ, სადაც რვა გუნდია, ურთიერთდაპირისპირება ხუთი ან ექვსი იქნება.

ყველაზე მთავარი ის არის, რომ იცვლება პლეი ოფის სისტემა. მეორე ეტაპზე გადადის თითოეული კონფერენციის ოთხი საუკეთესო გუნდი. საინტერესოა, რომ პირველი და მეორე რაუნდები კონფერენციების შიგნით გაიმართება.

პირველი გუნდი ითამაშებს მეოთხესთან, მეორე მესამესთან. გასაგებია, რომ ძალაში რჩება დაყოფა აღმოსავლეთსა და დასავლეთზე. დასავლეთია - A და B კონფერენციები, აღმოსავლეთი - C და D.

ცვლილებები ძალაში მომავალი სეზონიდან შევა.

# მთვრალი სამი ბორბლით

ჰოკეის ეროვნული ლიგის ყოფილი ვარსკვლავი, ამჟამად ტელეარხ ESPN-ის ექსპერტი **მეტიუ ბარნები** ორშაბათს მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო დააპატიმრეს.

*"ჰოკეისტი Porsche Cayenne ტრასაზე წინა მარჯვენა საბურავის გარეშე (!) მოძრაობდა, - ამბობს პოლიციის წარმომადგენელი. – ცოტა ხანში კი ავტომობილს წინა ბამპერი მოძვრა".* შერიფის თქმით, ბარნებიმ სიფხიზლეზე რამდენიმე ტესტი ვერ გაიარა, თან პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწია.

საბოლოოდ, "ბაფალოს" (ამ გუნდში 1992-99 წლებში გამოდიოდა) ყოფილ მოთამაშეს მართვის მოწმობა ჩამოართვეს და ის მალე სასამართლოს წინაშე წარსდგება. "ბაფალოს" გარდა ბარნების "პიტსბურგში", "ტამპა ბეიში", "რეინჯერსში", "კოლორადოში", "ჩიკაგოსა" და "დალასში" უთამაშია. 2007 წელს მან პროფესიული კარიერა დაასრულა. NHL-ში მის ანგარიშზეა 834 მატჩი და 300 ქულა (113+187).


მეტიუ ბარნები

ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

| C ჯგუფი | |
|---|---|
| **3 დეკემბერი** | |
| ბრაზილია-კუბა | 37:21 (17:11) |
| რუმინეთი-ტუნისი | 30:28 (14:15) |
| საფრანგეთი-იაპონია | 41:22 (18:13) |
| **5 დეკემბერი** | |
| კუბა-რუმინეთი | 27:33 (14:20) |
| ტუნისი-საფრანგეთი | 17:25 (9:12) |
| იაპონია-ბრაზილია | 23:32 (12:16) |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 66-39 | 4 |
| 2. ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 69-45 | 4 |
| 3. რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 63-55 | 4 |
| 4. ტუნისი | 2 | 0 | 0 | 2 | 45-55 | 0 |
| 5. კუბა | 2 | 0 | 0 | 2 | 48-70 | 0 |
| 6. იაპონია | 2 | 0 | 0 | 2 | 46-73 | 0 |

| D ჯგუფი | |
|---|---|
| **3 დეკემბერი** | |
| შვედეთი-არგენტინა | 37:11 (19:7) |
| დანია-ურუგვაი | 36:10 (20:6) |
| ხორვატია-კოტ დ'ივუარი | 36:20 (20:10) |
| **5 დეკემბერი** | |
| კოტ დ'ივუარი-შვედეთი | 25:28 (14:15) |
| არგენტინა-დანია | 13:31 (5:18) |
| ურუგვაი-ხორვატია | 15:45 (9:21) |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 2 | 2 | 0 | 0 | 81-35 | 4 |
| 2. დანია | 2 | 2 | 0 | 0 | 67-23 | 4 |
| 3. შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 65-36 | 4 |
| 4. კოტ დ'ივუარი | 2 | 0 | 0 | 2 | 45-64 | 0 |
| 5. არგენტინა | 2 | 0 | 0 | 2 | 24-68 | 0 |
| 6. ურუგვაი | 2 | 0 | 0 | 2 | 25-81 | 0 |

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



# პინგვინებს მეკარემ მოუგო

რამდენიმე გამორჩეული შეხვედრა გაიმართა გუშინ დილით ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. მათგან ყველაზე დიდ ინტერესს აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერის "პიტსბურგ პინგვინზისა" და სტენლის თასის მოქმედი მფლობელის "ბოსტონ ბრუინზის" დაპირისპირება იწვევდა. "დათვები" ბრწყინვალე ფორმაში იმყოფებიან – ამ მატჩამდე მათ ბოლო 14 შეხვედრაში 13 ჰქონდათ მოგებული. მათ არც "პიტსბურგი" დაინდეს.

„ბოსტონის" ფანები მეკარე **ტიმ ტომასზე** უნდა ლოცულობდნენ. "პინგვინებმა" 46-ჯერ დაარტყეს "ბრუინზის" კარის მიმართულებით და ტომასი 45 დარტყმას გადაეღობა. მარტო მესამე 20-წუთეულში მის ანგარიშზე 22 სეივი მოდის. ბუნებრივია, მეკარის დამაჯერებელი თამაში წინა ხაზის მოთამაშეებსაც გადაედოთ და მესამე პერიოდის სტარტისთვის სტუმრები სამშაიბიანი უპირატესობით იგებდნენ. მეორე პერიოდში **გრეგორი კემპბელისა** და **ბენო პუიოს** გოლებს მესამეში **ტაილერ სეგუინმაც** ერთი დაუმატა, რასაც "პიტსბურგმა" ერთი შაიბით უპასუხა. ამ მოგებით "ბოსტონმა" მინიმუმამდე შეამცირა ჩამორჩენა ლიდერთან, თან მასზე სამი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

აღმოსავლეთის სამეულში მოხვედრის კარგი შანსი დაკარგა "რეინჯერსმა", რომელიც საკუთარ მოედანზე ხვდებოდა "ტორონტოს". პირველ 30 წუთში სამი შაიბის გაშვების შემდეგ, მასპინძლები ანგარიშის გასათანაბრებლად წინ წავიდნენ და კინაღამ მოახერხეს მატჩის გადარჩენა. "რეინჯერსმა" უკვე მეორე პერიოდში შეძლო ორი შაიბის გაქვითვა, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ მოახერხა. მესამე პერიოდში სასწაულებს ჩადიოდა "ტორონტოს" მეკარე **გუსტაფსონი**, რომელმაც ბოლო ოცი წუთი მშრალად შეინახა საკუთარი კარი და შეწყვიტა "რეინჯერების" ხუთმატჩიანი მოგებათა სერია.

სამაგიეროდ, "ჩიკაგომ" გააკეთა ის, რაც "რეინჯერსმა" ვერ შეძლო. "ფინიქსთან" 0:3-დან "ბლეკჰოქსმა" ანგარიში გაათანაბრა და თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა. თუმცა ჩიკაგოელებმა საბოლოო წარმატებას მაინც ვერ მიაღწიეს, რადგან ბულიტების სერიაში მეტოქე უკეთ გამოიყურებოდა.

ძალიან ცუდად მიდის "ტამპა ბეის" საქმეები. გუშინ ამ გუნდმა ზედიზედ მეოთხე შეხვედრა წააგო, ამჯერად მას "ოტავამ" აჯობა. ბოლო პერიოდის წინ "ტამპას" ერთშაიბიანი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ დაცვაში რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და ამას კანადელებისგან სამი უპასუხო შაიბა მოჰყვა. ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა 23 წლის **ზაკ სმიტმა**, რომელმაც დუბლი ჩაიწერა აქტივში. ასევე აღვნიშნავთ "სენატორთა" კაპიტანს **დანიელ ალფრედსონს**, რომლის ანგარიშზე გოლი და შედეგიანი პასი მოდის. "ოტავამ" ამ მოგებითა და "ვაშინგტონის" წაგებით პლეი ოფის ზონაში შეაღწია.

"ვაშინგტონი" პრაქტიკულად უშანსოდ იყო "ფლორიდას" წინააღმდეგ. ეს გახლდათ სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონის ლიდერთა შეხვედრა, ამიტომაც მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. "ფლორიდა" მოგების შემთხვევაში შვიდი ქულით დაშორდებოდა დედაქალაქურ კლუბს, რაც სეზონის ამ ნაწილში საკმაოდ დიდი ფორაა.

"პანტერებმა" შეძლეს ამ ამოცანის შესრულება. უკვე მე-17 წუთისთვის მათი უპირატესობა სამშაიბიანი იყო – 3:0. ამასთან, პირველ და მეორე გოლებს შორის ინტერვალმა 13 წამი შეადგინა. "კეპიტალზმა" ვერც მეორე პერიოდში გამოასწორა მდგომარეობა და მესამე 20-წუთეულის სტარტისთვის სხვაობა ისევ სამი შაიბა იყო – 5:2.

ბოლო პერიოდში "ფლორიდა" მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდა – 20 წუთის განმავლობაში მასპინძლებმა მხოლოდ ექვსი დარტყმა შეასრულეს – ორჯერ ნაკლები, ვიდრე "ვაშინგტონმა". ამ უკანასკნელმა შეძლო ორი უპასუხო შაიბის გატანა, მაგრამ მეტის გასაკეთებლად დრო არ ეყო.

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "ნიუ იორკ აილენდერსის" მარცხენა ფრთა **მეტ მოულსონი** დაასახელა, რომელმაც სამ მატჩში შვიდი ქულის დაგროვება შეძლო.

მოულსონის ანგარიშზე ექვსი გოლი და ერთი საგოლე პასი მოდის. "დალასთან" მატჩში ის გახდა ამ სეზონის პირველი მოთამაშე, რომელმაც ერთ შეხვედრაში ოთხი გოლის გატანა შეძლო.

"კოლორადო ეველანშის" ცენტრი **რაიან ო'რაილი** კვირის მეორე ვარსკვლავია. მანაც გასულ კვირას შვიდი ქულა (4 გოლი, 3 პასი) დააგროვა, თუმცა ამისთვის ოთხი მატჩის ჩატარება დასჭირდა.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი კი "ლოს ანჯელეს კინგზის" მეკარე **ჯონათან კუიკს** ერგო, რომელმაც ერთი შათაუტი შეასრულა, საშუალოდ მატჩში 0.5 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 98.7პროცენტი მოიგერია.

**რეინჯერსი–ტორონტო 2:4**

0:1, 2:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ფრანსონი-2 (ლაილსი-14, კესელი-17), 0:2 ტიმ კონოლი-4 (ფრატენი-4), 0:3 ლუპული-13 (ბოჟაკი-11, კესელი-18), 1:3 ანისიმოვი-4 (პრუსტი-4, დელ ზოტო-8), 2:3 გაბორიკი-13 (სტეპანი-11, ბ. რიჩარდსი-13), 2:4 შტეკელი-5 (მენი-8).

**პიტსბურგი–ბოსტონი 1:3**

0:0, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 გ. კემპბელი-2 (პეი-1, შ. ტორნტონი-3), 0:2 პუიო-4 (პევერლი-13), 0:3 სეგუინი-13 (პ. ბერჟერონი-14, პევერლი-14), 1:3 კუკი-6 (ვიტალე-4).

**ოტავა–ტამპა ბეი 4:2**

0:0, 1:1, 3:1

**გოლები:** 0:1 ჟერვე-2 (სტემკოსი-12, მ-ა. ბერჟერონი-18), 1:1 ზ. სმიტი-7 (კოუენი-2, დაუგავინსი-4), 1:2 სან ლუი-8 (სტემკოსი-13), 2:2 ალფრედსონი-6 (სპეცა-16, ანდერსონი-3), 3:2 ფოლინო-8 (ალფრედსონი-8, ვინჩესტერი-5), 4:2 ზ. სმიტი-8 (გონჩარი-16, ფილიპსი-7).

**ფლორიდა–ვაშინგტონი 5:4**

3:1, 2:1, 0:2

**გოლები:** 1:0 უეისი-10 (ბ. კემბელი-19, კულიკოვი-15), 2:0 სატორელი-4 (კულიკოვი-16, ვივერი-9), 3:0 კულიკოვი-3 (ბ. კემბელი-20, უეისი-18), 3:1 ნუბლი-3 (მ. იოჰანსონი-8, ორლოვი-3), 4:1 ბერგენჰაიმი-4 (მატიასი-4, გარისონი-5), 5:1 უეისი-11 (ფლიშმანი-16, ბ. კემბელი-21), 5:2 იკინი-3 (მ. პერო-3, ჯ. კარლსონი-10), 5:3 ლეიჩი-6 (ჯ. უორდი-6, ჯ. კარლსონი-11), 5:4 ჩიმერა-11 (ჯ. კარლსონი-12, ჰალპერნი-5).

**ჩიკაგო–ფინიქსი 3:4 (ბ)**

0:2, 3:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ტორესი-4 (ბოდკერი-5), 0:2 ვრბატა-13 (რეი უიტნი-14), 0:3 იენდლი-3 (შლემკო-7), 1:3 ტეუვზი-16 (პ. კეინი-22, კარჩილო-7), 2:3 ტეუვზი-17 (კეიტი-17, შარპი-14), 3:3 პ. კეინი-8 (ტეუვზი-15, სტალბერგი-9).

**ბულიტები გაიტანეს:** ეკმან-ლარსონი (ჩიკაგო), ვრბატა (ფინიქსი).

| აღმოსავლეთი | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პიტსბურგი* | 28 | 16 | 8 | 4 | 36 |
| 2. ბოსტონი* | 25 | 17 | 7 | 1 | 35 |
| 3. ფლორიდა* | 27 | 15 | 8 | 4 | 34 |
| 4. რეინჯერსი | 24 | 15 | 6 | 3 | 33 |
| 5. ფილადელფია | 25 | 15 | 7 | 3 | 33 |
| 6. ტორონტო | 27 | 15 | 10 | 2 | 32 |
| 7. ბაფალო | 26 | 14 | 11 | 1 | 29 |
| 8. ოტავა | 27 | 13 | 11 | 3 | 29 |
| 9. ვაშინგტონი | 26 | 13 | 12 | 1 | 27 |
| 10. მონრეალი | 27 | 11 | 11 | 5 | 27 |
| 11. ვინიპეგი | 26 | 11 | 11 | 4 | 26 |
| 12. ნიუ ჯერსი | 25 | 12 | 12 | 1 | 25 |
| 13. ტამპა ბეი | 26 | 11 | 13 | 2 | 24 |
| 14. აილენდერსი | 24 | 8 | 11 | 5 | 21 |
| 15. კაროლინა | 28 | 8 | 16 | 4 | 20 |

| დასავლეთი | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მინესოტა* | 27 | 17 | 7 | 3 | 37 |
| 2. ჩიკაგო* | 28 | 16 | 8 | 4 | 36 |
| 3. დალასი* | 26 | 15 | 10 | 1 | 31 |
| 4. დეტროიტი | 25 | 16 | 8 | 1 | 33 |
| 5. ვანკუვერი | 26 | 15 | 10 | 1 | 31 |
| 6. სტ. ლუისი | 26 | 14 | 9 | 3 | 31 |
| 7. ფინიქსი | 26 | 14 | 9 | 3 | 31 |
| 8. ლოს ანჯელესი | 26 | 13 | 9 | 4 | 30 |
| 9. სან ხოსე | 23 | 14 | 8 | 1 | 29 |
| 10. ედმონტონი | 27 | 13 | 11 | 3 | 29 |
| 11. ნეშვილი | 26 | 12 | 10 | 4 | 28 |
| 12. კოლორადო | 27 | 13 | 13 | 1 | 27 |
| 13. კალგარი | 26 | 11 | 13 | 2 | 24 |
| 14. ანაჰაიმი | 26 | 7 | 14 | 5 | 19 |
| 15. კოლამბუსი | 26 | 7 | 16 | 3 | 17 |

*- დივიზიონის ლიდერი

| ბომბარდირები | |
|---|---|
| **გოლი+პასი** | |
| ფილ კესელი (ტორ) | 34 (16+18) |
| ჯონათან ტეუვზი (ჩიკ) | 32 (17+15) |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 32 (15+17) |
| ჯოფრი ლუპული (ტორ) | 31 (13+18) |
| დანიელ სედინი (ვან) | 30 (9+21) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 30 (8+22) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 29 (16+13) |
| რ. ნიუჯენტ-ჰოპკინსი (ედმ) | 29 (12+17) |
| სტივენ უაისი (ფლო) | 29 (11+18) |
| **გოლები** | |
| ჯონათან ტეუვზი (ჩიკ) | 17 |
| მილან მიხალეკი (ოტა) | 16 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 16 |
| ფილ კესელი (ტორ) | 16 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 15 |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 14 |
| ევანდერ კეინი (ვინ) | 14 |
| **პასები** | |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 22 |
| ბრაიან კემპბელი (ფლო) | 21 |
| დანიელ სედინი (ვან) | 21 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 21 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 19 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბიატლონი

# მის ბიატლონი მიდის

ბიატლონში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მაგდალენა ნოიერმა** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 2012 წლის მარტში კარიერას დაასრულებს. იმ მომენტისთვის გერმანელი სპორტსმენი 25 წლის იქნება. ნოიერისთვის ბოლო ტურნირი იქნება მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც 1-11 მარტს გერმანიის ქალაქ რუპოლდინგში გაიმართება. ამ ინფორმაციას მაგდალენას ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

ჩვენ ჯერ კიდევ გუშინ ვწერდით იმის შესახებ, რომ ჭორები ნოიერის სპორტიდან წასვლაზე გასულ უქმეებზე გაჩნდა. თავად გერმანელმა ამ ჭორებს კომენტარი არ გაუკეთა და აღნიშნა, რომ ყველაფერს ოთხშაბათს, ოფიციალურ პრესკონფერენციაზე მოეფინებოდა ნათელი.

თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გაკეთებულ განცხადებაში ნოიერმა აღიარა, რომ კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირდა. სპორტსმენის სიტყვებით, მას სურს ცხოვრებაში რაღაც ახალი გამოსცადოს და თან ოჯახი შექმნას. გერმანელმა აღნიშნა, რომ არ არის გამორიცხული უახლოეს მომავალში ბავშვებისა და მოზარდების წვრთნას მიჰყოს ხელი.

ნოიერმა ვანკუვერში 2008 წლის ზამთრის თამაშებზე ორი ოქრო მოიგო: გამოდევნებით რბოლასა და მას-სტარტში. გარდა ამისა, თავის კარიერაში ერთადერთ ოლიმპიადაზე ის მეორე იყო სპრინტში. ესტაფეტაში მაგდალენას მონაწილეობა არ მიუღია.


მაგდალენა ნოიერი

გერმანელი ბიატლონისტი აგრეთვე მსოფლიოს ათგზის ჩემპიონია და 25-ჯერ გაუმარჯვია მსოფლიოს თასის ეტაპებზე. 2008 და 2010 წლებში ნოიერმა პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში.

გია თვალაბეიშვილი

## სათხილამურო რბოლა

# დაგვიანებული სასჯელი



კრისტიან ჰოფმანი

ავსტრიელი მოთხილამურე **კრისტიან ჰოფმანი**, რომელიც 2002 წლის ზამთრის თამაშების ჩემპიონია, ექვსი წლით არის დისკვალიფიცირებული დოპინგის მიღების გამო. ჰოფმანი დაადანაშაულეს იმაში, რომ 2003-06 წლებში ის აკრძალულ პრეპარატს იყენებდა, თუმცა მას ვერც ერთი დადებითი დოპინგსინჯი ვერ აღმოუჩინეს, - წერს სააგენტო „როიტერი".

ავსტრიის ანტისადოპინგო სააგენტოს სადისციპლინო კომიტეტის წევრები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჰოფმანი სისხლს აბარებდა ვენის ლაბორატორიაში, იქ მას „ამდიდრებდნენ", შემდეგ კი ტურნირის წინ უკან უსხამდნენ სპორტსმენს.

ანტისადოპინგო სააგენტომ დაამტკიცა, რომ მოთხილამურე კავშირში იყო ველომრბოლებთან - **ბერნარდ კოლთან** და **მიკაელ რასმუსენთან**, რომლებიც დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს. 2009 წელს ჰოფმანს პირობითი დისკვალიფიკაცია მისცეს, რის შემდეგაც ავსტრიელმა კარიერა დაასრულა. თავად სპორტსმენი, რომელსაც 25 დეკემბერს 37 წელი უსრულდება, ყოველთვის უარყოფდა ყველანაირ ბრალდებას.

2002 წელს სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიადაზე ჰოფმანმა მეორე ადგილი დაიკავა 30-კილომეტრიან დისტანციაზე. მაგრამ მალე ამ რბოლაში პირველ ადგილზე გასული ესპანელი **იოჰან მიულეგი** აკრძალული პრეპარატის (დარბოპოეტინი) მიღებაში ამხილეს და ოქროს მედალი ჩამოართვეს, რომელიც სწორედ ჰოფმანს გადაეცა.

გარდა ამისა, ავსტრიელი ბრინჯაოს პრიზიორი იყო 50-კილომეტრიან დისტანციაზე 1998 წელს ნაგანოს ოლიმპიურ თამაშებზე, აგრეთვე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა 1999 წელს ესტაფეტაში.

გია თვალაბეიშვილი

## კრივი

# ამირ ხანი სხვის ეზოში

24 წლის ინგლისელმა მოკრივემ **ამირ ხანმა** შაბათს, ვაშინგტონის „კონვენშენ სენტრში" IBF-ისა და WBA-ს ჩემპიონის ქამრები უნდა დაიცვას. მისი მოწინააღმდეგეა 27 წლის ამერიკელი **ლემონტ პიტერსონი**. მეტიც, პიტერსონი მხოლოდ ამერიკელი კი არა, ვაშინგტონელია, თუმცა ამირ ხანის ისედაც დიდი პოპულარობა და რეპუტაცია ამ ბოლო დროს სულ უფრო იზრდება და იზრდება.

როგორ მოქმედებს ხანზე „მეტოქის მოედანზე" ჩხუბი? ამის გამოცდილება მან შარშან შეიძინა - „მედისონ სკვეარ გარდენში" ადგილობრივ **პოლ მალინიაჯის** 11 რაუნდში აჯობა. ბოლტონელს არც წლეულს დაუხევია უკან.

*„სულაც არ მაშინებს ბრძოლა მის უკანა ეზოში რომ გაიმართება - ამბობს ამირ ხანი - ეს რაღაც არასერიოზული თამაშია და მეტი არაფერი. ჩემთვის გაუგებარია, როდესაც ამბობენ, რომ მოკრივე თავის ქალაქში გამოსვლის წინ უფრო მონდომებით ვარჯიშობს, რადგან არ უნდა თანაქალაქელების წინაშე შერცხვეს. შარშან ნიუ იორკში იქაურ პოლ მალინიაჯის ვეჩხუბე. დარწმუნებული ვარ, რომ მან ბრძოლამდე ძალიან მოინდომა, ბევრი ივარჯიშა, მაგრამ მე მისი დამარცხება მეთერთმეტე რაუნდამდეც შემეძლო. გული მწყდება, ასე რომ არ მოვიქეცი.*

*თუმცა, როდესაც დარბაზში ხალხი გამხნევებს, რასაკვირველია, ძალები გემატება და უფრო მეტხანს ძლებ. ალბათ, ლემონტ პიტერსონიც ასე იქნება, თუმცა დარბაზის ხმაური ვის სასარგებლოდ იმოქმედებს, კიდევ კაცმა არ იცის. იქნებ ამითი პირიქით, მე ვისარგებლო. ვფიქრობ, ის, რომ მოწინააღმდეგის ქალაქში ჩავდივარ, ჩემს ძლიერებაზე მეტყველებს. ჩემთვის ყოველთვის სულერთი იყო სად ვიჩხუბებდი. მოწინააღმდეგის უკანა ეზოში მისვლას არასდროს მოვრიდებივარ. ბოლო პერიოდში ხომ ინგლისს გარეთ ძალიან ხშირად ვმართავ ბრძოლას. რინგი რინგია, რა მნიშვნელობა აქვს, სად დგას. გადახედეთ ჩემს კარიერას, მე ამერიკაში ვვარჯიშობ, ინგლისში კი არა".*

პიტერსონს კარიერაში 29 ბრძოლა აქვს მოგებული, რომელთაგან 15 ნოკაუტი იყო. ნაგებით, ამერიკელმა ერთხელ წააგო. ეს 2009 წელს, თანამემამულე **ტიმოთი ბრედლისთან** მოხდა, როდესაც პიტერსონი მას ჩემპიონის ქამარს ეცილებოდა. ვაშინგტონელს ახლა იმედი აქვს, რომ ამირ ხანთან მშობლიური გარემო დაეხმარება.

*„ნამდვილად ვგრძნობ, რომ მზად ვარ ჩემპიონის ტიტულს შევუტიო* - თქვა პიტერსონმა - *გამარჯვებას დაჩვეული ვარ. ეს ჩემთვის ბუნებრივი მდგომარეობაა"*

შაბათის ბრძოლა ლაით-ველტერვეითის წონაში გაიმართება. ეს გახლავთ წონა, რომელიც მოიცავს 60-დან 63,5 კილოგრამამდე დიაპაზონს.

ილია ბაბუნაშვილი


ამირ ხანი

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი — ჩემპიონშიფი**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-კრ. პალასი | 2:1 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| ალფრეტონი-ნიუპორტი | 3:2 |
| ბრენტრი-ჰეიესი | 0:3 |
| ებსფლიტი-კემბრიჯი | 0:0 |
| ფორესტ გრინი-ტამუორტი | 3:1 |
| გრიმსბი-მენსფილდი | 0:0 |
| კეტერინგი-დარლინგტონი | 0:0 |
| კიდერმინსტერი-ბეთი | 4:1 |
| ლინკოლნი-ლუტონი | 1:1 |
| სტოკპორტი-გეიტშიდი | 0:1 |
| ტელფორდი-იორკი | 0:0 |
| რექსჰემი-საუთპორტი | 2:0 |

**ინგლისი — League Trophy**

| | |
|---|---|
| ბარნეტი-ბრენტფორდი | 0:0 დ.დ. 5:3 |
| ოლდჰემი-ბრედფორდი | 2:0 |
| პრესტონი-ჩესტერფილდი | 1:1 პენ. 1:3 |
| საუთენდი-სუინდონი | 1:2 |

**გერმანია — რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| ფიურტი A-ჰოფენჰაიმი A | 1:0 |

**შოტლანდია — III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანენი-სტრანრარი | 0:3 |
| ქუინზ პარკი-კლაიდი | გადაიდო |

**არგენტინა**

| | |
|---|---|
| ოლ ბოისი-არგ. ხუნიორსი | 1:0 |

**კალათბურთი**

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| ხიმკი-პაოკ | 89:65 |
| ციბონა-დონეცკი | 76:78 |
| ბანვითი-გრან კანარია | 79:54 |
| ნიმბურკი-რუდუპისი | 80:83 |
| ლ. რიტასი-ლე მანი | 87:49 |
| ბუდუჩნოსტი-მონსი | 85:78 (ო) |
| არისი-გრონინგენი | 79:58 |
| ვალენსია-აკადემიკი | 83:59 |
| ტუროვი-ალბა | 91:87 (ო) |
| სკაილაინერსი-ლოკომოტივი | 58:69 |
| ბავარია-სპარტაკი | 60:72 |
| ვილერბანი-ოსტენდე | 83:65 |
| გრაველენი-ჰაპოელი | 97:74 |
| კრკა-აზოვმაში | 74:70 |
| შოლე-ვეფ რიგა | 72:68 |
| ბენეტონი-ცედევიტა | 82:68 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| ენისეი-შალონი | 79:80 |
| ტრიუმფი-ენკომი | 60:68 |
| ხიმიკი-ნ. ნოვგოროდი | 78:87 |
| ატომერომუ-ვენტსპილსი | 78:79 |
| გოვერლა-როანი | 63:70 |
| მობიტელკო-ანტვერპენი | 72:74 |
| ნიტრა-ნორჩოპინგი | 108:78 |
| ტურკ ტელეკომი-ბონი | 81:94 |
| კერავნოსი-პორტეზე | 67:70 |
| შოლნოკი-ჩარლეროი | 90:85 |
| ფუენლარბადა-ოლდენბურგი | 77:83 |

**ხელბური**

**მს. ჩემპიონატი — ქალები**

| | |
|---|---|
| ტუნისი-კუბა | 32:29 |
| ჩერნოგორია-ანგოლა | 28:26 |
| შვედეთი-ურუგვაი | 31:14 |
| რუსეთი-ავსტრალია | 45:8 |
| ნორვეგია-ისლანდია | 27:14 |
| რუმინეთი-იაპონია | 28:28 |
| დანია-ხორვატია | 23:19 |
| ჰოლანდია-ყაზახეთი | 32:20 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-ბარისი | 2:3 |
| ტრაქტორი-ავტომობილისტი | 2:1 (ო) |
| ტორპედო-სპარტაკი | 5:1 |
| დინამო (მ)-სევერსტალი | 2:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| აპრონი-გრაცი | 0:3 |
| ვენა-ლინცერი | 2:5 |
| ზალცბურგი-ზაგრები | 6:2 |
| ზნოიმო-ვილახი | 5:1 |
| კლაგენფიურტი-ოლიმპია | 3:4 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-ჰანოვერი | 2:3 |
| კიოლნი-ინგოლშტადტი | 1:7 |

**დანია**

| | |
|---|---|
| როდოვრე-ჰერნინგი | 4:3 |
| ოლბორგი-ესბერგი | 10:4 |
| ჰერლევი-ოდენსე | 4:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტავანგერი-ლილეჰამერი | 3:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-ჟილინა | 2:5 |
| სკალიცა-მარტინი | 5:3 |
| ტრენჩინი-ბისტრიცა | 5:2 |
| კოშიცე-ნიტრა | 6:3 |
| სლოვანი-პოპრადი | 7:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ულინი-კლადნო | 6:4 |
| ბუდეიოვიცე-ტრშინეცი | 3:2 |
| ვიტკოვიცე-ლიტვინოვი | 2:4 |
| ბრნო-პლზენი | 4:5 (ბ) |
| ლიბერეცი-სპარტა | 1:2 (ო) |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი პიოტა-ცუგი | 1:0 (ბ) |
| ბერნი-ფრიბურგი | 6:3 |
| ბილი-ლუგანო | 4:3 |
| დავოსი-კლოტენი | 3:1 |
| ლანგნაუ-ციურიხი | 0:6 |
| რაპერსვილი-სერვეტი | 2:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ვაქსიო-შელეფტეო | 3:7 |
| ლინჩოპინგი-ფრიოლუნდა | 0:3 |
| ტიმრა-მოდო | 1:4 |

## TV პროგრამა

**7 დეკემბერი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
11:00 ინგლისის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XV ტური. ბორუსია (გ)-დორტმუნდი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. XIV ტური. ფიორენტინა-რომა.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XVI ტური. მონპელიე-ნიცა.
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XIV ტური. ტოტენჰემი-ბოლტონი.
21:00 იტალიის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XV ტური. სპორტინგი-რეალი.
00:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
01:00 სუპერმატჩი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-კალიარი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 2011 წლის სეზონის ფინალური მატჩები. მილოშ რაონიჩი-ენდი როდიკი. მემფისი. აშშ.
15:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კორინთიანსი-პალმეირასი.
17:00 ავტოსპორტი. ჩემპიონთა რბოლა. დუსელდორფი. გერმანია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-ალკმაარი.
22:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. გალათასარაი-მონტეპასკი (LIVE).
00:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
00:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 2011 წლის სეზონის ფინალური მატჩები. როჯერ ფედერერი-ნოვაკ ჯოკოვიჩი. დუბაი. საემიროები.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ლევანტე.
15:00 სპორტ-NEWS.
15:30 ცურვა. მსოფლიოს თასი. სინგაპური.
17:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-უდინეზე.
19:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. გლაზგო უორიორზი-ბეთი.
21:15 საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.

**I არხი**

17:00 ფეხბურთი. საქართველოს თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური (LIVE).

**რუსთავი 2**

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ბაზელი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
03:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი


ჰოვარდი და პოლი

# კობის გარდა ყველა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ნამდვილი ნადირობაა გამოცხადებული "ორლანდო მეჯიქის" ლიდერ **დუაიტ ჰოვარდზე**. "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრისა და აგრეთვე "ნიუ ორლეან ჰორნეტსის" გამთამაშებლის **კრის პოლის** გადაბირებას აპირებს. ამისთვის კალიფორნიელები მზად არიან თავიანთ შემადგენლობაში ნებისმიერ კალათბურთელს შეელიონ, გარდა **კობი ბრაიანტისა**.

როგორც ამერიკელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, "ლეიკერსი" "ორლანდოსა" და "ნიუ ორლეანს" შესთავაზებს ტრეიდს, რომელშიც ჩართული იქნებიან **პაუ გასოლი** და **ენდრიუ ბინუმი**.

დაახლოებით ანალოგიური ტაქტიკით აპირებს მოქმედებას "ჩიკაგო ბულზი". ამ გუნდის შეფობა ორ-სამ კალათბურთელს შესთავაზებს "ორლანდოს" დუაიტ ჰოვარდის სანაცვლოდ. ოღონდ გასაცვლელთა სიაში არ იქნება "ბულზის" ლიდერი და ბოლო სეზონის საუკეთესო მოთამაშე **დერიკ როუზი**.

■ ■ ■

ევროპული კალათბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა, "ლეტუვოს რიტასის" ფორვარდმა **იონას ვალანჩიუნასმა** განაცხადა, რომ ამ სეზონში არ აპირებს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გადასვლას. მან მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ამ სათამაშო წელს მშობლიურ კლუბში გაატარებს. შეგახსენებთ, რომ 2011 წლის დრაფტზე ვალანჩიუნასი მეხუთე ნომრად აირჩია "ტორონტო რეპტორზმა".

*"მინდა თუ არა კანადაში გადაბარგება? ძალიან უცნაური შეკითხვაა. ბევრი ენერგია დავხარჯე იმისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს, „ლეტუვოს რიტასის" ნაწილი გავმხდარიყავი, ამიტომაც სწორი გადაწყვეტილება იქნება თუ ლიტვაში სეზონის ბოლომდე დავრჩება და ჩემს გუნდს ბოლომდე დავეხმარები"*, - განაცხადა "ლეტუვოს რიტასის" ოფიციალურ ვებგვერდზე ახალგაზრდა ფორვარდმა.

ევროპის ლიგის წლევანდელ გათამაშებაში ვალანჩიუნასის საშუალო მონაგარი 10.7 ქულასა და 6.3 მოხსნას უდრის.

ჩოგბურთი

# მწვრთნელები მიდიან

დევისის თასზე არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ტიტო ვასკესმა** პოსტი დატოვა. კვირას, ესპანეთის ნაკრებთან ფინალის წაგების შემდეგ არგენტინის ჩოგბურთის ფედერაციამ უარი თქვა ვასკესთან კონტრაქტის გაგრძელებაზე.

არგენტინული პრესა ვაკანტურ პოსტზე ყველაზე რეალურ კანდიდატებად წარსულში ცნობილ ჩოგბურთელებს - **მარტინ ჰაიტსა** და **მარიანო საბალეტას** ასახელებს.

სავარაუდოდ, ახალი მწვრთნელი ეყოლება ამ სეზონის ტრიუმფატორ ესპანეთის ნაკრებსაც. ამ გუნდის დამრიგებელმა **ალბერტ კოსტამ** აღიარა, რომ უახლოეს ხანში, შესაძლოა დატოვოს თანამდებობა.


ალბერტ კოსტა

*„უნდა დავფიქრდე - ღირს თუ არა ამ პოსტზე დარჩენა. თავდაპირველად ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას უნდა დაველაპარაკო და შემდეგ მივიღებ საბოლოო გადაწყვეტილებას. ვფიქრობ, ბოლო სამი წლის განმავლობაში უდიდესი სამუშაო გავწიე და დიდი სიამოვნებაც მივიღე"*, - ამბობს კოსტა „მარკასთვის" მიცემულ კომენტარში.

აღვნიშნავთ, რომ კოსტას წასვლის შემთხვევაში ესპანეთის ნაკრების მწვრთნელობის მთავარი კანდიდატი **კარლოს მოია** გახდება.

ავტოსპორტი

# მიკაც ბრუნდება?


ჰაკინენი და რაიკონენი

ფორმულა 1-ში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ფინელი **მიკა ჰაკინენი** მონაწილეობას მიიღებს DTM-ის სერიის ავტომობილების ტესტებში, რომელიც უახლოესი სამი დღის განმავლობაში ესპანეთის მონტებლანკოს ტრასაზე გაიმართება. ჰაკინენი ერთმანეთს შეადარებს "მერსედესს", რომელიც ამ სერიაში ბოლო რამდენიმე სეზონის განმავლობაში გამოიყენებოდა და სრულიად ახალ ავტომობილს, რომელიც 2012 წელს გავა ტრასაზე.

კომპანია "მერსედესის" სპორტული განყოფილების ხელმძღვანელობამ მოუწოდა ჟურნალისტებს ჰაკინენის ტესტებზე მიწვევისგან შორსმიმავალ დასკვნებს ნუ გააკეთებენ. ძნელია ივარაუდო, რომ ფინელი პილოტი გაისად DTM-ის სერიის მონაწილეთა შორის ვიხილოთ, მით უმეტეს, "მერსედესის" პილოტებს შორის უკვე არის ფორმულა 1-ის ყოფილი წევრი – **რალფ შუმახერი**, რომელმაც 2012 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი.

ჰაკინენის გარდა, მომავალ ტესტებში მონაწილეობას მიიღებენ DTM-ში "მერსედესის" მოქმედი პილოტები – ინგლისელები **გერი პაფეტი** და **ჯეიმი გრინი** და გერმანელი **კრისტიან ფიტორისი**.

ფორმულა 1

# ავტოსპორტმა პრიზები დაარიგა

ლონდონში გაიმართა ყოველწლიური ცერემონია, რომელიც ტრადიციულად სარბოლო სეზონს აჯამებს. მისი ორგანიზატორი გახლავთ ავტორიტეტული ბრიტანული ჟურნალი Autosport.

მთავარ ნომინაციაში – "საერთაშორისო ჩემპიონატებში მონაწილე 2011 წლის საუკეთესო პილოტი" - ლაურეატი გახდა **სებასტიან ფეტელი**. "რედ ბულის" გერმანელმა წევრმა წელს უდიდესი უპირატესობით მოიგო ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატი და ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ორგზის ჩემპიონი გახდა. გარდა ამისა, მან დაამყარა ახალი რეკორდი – სეზონში 15 პოულის მფლობელი შეიქმნა.

24 წლის გერმანელი ლონდონში ცერემონიაზე დიუსელდორფიდან ჩაფრინდა, სადაც "ჩემპიონთა რბოლაში" მონაწილეობდა.

*"სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, საიდან დავიწყო, - განაცხადა პრიზის მიღებისას სებასტიანმა. - გასულ წელს პირველად მივიღე ერთ-ერთი ასეთი ჯილდო და ეს ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის.*

*უდიდესი პატივია, როცა ეს მოკლე კიბე უნდა აიარო და ამ დროს ყველა ტაშს გიკრავს შენი გამოსვლების პატივსაცემად. ამ მომენტში განსაკუთრებული გრძნობა გიპყრობს.*

*როცა ბავშვობაში სარბოლო კარიერას ვიწყებდით და ფორმულა 1-ზე ვოცნებობდით, გვეჩვენებოდა, რომ ამ ოცნების ასრულებამდე ძალიან შორი იყო. ვუცქერდით პილოტებს და ისინი ჩვენთვის გმირებივით იყვნენ. ჩვენც ვოცნებობდით დიდებაზე, მაგრამ უცებ აღმოჩნდა, რომ ის სულ ახლოს ყოფილა.*

*ყველაზე მეტად მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაზე ვოცნებობდი და როცა ამას მივაღწიე, მაშინვე ვერ გავაცნობიერე მომხდარი: შენ დაამტკიცე, რომ რაღაცას წარმოადგენ, მოიპოვე ტიტული, რომელსაც უკვე ველარავინ წაგართმევს".*

მომდევნო ნომინაციაში – "წლის საუკეთესო ბრიტანელი პილოტი" "მაკლარენის" წევრმა **ჯენსონ ბატონმა** გაიმარჯვა. მან ამ სეზონში ვიცე-ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა. ჯენსონისთვის ეს მესამე აღიარებაა კარიერაში: მანამდე ის საუკეთესო ბრიტანელად 2003 და 2009 წლებში დაასახელეს.

*"შარშანდელმა სეზონმა ახალი გამოცდილება მომიტანა, რადგან ახალ გუნდში გადავედი, წელს კი, ჩემი აზრით, შესანიშნავად ვიმუშავეთ ერთად და ბევრი გავაკეთე იმისთვის, რომ გუნდს პროგრესისთვის მიეღწია, - განაცხადა ბატონმა. - მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ დიდი სიამოვნება მივიღე! კარგი წელი იყო, თუმცა არა იდეალური. სებასტიან ფეტელმა დაუჯერებელ წარმატებას მიაღწია და ვერ შევძელით მისი გასწრება. ამიტომაც, ჩემი მიზანია – მომავალ წელს მისი დამარცხება".*

სეზონის დებიუტანტად მიიჩნიეს "ფორს ინდიას" პილოტი **პოლ დი რესტა**. მას მართლაც წარმატებული დებიუტი გამოუვიდა ფორმულა 1-ში: სეზონის პირველ ორ ეტაპზე ქულათა ზონაში მოხვდა, რაც მანამდე ამ სპორტის ისტორიაში მხოლოდ შვიდმა პილოტმა შეძლო. ჩემპიონატის პირველ რვა ეტაპზე დი რესტამ ექვსჯერ აჯობა კვალიფიკაციაში გამოცდილ თანაგუნდელს **ადრიან სუტილს**.

საბოლოოდ, დი რესტამ ჩემპიონატში მე-13 ადგილი დაიკავა. მის ანგარიშზე 27 ქულა მოდის. შოტლანდიელის საუკეთესო შედეგი იყო სინგაპურის გრანპრიზე დაკავებული მეექვსე ადგილი.

გამოვლინდა სეზონის საუკეთესო მანქანა. როგორც მოსალოდნელი იყო, პრიზი დაიმსახურა "რედ ბულის" წლევანდელმა ქმნილებამ - Red Bull RB7-მა.

პრიზის მისაღებად სცენაზე ავიდნენ "რედ ბულის" ტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ედრიან ნიუი**, მთავარი კონსტრუქტორი **რობ მარშალი**, საინჟინრო განყოფილების შეფი **იან მორგანი** და გუნდის მთავარი ინჟინერი **მარკ ელისი**.

*"2010 წელს კარგი მანქანა შევქმენით, მაგრამ მან არაერთი პრობლემა მოგვიტანა, - განაცხადა ნიუიმ. – წელს Red Bull RB7 სეზონის სტარტიდანვე სწრაფი იყო და მოვახერხეთ ამ ტემპის შენარჩუნება, რაშიც მთელი გუნდის დიდი დამსახურებაა".*

2011 წელს "რედ ბულმა" 19 რბოლიდან 12 მოიგო, ხოლო სებასტიან ფეტელმა 15 საკვალიფიკაციო რბოლაში მოახერხა გამარჯვება.

■ ■ ■

ჟურნალ Autosport-ის მიერ მოწყობილ შოუზე არ ჯილდოვდება სეზონის საუკეთესო ძრავის შემქმნელი კომპანია. სეზონში პოულებისა და გამარჯვებების დიდი ნაწილი "რენოს" ძრავებს დარჩათ, მაგრამ "მერსედესის" პრესსამსახურს საკუთარი სტატისტიკა მოჰყავს იმის დასამტკიცებლად, რომ იმ გუნდებმა, რომლებმაც "მერსედესის" ძრავები გამოიყენეს, სეზონის შედეგების მიხედვით ყველაზე მეტი ქულა მოიპოვეს, ვიდრე ძრავების სხვა მიმწოდებელთა კლიენტებმა. ასეთი რამ ზედიზედ მესამე სეზონში ხდება.

2011 წელს სამმა გუნდმა – "მერსედესმა", "მაკლარენმა" და "ფორს ინდიამ" ჯამში 731 ქულა დააგროვა, ხოლო სეზონის ბოლო რბოლაში, რომელიც აბუ-დაბის ავტოდრომზე ჩატარდა, ამ სამი გუნდის ექვსივე პილოტმა შეაღწია ქულათა ზონაში.



ფეტელი პრიზის გადაცემისას

# რენო პეტროვს იშორებს

ჯერჯერობით უცნობია, ვის აირჩევს ფრანგული საჯინიბო "ლოტუს-რენო" 2012 წლისთვის მეორე საპრიზო პილოტად. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდმა უკვე გააფორმა კონტრაქტი ფინელ **კიმი რაიკონენთან**, რომელიც ორწლიანი შესვენების შემდეგ უბრუნდება "სამეფო რბოლებს".

რაც შეეხება მეორე პილოტის ვინაობას, ამ მხრივ საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა გუშინ ფრანგულმა გამოცემა Toile F1-მა. მიუხედავად იმისა, რომ "ლოტუს-რენოსთან" მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს რუს პილოტს **ვიტალი პეტროვს**, ფრანგ ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ ამ ავტომრბოლის დღეები გუნდში დათვლილია, რადგან "ლოტუს-რენო" უკვე მოელაპარაკა კონტრაქტზე ფრანგ **რომენ გროსჟანს**. ამ ახალგაზრდა პილოტის უკან სოლიდური სპონსორები დგანან, თავად კი მაღალი შედეგები აჩვენა სატესტო რბოლების დროს.

თუმცა, შესაძლოა, მომავალი სეზონისთვის უმუშევარი არც პეტროვი დარჩეს. ჭორების თანახმად, ის რუსულ საჯინიბო "მარუსიაში" გააგრძელებს კარიერას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

